

სუან რამონ ხიმენესი

## პლატერო და გვ

ანდალუსიური ელეგია



გამომცემლობა  
„საქართველოს მაცნე“  
თბილისი 2008

Juan Ramón Jiménez

# Platero y Yo

Traducido del español al georgiano

por Manana Guiguineishvili

შეადგინა: ელიტეჯა ბერძენიშვილი

© გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“

© მანანა გიგინეიშვილი

---

ISBN 978-9941-406-44-7

## ხუან რამონ ხიმენესი „პლატერო და მე“

დიდი ესპანელი პოეტი ხუან რამონ ხიმენესი (1881-1958) დაიბადა ანდალუსიის პატარა ქალაქ მოგერში. ინტენსიურ მოღვაწეობას ეწეოდა მადრიდის ლიტერატურულ წრეებში. სამოქალაქო ომის დროს დატოვა ესპანეთი. ცხოვრობდა ერთხანს ამერიკაში, მერე – კუბაში. 1956 წელს მიანიჭეს ნობელის პრემია. სიცოცხლის ბოლო წლები გაატარა პუერტო რიკოში. იქვე გარდაიცვალა.

ლიტერატურულ ასპარეზზე გამოჩენის უმაღლესი „თანამედროვე კლასიკოსად“ იქნა მიჩნეული. მისმა სახელმა დაიქუხა ესპანეთშიც და მთელ ესპანურენოვან სამყაროში. კოლუმბიაში იქმნებოდა ლიტერატურული დაჯგუფებები, რომელთაც ხიმენესის მრავალრიცხოვანპოეტურ კრებულთასახელწოდებები ერქვათ.

ხიმენესს „პოეზიის ქურუმთუხუცესს“ უწოდებდა გარსია ლორკა და თავის მოძღვრად აღიარებდა. ესპანური ლექსის დიდოსტატი ანტონიო მაჩადო კი მის შესახებ წერდა: „ხიმენესი მოევლინა კაცობრიობას, როგორც მზე, რომელიც ზეცაში ჩახახებს. მოგვევლინა და გვაჩუქა თავისი ხილვა სამყაროსი“.

ხიმენესს სიტყვის იშვიათი გრძნობა ჰქონდა მომადლებული. მას ნეტარებას ჰგვრიდა ესპანურის ენობრივი შესაძლებლობანი და მკითხველსაც უზიარებდა ამ ნეტარებას. მაჩადოსავე თქმით, „ხიმენესმა შექმნა ახალი ესპანური ენა. მომდევნო ხანის ყველა პოეტი მიაკითხავდა ხოლმე მას, მოგერელ პოეტს, მშობლიური ენის საიდუმლოს მფლობელს“.

ხუან რამონ ხიმენესის პლატერო და მე 1917 წელს გამოქვეყნდა, უმაღვე მიჩნეულ იქნა XX საუკუნის პოეზისა და ლირიკული პროზის საოცრებად და ითარგმნა ყველა კულტურული ერის ენაზე (ზოგ ევროპულ ენაზე

რამდენიმე თარგმანი არსებობს). მარტო 1960 წელს პლატეროს მილიონი ეგზემპლარი გამოიცა ესპანურად.

პლატერო და მე ესპანურენოვან ქვეყნებში დონ-კიხოტის მერე ყველაზე პოპულარული ლიტერატურული ქმნილებაა. იგი საყოველთაოდ აღიარებულია მსოფლიო ლიტერატურის შედევრად. მას ასწავლიან სკოლებში, უნივერსიტეტებში.

პლატერო ვერცხლისფერი ჩოჩორია. აქედან მომდინარეობს მისი სახელი (Platero – ვერცხლისფერს ნიშნავს ესპანურად). კაცი და ვირი დაეხეტებიან ამ ანენილ წუთისოფელში. გზა აქვთ გასავლელი. ეს გზა ადამიანის ამაღლების, ზნესრულობის, კაცობრიობის წინსვლის გზაა.

ცხოველთან ბრძოლის ძველთაძველი თემა – რომელიც ჯერ კიდევ მითოლოგიდან მომდინარეობს და მსოფლიო ლიტერატურაში მრავალგზის არის დამუშავებული, – ადამიანის ბუნებაში ცხოველურის დათრგუნვისა და ლვთაებრივის გაღვიძების მაუნყებელი იყო. სულიერებისა და სიკეთის ძალით მოთვინიერებულ ცხოველურ საწყისთან „დამეგობრებას“ რომ მოაქვს სამყაროს იდუმალებათა ფაქიზი წვდომა და სამყაროს ჰარმონიის ნაწილად თავის შეცნობა, – ეს გვითხრა ხიმენესმა. ვერცხლისფერ ჩოჩორს უმხელს თავის საფიქრალს პოეტი და ყოფითი რეალობიდან მიგვიძლვება ამაღლებულისა და იდეალურისკენ.

ხიმენესის ამ ნაწარმოებს განსაკუთრებულ ლიტერატურულ და ზნეობრივ ფასეულობად აღიარებენ, ესიყვარულებიან, შემოკლებით პლატეროს უწოდებენ და ადამიანები მას თავიანთი ცხოვრების ნაწილად მიიჩნევენ.

როცა მძვინვარებდა სამოქალაქო ომი და ინგრეოდა ესპანური ცივილიზაცია, სამშობლოდან გახიზნულ ემიგრანტებს ესპანეთის მიწასთან ერთად „პლატეროც“ თან მიჰქონდათ. ვერ ელეოდნენ წიგნს, რომელშიც მიზანდასახულ ნგრევას ხიმენესმა დაუპირისპირა ყოვლისმომცველი ჰარმონიის გრძნობა.

ბიბლიისა და კაცობრიობის კულტურის სხვა უდიდეს მონაპოვართა შემდეგ ხიმენესმა კვლავ ჩამორეკა ზარი, თანამედროვე ფორმით გვაუწყა, რომ იდეალურ ფასეულობათა ცხოვრებაში შეურყყნელად გამოტარება არის ადამიანის ხსნის საწინდარი.

პლატეროს „ანდალუსიური ელეგია“ უწოდა ხიმენესმა. ამ წიგნში მშვენიერებითა და სიკეთით მოგვრილ სიხარულს თან ახლავს დიდი სევდა. ესაა სევდა იმის გამო, რომ კაცობრიობას შეუწელდა უკიდეგანო სამყაროსთან პარმონიული ერთობის განცდა. მზის გამონათება, უჩვეულოდ შეფერილი ღრუბელი, ჩიტების სტვენა, სიცოცხლე თუ სიკვდილი, სიკეთე თუ ბოროტება ბევრს აღარ უბიძებს თვითჩაღრმავებისკენ, საკუთარ სულში აბობქერებული ქაოსის დაოკებისკენ, სიცოცხლის აზრის ძიებისკენ, საკუთარ სულში მთვლემარე ღვთაებრივი საწყისის აღმოჩენისა და გაღვივებისკენ.

ხიმენესს აქვს ლექსი მედა მე. მასში გადმოცემულია ბედნიერება, რომელიც მოაქვს ადამიანის „მე“-ში უნივერსალური ცნობიერების გაღვიძებას, ღვთაებრივი „მე“-ს დაბადებას. სათაური – პლატერო და მე ეხმიანება ამ ლექსს და ერთგვარი ვარიაციაა ამ თემისა.

პლატეროს წინასიტყვაობაში ხიმენესი ნოვალისის ნათქვამს მოიხმობს: „ბავშვებისადაც კიარიან, ყველგან ოქროს ხანაა. სწორედ ამ ოქროს ხანისთვის, რომელიც ზეციდან ჩამოვარდნილი ღვთაებრივი კუნძულივითაა, ძგერს პოეტის გული... სინაზის, სილაღისა და ბედნიერების კუნძულო, ბავშვობის ოქროს ხანავ!.. დაე, შემოიქროლოს შენმა სიომ და თან მოიყოლოს თავისი ქნარი, – მუღერი და ზოგჯერ აზრმიუტანებელიც, შეთენებულზე ტოროლას გალობის მსგავსი“.

ნოვალისი, რომანტიზმისთვის უდიდესი იმპულსის მიმცემი, შემთხვევით არ შეგვეხმიანა პლატეროს შესავალშივე რომანტიკული მსოფლალქმისთვის დამა-

ხასიათებელი თავისი უსასრულო ძიებითა და სწრაფ-ვით. „პლატეროს“ სამყარო – ესაა პიროვნების ხსნის, სულიერი თავშესაფრის ძიების სამყარო. ყოველდღი-ურობის ლექმა და შლამმა არ უნდა წალეკოს „სული-ერების ზეციური კუნძული“, ადამიანის „მე“-ს ჭეშმა-რიტი სამყოფელი. წუთისოფლის ორომტრიალში ეს კუნძული, ეს სულიერი გარემო უნდა შეინარჩუნოს ადამიანმა. ნაწარმოების ყოველი ელეგია ამ კუნძულის აღმოჩენას ემსახურება.

სამყაროს შემოქმედს არ მიუყვანია ბოლომდე ადა-მიანის ქმნადობის პროცესი. ადამიანმა თვითონ უნდა სრულქმნას თავისი თავი. სამყაროში მხოლოდ ადამიანს აქვს მინიჭებული თავისუფლება. მხოლოდ მას აქვს არჩევანი: შეუძლია იაროს სიკეთის ან ბოროტების გზით. მისი ნებაა, სრულყოფს თავს, ღვთაებრივ მისიას პიროვნების განვითარებისას განახორციელებს და ამით თანამონაწილე იქნება ღვთაებრივი შემოქმედე-ბისა, თუ ნგრევის პროცესს შეუწყობს ხელს. ეს კუნძუ-ლი საკუთარ სულში აქვს ადამიანს მოსაპოვებელი. ყოველი დეტალი ამ წიგნისა ნარმავალ წუთისოფელში მთვლემარე ადამიანის გალვიძებას და ნარუვალ, მარადიულ სამშობლოში მის დამკვიდრებას, ადამიანის „მე“-ში ღვთაებრივი არსის ჩასახლებას ემსახურება.

და ხიმენესი გვიმხელს, როგორ ვიცხოვროთ, ყო-ველდღიურ ყოფაში ყოველი მოვლენა როგორ გვიმჟ-ღავნებს სამყაროს იდუმალებას; ზედაპირზე რაც დევს, ყველაფერი როგორ მიგვიძლვება სხვა სიღრმეებისკენ; გვასწავლის, რომ თვალით კი არა, სულით უნდა ვუმზიროთ სამყაროს და მაშინ საოცრებას აღმოვა-ჩენთ საკუთარ თავშიც და გარესამყაროშიც.

ეს წიგნი შინაგანი ხილვით არის გაშუქებული.

ხიმენესისთვის პოეზია ადამიანის ცხოვრების სტი-ლია, ღვთაებრივ შემოქმედებით პროცესთან ზიარებაა, პიროვნების სრულყოფის, პიროვნების თვითშემეცნების გზაა. მშვენიერება სიკეთეა, ჭეშმარიტებაა. მშვენიერება

ღვთის გამონათებაა. ადამიანის სულიც ღვთაებრივია. ადამიანის ბუნებაშიც დევს სიკეთე და მშვენიერება. ამიტომაა, რომ სულიერად გაღვიძებულ ადამიანს, თავისი თავის უფალ ადამიანს ღვთაებრიობა და მშვენიერება საიდუმლოს უმხელს ყველგან და ყველაფერში.

პლატერო ღირიკული პროზის 138 ნიმუშს შეიცავს. ამ პოეტურ მინიატურებს არ აერთიანებს ამბის თან-მიმდევრული განვითარება, სიუჟეტური ქარგა. მათ შორის სხვა შინაგანი კავშირია. ყოველ მათგანს თავისი რიგითი ნომერი აქვს. მათი გადასმა შეუძლებელია. ყოველი მათგანი დანარჩენს ანონასწორებს და ნა-ნარმოების ერთიან მხატვრულ ფორმასა და მსოფლ-მხედველობრივ მთლიანობას ქმნის.

პლატერო იწყება ვინმე შეშლილი აგედილიასადმი მიძღვნით. ნანარმოების პირველსავე სტრიქონებში შემოიჭრება „შეშლილის თემა“, რომელიც შემდეგ სხვადასხვა ვარიაციებით ხშირად გამოკრთება. იხა-ტება აბდალი ბიჭი, რომელიც გარდაცვალების შემდეგ სხვაგვარად ახელილი მზერით მიაცილებს ნეტართა სულებს; პოეტსა და პლატეროს უკან მისდევენ ბოშა ბიჭუნები და მისძახიან: „გიუ! გიუ!“ ნახსენებია ლოლილია შერეკილი, სულელი პინიტო, – რომელიც არავინ უწყის, მართლა სულელი იყო თუ არა. არადა, პოეტს პინიტოზე უფრო სულელად თვლის ზოგი.

საზოგადოება ხშირად სულელად მიიჩნევს იმას, ვინც განსხვავებული ინტერესებით ცხოვრობს. ყალბი პირობითობისა და პოზისაგან გარიდებული ადამიანი, იდეალებისკენ მიდრეკილი ადამიანი უწვეულოდ და უცნაურად გამოიყურება საზოგადოების თვალში. ნანარმოების დასაწყისშივე გვითხრა ხიმენესმა, რომ წიგნი იმათვისაა, ვინც საერთო თარგზე არ არის აჭრილი, ვინც „შერეკილია“. მასისგან განსხვავებულ ამ ადამიანებში პოეტი ცნობიერების იდუმალ ფორმას ხედავს. ამ „შერეკილების“ ფონზე პოეტი ცნობიერების მასობრივი დაბნელების სურათებს გვიხატავს; აღნერს

ინგლისური მამლების ბრძოლას, აღწერს კორიდას და ამბობს: „ყველა შეირეკა, პლატერო! მთელი ქალაქი კორიდაზე შეირყა“.

მკითხველს მოაგონდება პავლე მოციქულის სიტყვები: „უკეთუ ვისმე ბრძენ ჰგონიეს თავი თვისი თქვენ შორის ამას სოფელსა, სულელ იქმენინ, რათა იყოს იგი ბრძენ“. სხვადასხვაგვარია სიბრძნე-სისულელის კრიტერიუმები!

პირველსავე ელეგიებში პლატეროსა და თავის თავს გვაცნობს პოეტი: „უცნაური შესახედავი უნდა ვიყო თალხით მოსილი, ნაზარეველის წვერითა და მომცრო შავი სომბრეროთი მოთეთრო-მონაცრისფრო ვირუკაზე შემოსკუპული“. ნაზარეველის თემა კვლავ გაიელვებს ნანარმოებში. პოეტი გვესაუბრება კაცთმოძულე მღვდელზე, რომელიც „ვირით ისე შედის ჩაბნელებულ ქალაქში, თითქოს ქრისტე მიემართებოდეს იერუსალიმისკენ სიკვდილის შესახვედრად“. ამ ორიდან რომელი ემსახურება ნაზარეველის იდეებს, – ამის განსჯა მკითხველს ეკისრება.

ფაბულა არ კრაგს ნანარმოებს, მაგრამ დეტალები და გამომსახველობითი საშუალებები ერთმანეთს ეხმიანებიან, ერთმანეთს ავსებენ ასეთი გადაძახილებით, ერთმანეთს ამდიდრებენ, ხვენენ.

პლატეროს შესახებ პოეტი გვეუბნება, რომ იგი „მთვარის ვერცხლისგანაა“. ხიმენესი მკითხველის გულისყურს თავიდანვე არაორდინალური აღქმისკენ წარმართავს. შემდეგ გვეტყვის, რომ ლექსიკოგრაფი ვერ ჩასწვდება პლატეროს ბუნებას. სხვა მზერაა საჭირო ხიმენესის ჩოჩირის აღსაქმელად. პლატეროს უნილადებს პოეტი საზამთროს, ბრონეულს, ყურძნის მტევანს. უზიარებს აზრებს. ესპანელები პლატეროს „ოთხფეხა სანჩიო პანსასაც“ უწოდებენ. პოეტის თქმით, პლატეროს საკადრისი აღწერილობა „გაზაფხულის ერთი საოცარი ზღაპარი იქნება“, პლატერო „ნაკადულისა და პეპლის მოკეთეა“, „ყვავილისა და მთვარის მეგობარია“. თავისი

პატრონივით იგიც „უსაშველო სევდით შეჰყურებს ვარსკვლავებს“. და პოეტი გვეუბნება: „პლატერო ღვთაებრივია თითქოს“. კითხვა არ იცის, მაგრამ პოეტის მიერ ხმამაღლა წაკითხული ლექსით ტკბება. პლატეროს სახე ახალ განზომილებებს იძენს ყოველი ახალი მინიატურით.

ჩვეულებრივი ვირებიც იხატება ნაწარმოებში: მე-ნახშირეთა, მესაფლავეთა, მევენახეთა, ბოშათა ვი-რები, გარგარითა და ფორთოხლით დატვირთული ვირები. პლატერო ყველასგან განსხვავებულია. იგი პოეტის ოცნებებით ოცნებობს.

ბრმა ბერიკაციც დაეხეტება თავისი ჭაკი ვირით. მისი ვირის შესახებ პოეტი გვეუბნება: „ეგ საცოდავი თავისი პატრონის დავსებულ თვალსა ჰგავს“. და მკითხველს უნებურად უჩნდება საფიქრალი: ვინ ბრმად დაიარება ამ სოფელში, ვინ – თვალხილული. ვინ რისი შემძლეა, ისე გალევს თავის გზას. გზა კი ყველას აქვს გასავლელი.

სკოლის მასწავლებელს მიაჩნია, რომ „გავირებულები“ არიან ბავშვები და „გაადამიანურების“ მიზნით მოგერის სანახებში დაატარებს მათ. მაგრამ დაატარებს სათავისოდ. მასწავლებელი ეძებს მყუდრო ადგილს, რომ საუზმე შეუჭამოს პატარებს, სულიერი საზრდოს მიწოდების ნაცვლად, რაც საგზალი ჰქონდათ ბავშვებს განვითარების გზაზე, იმასაც ართმევს. „ლიპიანი შენ ნამდვილად გაგავირებდა. არა, არა, მე შენ გაგაცნობ ყვავილებსა და ვარსკვლავებს!“ – მიმართავს პოეტი პლატეროს და მკითხველს აღეძვრება ფიქრები, რომ თურმე სწავლა თვითშემეცნებაა, სულის გაფაქიზებაა, ყვავილებისა და ვარსკვლავებისთვის გულის გახსნაა; თურმე სწავლის მიზანი სამყაროს იდუმალებათა სამზერად სულიერი თვალის ახელა ყოფილა.

ის ფიჭვი კი, რომლის ძირშიც მასწავლებელი ბავშვების საგზალს შეექცევა, იგივე მთის მწვერვალზე გახარებული ფიჭვია, ხიმენესის სულიერი სავანეა.

კაცობრიობა მიიკვლევს გზას. ნაწარმოებში არის ორიენტირები, რომლებიც თანდათან იკვეთებიან ელე-გიდან ელეგიამდე. გზა თხზულების ერთ-ერთი მთავარი ორიენტირია.

დედა ტერეზაც ამ გზაზე მეგზურად ვიღაც მებალეს უხმობს; ვიღაც კაცი დგას გზაზე, არ მიდის, გამვლელს ელის, მაგრამ ვერც კი ამჩნევს პოეტსა და პლატეროს. ასე სცოდნია გზაზე შეჩერებას. ზოგი აჩქარებით მიემართება ამ გზაზე, ზოგი სან-ლუკარის ბოგანოებივით – ზანტად. ზოგი გზიდან გადაუხვევს.

ამ ფონზე განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს პლატეროსა და მისი პატრონის გზა.

პოეტი და პლატერო ჩაბნელებულ მძინარე ქალაქში შედიან. ასე იწყება პლატერო. პოეტი მებაჟეს არწმუნებს, რომ თეთრი პეპლების მეტი არაფერი აქვს გოდორში. მებაჟე ვერაფერს ხედავს. პოეტი და პლატერო მებაჟისაგან მოუხელთებელ სულიერ საზრდოს ეზიდებიან. თეთრი პეპლები დასაწყისშივე იძენენ სიმბოლურ მნიშვნელობას. მერე პეპელა ბევრ ელეგიაში გამოჩნდება კიდევ და ეს ხატი სხვა ხატებთან ერთად ქსოვს ნაწარმოების ერთიან ქსოვილს.

პლატეროს სიკვდილს წინ უძღვის ელეგია მადრიგალი. მადრიგალი აქ ესპანური ცეკვაა, მას წყვილი ასრულებს. დაფარფატებს, „ცეკვავს“ პეპელა ბალში, რომელიც, პოეტის თქმით, პეპლის სამყაროა. „სინამდვილეში ორი პეპელაა: თვითონ და მისი ჩრდილი“. – გვითხრა პოეტმა. არადა, ერთია სინამდვილეში. მაგრამ პოეტისთვის სინამდვილე ისაა, რომ სადაც ნათელია, იქ ჩრდილიცაა, სადაც სიხარულია, იქ სევდაცაა.

მომდევნო ელეგიაში ჩრდილმა იძალა: მოვიდა სიკვდილი. პეპელა კვლავ „ცეკვავს“, კვლავ წრეს უვლის ამჯერად პლატეროს გომურში. მადრიგალი გრძელდება. მაგრამ წვენი თვალისთვის მხოლოდ მაშინაა დასანახი, როცა სარკმლიდან ჩამოღვრილ მზის

ათინათში შეიჭრება პეპელა. ასე შეამზადა მადრიგალ-მა მკითხველი პლატეროს სიკვდილისთვის და პეპლის მხატვრულმა ხატმა სიკვდილი სულიერ გარდასახვად წარმოგვიდგინა. ასე ლამაზად და ასე ბრძნულად გაგვესაუბრა პოეტი სულის უკვდავებაზე და იმაზეც, რომ ბნელით მოცულ ცნობიერებაში მზის ათინათმა უნდა შემოაღწიოს.

პლატეროს სიკვდილი ტრაგიკულად არ აღიქმება. ხიმენესი აგვინერს მის გაბერილ მუცელს, ზემოთ აშვერილ გაფშეკილ ფეხებს, ფიტულის დაჩრჩილული ბუნენებივით ბეწვს (ფიტულით გამოწვეული შემზარავი განწყობა ადრეუკვე შეგვიქმნა მინიატურით იგავა-არაუი). ბუნებრივად ჩნდება ფიქრი, რომ ყოველივე ეს ჩენჩროა, ეს არ შეიძლება იყოს პლატერო. ეს ისაა, რაც პლატერომ დატოვა.

პოეტს პლატეროს საფლავზე მიჰყავს ბავშვები. და მათ თვალებში ჩაბუდებულ შავნაღვლიან კითხვებს პოეტი ასე შეებასუხება: „პლატერო, ჩემო მეგობარო, შენ თუ ახლა ნამდვილად ზეციურ ველებში ხარ, მე კი მგონია, რომ ხარ, – და შენი გაბურძგნილი ზურგით დაატარებ ყრმა ანგელოზებს, მე ალბათ კიდეც დამივიწყე. მითხარი, პლატერო, ისევ გახსოვარ? და ჩემი კითხვის პასუხად უმსუბუქესმა თეთრმა პეპელამ ზამბახიდან ზამბახზე იწყო სულივით ფარფატი“. ასე გვითხრა ხიმენესმა, რომ სიკვდილით სიცოცხლე არ მთავრდება, რომ სიკვდილ-სიცოცხლე უნივერსალური ცნობიერების განვითარების ეტაპებია, რომ პლატეროს ისევ გაბურძგნილი აქვს ზურგი და რომ პეპელა, რომელიც თითქმის ყოველ ელეგიაში გვხვდება, – კვლავ ფარფატებს.

ნაწარმოებში ბედნიერებისა და სიხალისის გვერდით ასვეტილია სიკვდილი. ბევრი სიკვდილია პლატეროში.

იადონი კვდება, მაგრამ გაზაფხულზე ვარდის გულიდან ამოფრინდება; „ჩიტუნები ფოთლებს უმხე-

ლენ უცნაური და ლამაზი სიკვდილის საიდუმლოს“; ფოთლები კვდებიან განახლების იმედით. ბუნებაში კვდომას ყველგან განახლება მოჰყვება. ყველაფერი თავისი ციკლით ვითარდება. ყვავილის სიცოცხლე პლატეროს გაზაფხულის ერთი დღეა, პოეტის ერთი გაზაფხულია. ადამიანიც ჩართულია სამყაროს რიტმში. აბდალ ბიჭს გარდაცვალებით სხვა მზერა აეხილა; ჭლექიანი გოგონა ზეცის გზას მიუყვება; რონსარი საიქიოდან ისმენს თავის ლექსს; პლატეროს ზეცაში შეუძლია წიგნის გაგება. პოეტი ისეთ რამეებზე ესაუბრება, რაც მასზე უკეთ არავის ესმის. ყველა მონაწილეა ყველაფრისა. და მოგერის სასაფლაოს მოხილვისას პოეტი თითქოს შემთხვევით ჰკითხავს პლატეროს: „ამ ორ თეთრ ჰეპელასაც ხომ ხედავ?“

ის ორი ჰეპელა სასაფლაოზეც „ცეკვავს“.

ხიმენესისთვის სიკვდილი, – როგორც არყოფნა, – არ არსებობს.

მზე და მოგერის ცა იხატება ლამის ყოველ ელე-გიაში. მოგერი კონკრეტული გარემოა. ესპანეთის ზღვისპირა პატარა ქალაქი, პოეტის სამშობლო, იხატება დეტალურად, კონკრეტული რეალიებით, თავისი ყოველდღიური, მხოლოდ ანდალუსისთვის დამახასიათებელი ცხოვრების წესით, ადათებით. და თან მოგერი უნივერსალური გარემოა, იგი წუთისოფელია, სოფელია ჩვენებური ძველი ქართული გაგებით.

მოგერის უნივერსალურობაზე ისიც მეტყველებს, რომ მოგერის სული არის ლვინო და პური, რაც ქრისტეს სისხლისა და ხორცის შესახებ ფიქრებს იწვევს.

ბრუნდება მოგერში პოეტი და თან კითხულობს: „დაბრუნება... საიდან? რისთვის? სად?“ – და მიგვანიშნებს, რომ მოგერიც არ არის მისი ჭეშმარიტი სამყოფელი. მოგერის სანახებში ეს ხეტიალიც სულიერი სამშობლოსკენგზისგაგნებაა. საიდანმოვდივართ? საითმივდივართ? რისთვის? რა მიზანი აქვს ამას ყველაფერს? – დაისმის კითხვა და ამ კითხვის პასუხია მთელი ნაწარმოები, მისი

ყოველი ელეგია. პლატერო და პოეტი ისევ ჩაძინებულ ქალაქში ბრუნდებიან. სიბნელეში არ ჩანან, მაგრამ სურნელს აფრქვევენ ზამბახები, რომლებსაც პოეტი და პლატერო ამჯერად თეთრი პეპლების ნაცვლად ეზიდებიან მძინარე ქალაქში. „ჩაძნელებული ქალაქი“, „ჩაძინებული ქალაქი“ მკითხველისთვის უკვე სრულიად გარკვეული დატვირთვის მქონეა. „ჩემი სული ზამბახია, სიბნელეში გამონათებული!“ – იტყვის პოეტი და მკითხველს აღუძრავს ფიქრებს: ეგებ იქაა სამშობლო, სადაც სურნელება ყვავილობს, სადაც ზამბახი გამოანათებს სიბნელეში.

ყვავილი პირველსავე ელეგიაში გამოჩნდება. მერე უყვავილოდ თითქმის არცერთი ელეგია არ არის. ყვავილის ხატს შეგვაჩვევს პოეტი და შემდეგ წაგვეშველება, გვაუწყებს, რომ მხატვრულ-მსოფლმხედველობრივი დანიშნულების მტვირთველია: „ყვავილი ხატია ჩვენი მარადიული გაზაფხულისა“. ბოლოს კი პლატეროს საფლავზე „ამოყვავილებული და ამოღალანებული“ ზამბახები გვესაუბრებიან მარადიულ გაზაფხულზე.

ბავშვები მრავლად არიან პლატეროს და პოეტის გარემოში. პლატერო მათ ზურგით დაატარებს, ეთამაშება; პატარა გოგონას ნანინაზე თავადაც ბავშვივით იძინებს; იხატება პატარების სათუთი მეგობრობა პლატეროსთან. იხატება ბავშვების უნებური სისასტიკეც, ცნობისმოყვარეობით ან გაუაზრებლობით გამოწვეული: კუს პირალმა ამოტრიალება, მისთვის თოფის დახლა, ქვების დაშენა ბეხრეკი ვირისთვის, თეთრი ფაშატისთვის.

პოეტი და პლატერო სიცოცხლეს უხალისებენ ბავშვებს, ზოგჯერ იუმორით განმუხტავენ სიტუაციას. პლატეროს ირგვლივ ბავშვებია სიცოცხლეშიც და მერეც. „აჩუ, პლატერო!“ – მიჯირითობენ ოცნების ველზე პატარები. პლატერო კი ბავშვების ნაცვლად ზეციურ ველებში ეთამაშება ყრმა ანგელოზებს.

ბავშვებთან ერთად პლატეროში იხატებიან მონიფული კაცები, მათი გართობა-თამაშობანი. აღდგომის წინა დილით სიყვარულის ნაცვლად სიძულვილს აუტანია „დიდები“. გაბავშვებულან თითქოს და წარმოსახვით ხოცავენ მათთვის საძულველ ადამიანებს. „დიდებს“ ღორის შიგანს მიუგავთ სახეები, აძიძგილავებენ მამლებს, რომლებიც ადამიანთაგან იმუხტებიან სიძულვილით. „ეს ორი ამაზრზენი, მრის-ხანე და ბოროტი სისხლისფერი ყვავილი“, – ამბობს გასისხლიანებული მამლების შესახებ პოეტი და კვლავ თავს შეგვახსენებს ყვავილი – სულიერების ხატი, რომლის გადაგვარებაც, ბოროტ ყვავილად ქცევა თურმე ასე იოლად შეუძლია ადამიანს. და ამ დროს ხმიანობს პოეტის სული: „რა ბედნიერებაა, იყო აყვავებული ფორთოხლის ხე, იყო ლალი სიო, იყო მაღალი მზე!“

იხატება კორიდაზე შერყეული ქალაქი. პლატერო და პოეტი კი მინდვრებისკენ გაუყვებიან ბუნების ჭეშმარიტი მშვენიერების სახილველად და ელეგიას ასე ასრულებს პოეტი: „სული, პლატერო, სული გრძნობს, რომ ნამდვილი უფალია თავისი ღირსეული გრძნობებისა, უფალია ბუნების დიადი და სალი სხეულისა. ბუნება კი ყველას დამსახურებისამებრ მიანიჭებს ამაღლებული და მშვენიერი სულის შესაფერ სხივნათელ და მარადიულ სანახაობას“.

ოღონდ ადამიანმა არ უნდა დაიგსოს ბუნების „სხივნათელი და მარადიული სანახაობის“ სახილველი თვალი.

ასე უთხრა მკითხველს პოეტმა, რომ სრულყოფილებამდე წინ დიდი გზა აქვს ადამიანს სავალი. იმიტომაა ამდენი ბავშვი პლატეროში, რომ ბავშვი უნდა გაიზარდოს, კაცობრიობა უნდა მოიწიფოს, თან ბავშვური სილადე და უბინოება უნდა შეინარჩუნოს. პლატეროს ბავშვები სულიერ ზრდას მოწყურებული კაცობრიობაა. პლატეროს „დიდები“ მეტწილად ზრდა-

შეჩერებული, სულიერების გზაზე შეფერხებული ადა-  
მიანები არიან. აღარც „სულიერების ზეციური კუნ-  
ძულის“ ძიება ახსოვთ, არც ის იციან, გზა თუ აქვთ  
გასავლელი. და ერთ-ერთი ელეგიიდან შეგვეხმიანება  
პოეტი: „ადამიანი ნახევრად თვალხილული დაიარება.  
იხედება შიგნით თუ გარეთ. თავისი სულის ბნელ ხვეუ-  
ლებში ახვავებს სადლეხვალიო ყოფით ხატებს, ანდა  
თავის გულს გადაუხსნის მზეს და მარადიულ გაღმა  
ნაპირზე ნამდვილი ყვავილივით გაახარებს ვერვისგან  
მოსახელთებელ პოეზიას, პოეზიას გაცისკროვნებული  
სულისას“. მარადიული გაღმა ნაპირი რომ სულიერების  
ზეციური კუნძულია“, – ეს ნათელია მკითხველისთვის.

პლატეროში ბავშვების სახელებიც გამოჩნდება და  
„დიდებისაც“. მაგრამ არ ვიცით, რა მიმართებაში არი-  
ან ისინი ერთმანეთთან და პოეტთან. ეს არცაა მნიშვ-  
ნელოვანი. კონკრეტული ნათესაური კავშირები არ  
ვლინდება. „სავახშმოდ მიხმობენ“, – იტყვის პოეტი და არ  
ვიცით, ვინ უხმობს, ვინ ჰყავს ოჯახში. ვინ არიან ბლანკა,  
პეპე, ანილია და სხვანი? პოეტის წინაშე არ დგას ნათესაურ  
ურთიერთობათა საკითხი. პლატეროში სხვა უნივერ-  
სალურ კავშირებსა და სულიერ ნათესაობაზეა საუბარი;  
პოეტმა გვითხრა, რომ ადამიანებს შორის სისხლით  
ნათესაობაზე უფრო ძლიერი სხვა კავშირი არსებობს.  
საერთო მშობლებს გარდა დედამიწის მკვიდრთ საერთო  
გვაქვს მზე, მთვარე, ვარსკვლავები, ფერით უთვალავი  
სამყარო, სულიერი მისწრაფებები. პოეტმა გვითხრა, რომ  
ადამიანები ყველანი ნათლის შვილები ვართ.

ვიცით, რომ პოეტს ძმა პყოლია, ბავშვობაში ერთად  
უპოვიათ ბერძნული კუ. მერე არაფერი ვიცით მის  
შესახებ. „ჩემი ძმები არიან ბელურები“, – გვეუბნება  
პოეტი, რადგან ბევრ საერთოსა და ნათესაურს გრძნობს  
ცის ლალ და თავისუფალ ბინადრებთან. პირობითობე-  
ბით შეუზღუდავი მათი ცხოვრების წესი ხიბლავს პოეტს.  
მკითხველს კი ჩიტებთან პოეტის ძმობა გაახსენებს  
სახარების იგავს, რომლითაც მაცხოვარი მოძღვრავს

ხალხს, მიბაძონ ფრინველებს, რომელიც არ იუნჯებენ საუნჯეს, მაგრამ უფალი არ აკლებს მათ საზრდოს. სახარებასთან ასეთი გადახმიანება ხშირია პლატეროში.

სულ რამდენიმე მონასმით იხატება შთამბეჭდავი სახეები სხვა „დიდებისაც“: გარგარით მოვაჭრე ადრე დაკაცებული ბიჭი, ყბადაუყენებელი გრანადილია, თავქეიფა ჰიკონი, ბეითალი დარბონი, მებარგული ლეონი, დედა ტერეზა და სხვანი. ნაწარმოების თავისებური სტილი ხასიათების ძერწვას არ მოითხოვს, მაგრამ ყოველი მათგანი კოლორიტული და განუმეორებელია. ესენი მოგერის მკვიდრნი არიან, წუთისოფლის ყოფის ფართო სპექტრი წარმოჩნდება მათი საშუალებით.

პლატეროს ვეცნობით მარტში. იგი კვდება თებერვალში. დედამინა შემოივლის მზის ირგვლივ ზოდიაქოთა სრულ წრეს. ერთი წლის განმავლობაში დაეხეტებიან პლატერო და მისი პატრონი მოგერის შემოგარენში. ეგებებიან განთიადსა და მწუხრს, შეპხარიან მიწას, ცას, ვარსკვლავებს. იხატება წელიწადის ოთხივე დრო თითოეული მათგანისთვის შესაფერი ყოფითი გარემოთი და ემოციური მუხტით. წელიწადის ყოველი დრო თავისებურად „გვინვევს ჩვენ-ჩვენს სულებში ჩასახედად“, – გვეუბნება პოეტი.

საგულდაგულოდ აღწერილია წლის ყოველი თვე სათანადო განწყობილებით. წელიწადის დროთა და თვეთა სახელწოდებები ელეგიების სათაურებშიც არის გამოტანილი. ამითაც მიაქცევინებს პოეტი მკითხველს ყურადღებას იმაზე, რომ დედამიწის რიტმს შეესაბამებიან ელეგიები.

ნაწარმოებში ამასთანავე წამოიჭრება საჭირბო-როტო სოციალური პრობლემები: სიღატაკე, აღზრდის მანკიერებანი, ეკოლოგიური პრობლემები. პოეტის აზრით, ზნეობრივი დამოკიდებულება, გულისხმიერება ბუნების მიმართაც ისევე აუცილებელია, როგორც ადამიანის მიმართ. თავისი დარგული ხე გაუუცხოვ-

და პოეტს. ბუნების გაუფრთხილებლობამ ჰარმონიის ხელყოფა მოიტანა. ნაწარმოებში აისახა გარემოს უხეში ხელყოფით გამოწვეული სავალალო შედეგებიც და ზანგთა ადამიანური ღირსების შელახვაც კი.

და ეს ყველაფერი ბუნების უფაქიზესი აღქმით ჩამოქნილ სურათებში ძალდაუტანებლად, თითქოს სასხვათაშორისოდ არის ჩართული. ასე, მაგალითად: ზამთრისპირია, „მზეს უჭირს თბილი ლოგინის მიტოვება და გლეხები ადგომას ასწრებენ“. – გვითხრა პოეტმა და ბუნების ჰარმონიულ ხატში ასე მრავლისმთქმელად ჩაიწერა გლეხის მუხლჩაუხერელი ყოფის თემა. სხვაგან ასევე სასხვათაშორისოდ გვითხრა, რომ არა აქვს ძლიერი შემეცნებითი ინტერესები გლეხს („სძინავს გლეხს“), მაგრამ დედამინის რიტმთან მას ისეთი ჰარმონიული კავშირი აქვს, თავისი საქმიანობით ისეა ჩართული დედამინის ციკლში, რომ „მაღალ ზეცას მაინც ხედავს ლრმა ძილში“. გაზაფხულის ყვავილებს წაეტანა პლატერო და პოეტი მას მიმართავს: „ეჱ, პლატერო, ჩემო, რა იქნებოდა, ჩვენც ყვავილები გვეჭამა და შენსავით შეგვრებოდა!“ ასე პოეტურად და ასე სადად გაგვესაუბრა ხიმენესისოციალურ სიძნელეთა შესახებ და იდეალურ ფასეულობათა გამო ნოსტალგიაც გვაგრძნობინა.

ადამიანს თავისი ქცევით შეუძლია ფეხი აუწყოს სამყაროს რიტმს და შეუძლია დისონანსიც შეიტანოს ჰარმონიაში. თეთრი ფაშატის მიმართ გამოჩენილი ულმობლობა დამანგრეველ სტიქიას აგონებს პოეტს, მომაკვდავი ცხენის მიმართ გამოხატული სიბრალული კი – გრიგალში პეპლის ფარფატს.

დისპარმონიული ყოფის, გზაზე შეჩერებისა და უკუსვლის შემთხვევებიც იხატება პლატეროში. ბოშათა ოჯახის ყოფა ისევე დისპარმონიულია, როგორც მათი შეუწყობელი ჰანგი.

წელინადის რიტმთან ერთად ნაწარმოებში გამოკვეთილია დღე-დამის რიტმიც. ხან კოშკის საათის რეკვით, ხან სადგურის ომნიბუსის, ხან კი სა-

ფოსტო ეტლის რეისით დროს შეგვახსენებს პოეტი. ნაწარმოებში იხატება ბევრი განთიადი, ბევრი მწუხრი, დილა, შუადღე, ლამე. დროის შეუნელებელი პულსაცია იგრძნობა. ყოველი ელეგია გვაფრთხილებს, რომ დრო არ იცდის.

რელიგიური ცხოვრების რიტმი ჩართულია ასტ-რონომიული დროის მსვლელობაში. აღწერილია რელიგიური და სახალხო დღესასწაულები, რომლებშიც მონაწილეობენ პლატერო და პოეტი.

ეკლესიის ზარების რეკვა ხშირად გაისმის და შეგვახსენებს, მიწისაგანნი რომ არა ვართ მხოლოდ.

და ბოლოს, ყველა რიტმი ეთანხმება კოსმიურ რიტმს, მარადიულობას, ზედროულობას. „როცა მწუხრის ზარები რეკავენ, სიცოცხლეს თითქოს ეცლება ჩვეულებრივი ძალა და წამოიმართება სხვა ძალა: უფრო ღრმა, უფრო დიადი, უფრო ძლიერი და უფრო წმინდა. ბედნიერების შადრევანივით ამოხეთქილი ეს ძალა ვარსკვლავებამდე აზიდავს და ამაღლებს ყველაფერს“. სხვა ელეგიებში პოეტი გვეუბნება, რომ „უღრუბლო ცის დასალიერიდან, სამოთხის გახსნილი ბჭიდან“ მოისმის ზარები, რომ „ზარები სულ ზევით, მაღლა, ვარსკვლავებს შორის რეკავენ“.

დედამინის რიტმიდან ზეციური რიტმისკენ მიგვიძლვება პოეტი და მომდევნო ელეგიაში გვაუწყებს, რომ ადამიანიც უნდა ჩართული იყოს სამყაროს რიტმში, „ჩვენს მკერდში უნდა რეკავდნენ ზარები და ჩვენი გულივით უნდა ძგერდნენ“. პოეტი მიგვანიშნებს, რომ ნირვის ზარებიც იმ ზეციური რიტმის შეხსენებაა.

ხიმენესს აქვს ლექსი, რომლის სათაურია წელინადის მეხუთე დრო. ეს ლექსი მიიჩნევა მის სულიერ და პოეტურ ძიებათა მწვერვალად. სწორედ ეს მეხუთე დრო, ანუ ზედროულობა, არის წარმმართველი წელინადის ოთხივე დროისა. მარადიულობა არის გამრიგე წარსულისაც, აწმყოსიც და მომავლისაც.

პოეტი ადამიანის ცხოვრების რიტმთან ბუნების

მოვლენების უმჭიდროეს კავშირზე დაგვაფიქრებს. ანილიას მწველ ვნებებსა და ელვა-ჭექას შორის არის რაღაც იდუმალი ერთობა. ანილია რომ მეხთან ერთად საკუთარმა ვნებათაღელვამაც დადაგა, – ეს ფიქრი უჩნდება მკითხველს.

„ათასგვარი ფორმები იბადება ცეცხლის მშვენიერ უსასრულობაში“, – ამბობს პოეტი და ცეცხლის სტიქიის გამოვლინებას ხედავს სიყვარულის მწველ ალში და ჩვენი სისხლის ჩქროლვაში.

ზაფხულის ხვატში, დახაშმულ გარემოში წყლის ჩქერის ფორმათა ცვალებადობაში წყლის სტიქიის შემოქმედებით ძალას შეიგრძნობს უმანკო ბავშვი.

პოეტი პოეტური ხატებით გვიდასტურებს ადა-მიანის უნარს ბუნების იდუმალებაში შეღწევისას. ელვის მჭახე ყივილია თურმე მეხისტეხა, სიბნელის ხმიანობაა თურმე ბნელ კრისტალებად დაფშვნილი ჭრიჭინობელას ჰანგი.

პოეტი ჩართულია სამყაროს ჰარმონიაში და გვი-ზიარებს ამ ჰარმონიით მოგვრილ თავის უფაქიზეს განცდებს: „საზამთრო ნითლად შეთრთვილული სიგ-რილეა“; „ბრონეული ლალივით გამონათებაა ალიო-ნისა“; „მისი ქერქის სიმწკლარტე კი სიმშრალის გემოა“ თურმე.

„ბეღურამ თრთოლა შეატოვა რტოს“, „ყანას ყაყა-ჩოები შეშხეფებოდა“, – გვეტყვის პოეტი და ვგრძნობთ, რომ ჩვენი ნებაა, შემოვიფარგლებით უმარტივესი განცდებით, თუ შევაღწევთ ყოფიერების იდუმალებაში.

პოეტმა უნატიფეს ფორმებს მიაკვლია ადამიანური სატრფიალო ვნებათაღელვის გადმოსაცემად. მინია-ტურებში – „ლელვები“, „ის და ჩვენ“, „ანტონილია“ – ამის დამადასტურებელი არაერთი მხატვრული მიგ-ნებაა.

ინტუიციით განათებული პოეტური ხილვებით და-ხუნძლულია ნაწარმოები.

ცა, მზე, მთვარე, ვარსკვლავები ჩართულნი არიან ადამიანის ყოფაში: პლატერომ წყალში ჩატოპა, ზედ მთვარეს დააბიჯა და შეფეხბად მიმოისროლა მისი ნაფლეთები; ვარსკვლავები ირწევიან და მთვარე ინთება ჭის სილრმეში; მთვარითაა შემთვრალი და ვარსკვლავებითაა გაბრუებული ჭრიფინობელას ჰანგი; ლეკვი ამომავალ მთვარესა ჰგავს; პლატერომ მთელი კასრი წყალი შესვა თავის ვარსკვლავებიანად; ხე მწვანე ცეცხლია, ოღონდ მისი სიმწვანე იღვრება ლაუკარდოვანი ცის თეთრი ღრუბლებიდან.

ცა ჩამოსულია მიწაზე, ჩართულია დედამიწის მკვიდრთა ცხოვრებაში, აირეკლება პლატეროს თვალებში, ბდლვრიალებს პატარა გოგოს წვირიან ცრემლებში, ცის ნაფლეთს სვამს ჭასთან დაღვრილი წყლიდან ბეღურა.

მზის დაბნელება დასაწყისშივე დაგვიხატა პოეტმა. მზე ყველაფრის გამრიგეა. დაბნელდა მზე და ყველაფერი აირია. ქცევა შეეშალათ ფრინველებს, იერი შეეცვალა დედამიწაზე ყველაფერს და მკითხველის აზრებს ეპატრონება საფიქრალი: უცვლელი არაფერია წუთისოფელში, მაგრამ ამასთანავე არსებობს ამ ცვალებადობათა განმგებელი ძალა. თითქმის ყოველ ელეგიაში მზეა. ან ჩადის, ან ამოდის, ან ღრუბლებში იფშვნება, ზეციურ და მიწიერ ფერთა სიუხვეს ქმნის. ნათელთან მზის შეთამაშება წარმოშობს ფერთა მრავალგვარობას და ფერთა ქმნადობის პროცესით მოცული პოეტი მკითხველსაც საოცარი ძალით აგრძნობინებს ფერის ფენომენის საიდუმლოს.

ფერს რაკი განსაკუთრებული როლი ეკისრება პლატეროში, მკითხველსაც მართებს განსაკუთრებული ყურადღების შეჩერება ფერზე. იგი ნათლის მარადიული არსის სხვადასხვა ასპექტთა გამოვლინებაა ხიმენესისთვის. ამიტომაა, რომ ლამის ყოველ ელეგიაში იხატება მზისაგან ფერთა ჯადოსნური თამაში. ამიტომაა, რომ ძველი წყარო ფერებს იცვლის მზის

გამონათების შესაბამისად, მაგრამ „მაინც მარად თეთრია“.

მზის სხივს მიჰყვება პოეტი ზეცაში და გაერიდება ბრძოს ყაყანს, ჩამოიტოვებს დამცინავ შეძახილებს. მზე მონაწილეა ყველაფრისა, ბებერი იადონი ჩამავალი მზის სხივებში აფათქუნებს ფრთებს; ლეკვებდაკარგული ძალლი ჩამავალ მზეს შეჰყმუს. სულ მზეა. მაგრამ აპრილის მზე მაინც სხვაა. იგი „წელიწადში ერთხელ ამოჩახჩახდება ხოლმე გაზაფხულზე, ჩასვლით კი ჩადის ყოველ საღამოს“. ნაზამთრალზე მზის მონატრება ასე ჩაატია პოეტმა სიტყვაში.

ელეგიიების თანმიმდევრობასაც ხშირად მზით ამზადებს პოეტი. ხატავს ნამსხვრევებად დასერილ მზეს, სისხლჩამომდინარეს. ჩამავალი მზე წითლად შეფერავს წყალს და მოწყურებულ პლატეროს სისხლივით ჩამუქებული ნაკადი ჩაეღვრება პირში. გაივლის ხანი და პლატეროს, რომელსაც წურბელა შეჰყვა, მართლა ევსება პირი სისხლით. ამგვარი დეტალი უამრავია.

ხიმენესი მოვლენებს სხვადასხვა რაკურსით გვანახვებს. ხედვის კუთხის შეცვლასთან ერთად სახეს იცვლიან საგნები და მოვლენები. სხვენიდან დანახული შეჩვეული გარემო სხვაგვარად აღიქმება. სხვანაირია მაღლიდან დანახული ეზო-ყურე, ადამიანთა საქმიანობა, სხვანაირია პლატეროც.

პოეტმა გვითხრა, რომ ყოველდღიურ ყოფაში ჩაკარგვა არ გვმართებს, სადღეხვალიო საზრუნავში ჩაფლულთ გვეკარგება მთავარი. ზოგჯერ გარედან, მაღლიდან უნდა შევხედოთ რეალობას. ამასვე გვეუბნება პოეტი, როცა ჩიტების თვალით დანახულ ჩვენს ყოფას გვიხატავს. შემოდგომაზე ჩიტები ადამიანებს ჩამოცვენილი ფოთლების სიყვითლეში გვხედავენ, ისევე როგორც გაზაფხულზე ჩვენ ვხედავთ მათ სიმწვანეში.

ზოგჯერ პოეტი საკუთარ თავსაც უყურებს გარედან. ასეთი ხედვის შედეგია: „ვწევარ ჩემკენ ზურგ-

შექცევით“. სხვა ელეგიაში ღამის იდუმალებას შეეზავა პოეტის სული და თან შინისკენ მიმავალ თავის თავს თვითონვე შეჰყურებს.

ხედვის კუთხის მიხედვით იცვლება სინამდვილე და ამ ცვალებადობაში მოსახელთებელია წარუვალი, მარა-დიული, უცვლელი ფასეულობანი. ყოველდღიურობაზე ამაღლებას, დიდი გადასახედიდან მოვლენების დანახვას მოითხოვს პოეტი. მაშინ გაიოლდება მთავარისა და წვრილმანის გარჩევა და ის წვრილმანიც თავის მნიშვნელოვან ადგილს გაგვიმხელს.

პოეტს საგანთა და მოვლენათა შინაგან არსშიც შევყავართ. ერთ-ერთ ელეგიაში „წითელი ვარდის ცხელი გულისგულიდან“ დანახული გარემოა ასახული.

სულიერი თვალით მზერასთან ერთად სულიერი ყურით სმენაც რომ შეშვენის ადამიანს, – ესეც გვითხრა ხიმენესმა. ხმაურიან ყოფაში პოეტი უსმენს სიჩუმეს. „და ამ სიჩუმეს გამოსცემს სამყარო, ანუ მოგერი, მისი ველ-მინდვრები, შენ და მე, პლატერო“. – გვეტყვის ხიმენესი და მკითხველსაც ასმენინებს „ცის დასალიერში დავანებულ ღვთაებრივ გარინდებას“. ეს ჰარმონია ყველგან არის, ოლონდ სულიერი თვალი და სულიერი ყური სჭირდება მის შეცნობას.

ყველას თავისი გზა აქვს. მაგრამ უსიყვარულოდ ეს გზა არ გაილევა. ხიმენესმა გვითხრა, რომ უსიყვარულოდ ადამიანი შეგუბებულ ტბორსა ჰგავს. ადამიანს თავისი ოცნების ნაკადული უნდა ჰქონდეს, გაღმა ნაპირზე გასაღწევი. წყარომ უნდა ამოხეთქოს ადამიანის სულში. ეს წყარო „თავის თავში მოიცავს მთელი სამყაროს სევდას, ანუ სიცოცხლის ჭეშმარიტ განცდას“. – გვეუბნება პოეტი და გვაუწყებს, რომ სიცოცხლის ჭეშმარიტი განცდა სამყაროს დიდ სევდასთანაა გადაჯაჭვული.

ადამიანის სულში ამოხეთქილ ამ წყაროს უნდა ვუმაღლოდეთ არსებობას პართენონისას, პირამიდებისას, სხვა გენიალური ქმნილებისას. მიქელან-

ჯელო, როდენი, ბეთჰოვენი – ყველა ამ წყაროდან იღებს დასაბამს. პოეტმა გვითხრა, რომ ადამიანის სულში ამოხეთქილმა წყარომ შექმნა ყველაფერი, რაც დიადია კაცობრიობის კულტურაში, რადგან თვით მარადიულმა შემოქმედმა ჩაუბუდა ადამიანს სულში ეს წყარო. ელეგიას პოეტი ასე ასრულებს: „სიკვდილი ჩემი სულიდან ამოაჩქეფებს წყაროს ჩემი მარადიულობისას“.

ხიმენესისთვის სიკვდილი მარადიული არსებობის ერთი ეტაპია. პოეტმა ისიც გვითხრა, რომ სიკვდილს განშორების გაუსაძლისი დარღი მოაქვს. ადამიანი იიოლებს კაეშანს: ზოგჯერ მუყაოს პლატეროს მივჩირებივართ, როცა ზეციურ ველებში გაჭრილს ვერ ვწვდებით. მაგრამ პოეტი საოცრად სათუთი და დამნდობია იმათ მიმართ, ვისაც ეს სანუგეშოდ სჭირდება.

გზა ზეციურ განზომილებებშიც გრძელდება. პოეტი პლატეროს მიმართავს სიკვდილის შემდეგ: „ამ წიგნის კაბადონებით ჩემი სული აყვავებული მაყვლოვანიდან გაუდგება ზეციურ გზებს, დღითი დღე ამაღლდება და გახდება უფრო კეთილი, უფრო სათნო, უფრო წმინდა“. მკითხველი ალბათ მიხვდება, რომ ეს აყვავებული მაყვლოვანი ბიბლიური „უწვავი მაყვლოვანია“, მოსე წინასწარმეტყველის ღვთაებრივ ხილვათა სამყარო.

ხიმენესმა სრულყოფილება სიცოცხლის პრინციპად მიიჩნია.

სრულყოფილების რომელ მარადიულ პრინციპზე შეიძლება საუბარი, თუ ადამიანის სული ნადგურდება სიკვდილთან ერთად?! განვითარება არ არსებობს სულის უკვდავების გარეშე.

ხიმენესს მიაჩნია, რომ ადამიანი დაშორებულია თავის ჭეშმარიტ არსს, ბევრად მეტია მისი შესაძლებლობანი, ბევრად მნიშვნელოვანია ადამიანის ადგილი სამყაროს ერთიან ჰარმონიულ სისტემაში. ადამიანს შეუძლია, ადამიანს ღვთით ევალება, გაღრ-

მავდეს და გაფაქიზდეს ისე, რომ იგრძნოს მარა-დიულობა საკუთარი სულისა და სამყაროს ღვთაებრი-ვი არსისა. ხიმენესის ცნობილი აფორიზმია: „ადამიანი ფრთოსანი არსებაა, ოღონდ ფრთების მოქნევა მხო-ლოდ შემეცნების ნათელში შეუძლია“. ადამიანში ჩაბუდებულია სევდა შემეცნების ნათელში ფრთების გაშლის გამო, თავისი თავის შეცნობის გამო.

ხიმენესის უფროსი თანამედროვე, ესპანურენოვანი ცნობილი პოეტი ირუბენ დარიო მის შესახებ წერდა: „იშვა ის, ვინც ამოთქვა ანდალუსის სულში ჩაბუდებული იდუმალი სევდა“. ანდალუსის სევდა ამავე დროს უნივერსალური ადამიანური სევდაც არის.

ხიმენესის პლატეროს „ესთეტიკურ ეთიკას“ და „ეთიკურ ესთეტიკას“ უწოდებენ. სამყაროს ჰარმონიას მიყურადებული პოეტი აფუძნებს მარადიულ ეთიკურ და ესთეტიკურ იდეალებს.

წუთისოფლის წარმავალობას უძლებენ ცხოვრებაში გამოტარებული ზნეობრივი ფასეულობანი. „სიცარიე-ლესა და განადგურებას თვალს ვუსწორებთ, ვდგავართ გამართულად, რადგან შეგვრჩა საუნჯეთაგან უმშ-ვენიერესი – გული“. – ამბობს პოეტი. ზღვარი იშლება სიკვდილ-სიცოცხლეს შორის და პლატეროს ბოლოს სადიდებელი ეძღვნება ადამიანს – წუთისოფელში ღირსეულად გავლილი გზით ამაღლებულს, მარადი-სობაში გაღწეულს.

პლატერო იოლი საკითხავია. სისათუთე, სინაზე, მშვენიერება, სითბო სულში ეღვრება მკითხველს დაძაბვის, ფიქრისა და გარჯის გარეშე.

პლატერო ძნელი საკითხავიცაა. პლატეროში ყვე-ლაფერი ხელშესახებად გრძნობადია და თან ზეგრძ-ნობადიცაა. პლატერო მეტისმეტად ესპანურია და თან უნივერსალურია. პლატეროში უამრავი ქვე-ტექსტია, უამრავი ორიენტირია. ერთი ხატი უამრავი სხვა ხატით იკრებს ძალას, სხვა გამომსახველობით საშუალებებს განაპირობებს და თავადაც მათგან არის

განპირობებული. ყოველი სიტყვა მნიშვნელოვანია, რადგან ერთიან კონტექსტში იძენს თავის განსაკუთრებულ მხატვრულ ფუნქციას და მასშტაბურ განზომილებას.

პლატეროს ყველა ხატის გახსნა შეუძლებელია. არც არის საჭირო, ხიმენესს თავისი პლატეროთი კაცობრიობისთვის რისი თქმაც უნდოდა, მხოლოდ ასე და ამ ფორმით შეიძლებოდა თქმულიყო.

ყველა ადამიანი თავისას ამოიკითხავს ამ წიგნში თავისი მისწრაფებების, სულიერი წყურვილის, პიროვნული სიღრმის, სისათუთის, ძიების უნარის, ცნობიერების დონის შესაბამისად. მაგრამ შეუძლებელია, პლატეროს მერე სხვანაირი არ გახდეს ცხოვრება. განათებული ხევულები ჩვენი სულისა იოლად ვეღარ ჩაიხურება ისევ. მეტის დანახვა, სამყაროს იდუმალებისთვის გულის გადახსნა მოუნდება ადამიანს, რომ ნათლის სხივმა მეტი ძალით შემოალნიოს სულში.

პლატერო ღვთაებრივი ჰარმონიის მომცველი დიდებული მუსიკალური ქმნილებაა, სანოტო ნიშნების ნაცვლად სიტყვებით ჩაწერილი.

მანანა გიგინეიშვილი

ვუძლვნი საბრალო აგედილიას ხსოვნას.  
ერთი შეშლილი ვოგო იყო მზის ქუჩიდან,  
მაყვლისა და მიხაკების მოკითხვა იცოდა ჩემთვის.

## ԲՈՒԱՆՈՒԹՅԱՐԱՐՁԱՆԱՅՈՒԹ

ზოგს ჰეგონია, რომ „პლატეროდა მე“ ბავშვებისთვის  
დავწერე, რომ ესაა საბავშვო ნიგნი.

არა, 1913-ში გამომცემლობა *La Lectura*-დ რომ შეიტყო, ამ ნიგნს შევუდექი, მთხოვა, „საყმანვილო ბიბლიოთეკისთვის“ ნინასნარ შემერჩია ყველაზე პოეტური ადგილები. იმნამსვე ვიუარე და სწორედ მაშინ ვიფიქრე, დამენერა ეს შესავალი:

## რჩევა ღილაკისთვის, რომელიც ამ წიგნს წარადგინოს კატარებს

ეს პატარა ნიგნი, რომელშიც პლატეროს ყურე-  
ბივით ტყუპად, ერთმანეთის გვერდიგვერდაა სიხა-  
რული და სევდა, დაწერილია... რა ვიცი, ვისთვისაა  
დანერილი!... მათთვის, ვისთვისაც ვნერთ ხოლმე  
ლირიკოსი პოეტები... რაც შეეხება ბავშვებს, ამ  
ნიგნის ძკითხველებად მათ არც გამოვრიცხავ და არც  
საგანგებოდ ვგულისხმობ. ძალიანაც კარგი!

„ბავშვები სადაც კი არიან, ყველგან ოქროს ხანაა“. – ამბობს ნოვალისი. სწორედ ამ ოქროს ხანისთვის, რომელიც ზეციდან ჩამოვარდნილი ღვთაებრივი კუნძულივითაა, ძეგრს პოეტის გული. თავს ისე კარგად გრძებობს აქ პოეტი, რომ ურჩევნია, არ მოუნიოს მისი მიტიკურია.

სინაზის, სილალისა და ბედნიერების კუნძულო, ბავშვობის ოქროს ხანავ! ხშირად მოგავითხავ ხოლმე სევდის ზღვად ქცეულ ამ ჩემს ცხოვრებაში. და, შემოიქროლოს შეხმა სიომ და თან მოიყოლოს თავისი ქნარი, - მუდერი და ზოგჯერ აზრმიუტანებელიც, შეთენებულზე ტოროლას გალობის მსგავსი.

არასდროს დამინერია და არც დავწერ რაიმეს  
ბავშვებისთვის, რადგან მიმაჩნია, რომ პატარებს  
მშვენივრად შეუძლიათ ნაიკითხონიგნები, რომელთაც  
დიდები კითხულობენ. ოღონდ გააჩნია ბავშვს. გამო-  
ნაკლიისი ყველგანაა: კაცებშიც, ქალებშიც და ა.შ.

## პლატერო

პლატერო პატარაა, გაბურძგნილი, ფაფუკი. ისეთი ქუნქულაა, თითქოს მთლად ბამბისა იყოს და ძვლები არც კი ჰქონდეს. მხოლოდ თვალები აქვს მკვრივი, გიშრის ხოჭოებივით თვალები, რომლებშიც სარკესავით იხატება არემარე.

ნებაზე ვუშვებ. მდელოზე დანავარდობს და დრუნჩის უცაცუნებს, ეფერება ვარდისფერ, ცისფერ, ოქროსფერ ყვავილებს... ნაზად, დაყვავებით ვეძახი: „პლატერო?!” გახარებული ისე მოჩინდრიკებს ჩემქენ, თითქოს კისკისებს, თითქოს რაღაც უცნაურ ეჟვანს ანკარუნებს.

ჭამის, რამდენსაც მივცემ. უყვარს მანდარინი. მუსკატის ჯიშის ჩაქარვებული ყურძენი, იისფრად ჩამუქებული ლელვი თავის დათაფლულ წვეთიანად.

დამყოლია და ალერსიანი. ბავშვივითაა, პატარა ბიჭივით, პატარა გოგონასავით. მაგრამ ძლიერიცაა და შინაგანად მტკიცეა, ქვისაა თითქოს. კვირადლეს სოფლის განაპირა შუჟებში რომ ჩავატარებ ხოლმე, საგარეოდ სუფთად გამოწკეპილი დინჯი გლეხები თვალს აყოლებენ:

– ფოლადისგანაა ჩამოსხმული..

დიახ, ფოლადისგანაა, ფოლადისა და მთვარის ვერცხლისაგან.



## თეთრი პეალები

ჩამონისლულია და იისფრად ღამდება. ეკლესიის სამრევლოს იქით ქრება წითელ-მწვანე მკრთალი ნათელი. გზა შეღმართს მიუყვება და სავსეა ჩრდილებით, ზანზალაკებით, ბალახის სურნელით, სიმღერებით, დაქანცულობითა და სწრაფვით. უეცრად სიბნელეში ვიღაც შავ-შავ კაცს სიგარის შუქი წითლად გაუკრთა დაჯდანულ სახეზე. მებაჟის ქუდი ჰეურავს და ხელშიც მებაჟის სადგისი უჭირავს. ნახშირის ტომრებში ჩაკარგული ერთი ჩამოძვლეული ქოხიდან გამოგვაკითხა. პლატერო დაფრთხა.

— რა მიგაქვს?

— ნახეთ თვითონ... თეთრი პეპლებია...

კაცი გოდორში სადგისის შეჩერას აპირებს. ვანებებ. ვხსნი ხურჯინის თვალს. ვერაფერს ნახულობს.

სულიერმა საზრდომ, უბრალომ და მოუხელთებელმა, ასე გააღწია უბაჟოდ.



## მწვერის თამაშობანი

შელამებისას, როცა პლატეროდა მე შემცივნებულები ვძრუნდებით დამშრალი მდინარის კალაპოტისკენ მიმავალი ერთი უსახური და ისფრად ჩაბნელებული შუკით, ღატაკი ბავშვები ერთობიან ხოლმე ერთმანეთის დაშინებით. მათხოვრობანას თამაშობენ. ერთს ტომარა ჩამოუცვამს თავზე, მეორე ჩივის ბრძა ვარო, მესამე კოჭლობს...

როგორც ბალლებს სჩვევიათ ხოლმე, მალე ეცვლებათ გუნება და, რაკი ტანზე პერანგი აცვიათ და ფეხზე – წულა, რაკი დედებმა – ღმერთმა იცის, როგორ, მაგრამ როგორლაც მაინც – მოახერხეს მათი დაპურება, უფლისწულებად წარმოუდგებათ თავი:

- მამაჩემს ვერცხლის საათი ააქ.
- მამაჩემს კიდე – ცხენი.
- მამაჩემს კიდე თოფი ააქ.

ეს ის საათია, დილაბნელზე რომ აღვიძებს მათ მშობლებს; ეს ის თოფია, შიმშილსა და წყურვილს რომ ვერ კლავს; ეს ცხენი კი სილატაკის გარდა სხვაგან არსად მიმყვანი არაა.

შემდეგ ფერხულს აჩალებენ. ჩამოსულმა გოგონამ, აი იმან, სხვა კილოზე რომ უქცევს, პახარო ვერდეს დისწულმა, წერილი ხმით, ბროლივით ანკარა წყაროს რაკრაკივით წამოიწყო სიბნელეში. მღეროდა ლალად, მართლა უფლისწულივით:

„მე ვარ პატარა ვრაფის  
ერთი პატარა ქვრივი...“

...ჰო! ჰო! იმღერეთ, იოცნებეთ, სანამ გემლერებათ, საბრალო ბალლებო! მალე, თქვენი სიყრმის გარიურაჟზევე, გლახასავით დაგაშინებთ ზამთრად შენიღბული გაზაფხული.

- გავწიოთ, პლატერო!

## მგის დაბეჭდება

უნებურად ჯიბეში ჩავიყავი ხელები. სახეზე მომეფათურა ჩრდილით შეგრილებული ჰაერის თრთოლა, ჩამობურულ ფიჭვნარში რომ იცის, სწორედ ისე. ქათმებმა საბუდარს მიაშურეს და დაწალიკებულები წაკრიახდნენ ხარიხაზე. ირგვლივ ისე ჩამუქდნენ მწვანე მინდვრები, თითქოს საკურთხევლის ისტერი კრეტსაბმელი წაჲფარებოდათ. შორს თეთრად ლაპლაპებს ზღვა. რამდენიმე ვარსკვლავი ბჟუტავს. თანდათან როგორ შეიმღვრა შეფეთქილი ბანების სითეთრე! მზის დაბნელებით ჩამოვარდნილ ამ სიჩუმეში სხვენზე ასულები ერთმანეთს ვეძრახებით, გადავძახებთ რაღაცას: მეტ-ზაკლებად ჭკვიანურს, ან სულაც უმნიშვნელოსა და გაურკვეველს.

რითლა არ ვუჭვრეტთ მზეს: სათეატრო ბინოკლით, საველე ჭოგრიტით, ბოთლის ნატეხით, გამურული შუშით; და საიდანლა არ ვუჭვრეტთ: შუშაბანდიდან, გომურის კიბიდან, ბეღლის სანიაოდან, შიდაეზოს ტიხრებიანი კარის წითელი და ლურჯი მინებიდან.

სულ ცოტა ხნის წინათ, სანამ მზე დაიმალებოდა, ოქროს სხივების ჩქერში ყველაფერი ორჯერ, სამჯერ, ასჯერ უფრო დიადი და ლამაზი იყო. თანდათან და ნელა არ ჩამოღამებულა. ყველაფერი უცებ დაობლდა და დასაწყლდა. ოქრო და ვერცხლი თითქოს სპილენძად დახურდავდა და მთელი სოფელი ჩაჟანგულ შავ ფულს დაემგანა, წვრილ ფულს, რომელიც მეტი აღარ დახურდავდება. როგორ დასევდიანდნენ და დაჩიავდნენ ქუჩები, მოედნები, კოშკი, მთებზე გაკლაკნილი ბანარა ბილიკები!..

და იქ, შემორაგვულში, პლატერო აღარც კი ჰეგავს ნამდვილ ვირს, რაღაც სხვანაირია, სხვა იერი აქვს, თითქოს სხვა ვირია...

## კანკალი

მთვარე დაგვემგზავრა, სავსე მთვარე, მომშვენებული, დიდი და უმანკო. ჩაძინებულ ველებზე ილანდებიან რაღაც უცნაური შავი თხები, რომლებიც მაყვლოვანს შესევიან. ვიღაც ჩუმად იმალება ჩვენი გამოჩენისას. მთვარის ნათელითა და ყვავილებით გადაპენტილ ვეება ნუშს ქულა ღრუბელივით აუტყორცნია მაღლა თავისი ვარჯი, თან მარტის ვარსკვლავებით სხივნატყორცნი გზაც დაუფარავს... ფორთოხლის ბაღებიდან მძაფრი სურნელი აღწევს... ნესტი და მდუმარება... კუდიანების ხევი...

— პლატერო, რო... როგორ... აცივდა!

არ ვიცი, პლატერო თვითონაც დაფრთხა, თუ შიშს მიმიხვდა. გაიჩქარა, წყალში ჩატოპა, ზედ მთვარეს დააბიჯა და შეცებად მიმოისროლა მისი ნაფლეთები. პლატეროს თითქოს ფეხებში ებლანდებიან კრიალა და გამჭვირვალე ვარდები, რათა შეაფერხონ მისი ჩორთი...

პლატერო ბექობს შეუყვა, კუდი ამოიძუა, გეგონება, მისდევდეს ვინმე. უკვე გრძნობს რბილ, შინაურულ სითბოს მახლობელი სოფლისას, რომელსაც ვერ იქნა და ვერ მივალნიეთ...



## სპოლა

შენ რომ სხვა ბავშვებივით გევლო სკოლაში, ჩემო პლატერო, ანბანს ისწავლიდი და ბატიფეხურად, აჩხა-ბაჩხად გამოიყვანდი ხაზებს. იმდენი მაინც გეცო-დინებოდა, ცვილის ყვავილნულებით მორთულმა ცვილის ვირუამ რომ იცის, ზღვის ფერის მეგობარმა, აი იმ ფერისამ, შუშაში ვარდისფრად რომ მოჩანს, ყველაფერი რომ ვარდისფრად ჩანს: სხეულიც, ოქროც, თან სიმწვანეც რომ დაჰკრავს\*. შე კაცო, ჩვენს ექიმზე ან პალოსელ მღვდელზე მეტი ხომ მაინც გეცოდინებოდა?!

ოთხი წლის ძლივსა ხარ, მაგრამ დიდი ხარ და თანაც მოუხემავი! რომელ სკამზე დაეტეოდი, რომელ მერხს მიუჯდებოდი საწერად, რომელ დადაეხნას მოიხმარდი და რომელ კალამს მოიმარჯვებდი? „მრნამსის“ გა-ლობისას ქოროში სად დადგებოდი?

არა, არა. დონა დომიტილა, რომელსაც უფალი იესო ნაზარეველის ქლამინდის მსგავსი რაღაც აცვია და იისფერ სამოსზე ჩალისფერი თოვკი აქვს შემორტყმული მეფესავით ან თევზის ვაჭარივით, სხვა თუ არაფერი, ორისათთომაინც დაგაჩინქებდა ჭადრებიანი შიდაეზოს ყურეში და გამხმარი ლერწმის შოლტსაც გადაგიჭერდა ფეხებზე; ანდა სულაც კომშის მურაბას ამოგიჭამდა სკოლაში გატანებული საუზმიდან, ან კიდევ კუდქვეშ შეგიკვეხებდა ალმოდებულ ქალალდს, რომ მედროგის ბიჭივით აგწითლებოდა ყურები.

არა, პლატერო, არა. წამო ჩემთან. მე გაგაცნობ ყვავილებსა და ვარსკვლავებს. აბუჩად ვერავინ აგიგ-დებს, როგორც ყეყეჩ ბავშვს, ვერავინ ჩაგთვლის მართლა ვირად, სამასხროდ თავზე ვერავინ ჩამოგაც-მევს ნიღაბს, რომელსაც ხომალდის სარკმელივით დი-დი მოლურჯო-მოჟანგისფრო თვალები და ორიშენხე-ლა ყურები ექნება.

\* საუბარია ბაზობაზე გამართული სანახაობის პერსონაჟებზე.

## გიქი

თალხით მოსილი, ნაზარეველის წვერითა და მომცრო შავი სომბრეროთი მოთეთრო-მონაცრისფრო პლატეროზე შემოსკუპული, უცნაური შესახედავი უნდა ვიყო.

ზღვრებისკენ რომ გავწევთ, კირით გადათეთ-რებულ, მზით გაჩახჩახებულ განაპირა შუკებს რომ შევუყვებით, გამოტანტალდებიან ხოლმე გაზიზნილი, თმააბურდული ბოშა ბიჭუნები. გამორბიან წითელ-ყვითელ-მწვანედ ჩამოკონკილები, მზით გარუჯულები, მუცელდაბერილები. მოგვდევენ და მოგვძახიან:

— გი-ჟი! გი-ჟი! გი-ჟი!

ჩვენ წინ მწვანედ ლალანებს ჯეჯილი. მალლა ლურ-ჯად ლვივის უკიდეგანო კრიალა ცა. როგორ მომწყვიტა ჩემმა მზერამ ჩემსავე ყურთასმენას! ფართოდ გახელილი თვალებით ვენაფები ენით უთქმელ ამ სიმშვიდეს, ცის დასალიერში დავანებულ ამ ჰარ-მონიულ, ლვთაებრივ ნეტარყუჩობას.

შორს, კალოს იქით, ჩამოვიტოვეთ გამყივანი შე-ძახილები. სუსტდება, ხამუშ-ხამუშ და ყრუდღა მოის-მის გამაბეზრებელი ხმები:

— გი-ჟი! გი-ჟი! გი-ჟი!



## იერები

რამ შეგაშინა, შე კაცო! რა მოგივიდა? მშვიდად ვიაროთ... იუდებს ხოცავენ, შე ჩერჩეტო! ჰო, იუდებს ხოცავენ. ერთი – მონტურიოზე, მეორე – ენმედიოს ქუჩაზე, მესამე მერიასთან რომ ჭაა, იქ გამოუკიდიათ. წუხელ ვნახე. აივნებზე გამობმული თოკები არ ჩანდა ბნელში და იუდები რაღაც ზებუნებრივად დაფრიალებდნენ ჰაერში. უცნაურად შეკონინებული ძველებური ქუდები, კაბის სახელოები, მინისტრთა ნილბები და ახირხლული სარაჩხუნოები სასაცილოდ დაკონწიალებდა ვარსკვლავებით მოჭედილი ცის ქვეშ. ძალლები გაბმით უყეფდნენ, ცხენები მათ ქვეშ გავლისას ფრთხებოდნენ და უკან-უკან იხევდნენ.

ჩემო პლატერო, ახლა ზარები გვეუბნებიან, რომ დიდი საკურთხევლის კრეტსაბმელი გაიპო. და ასე მგონია, მთელ ქალაქში თოფი არ დარჩენილა, რომ იუდებისთვის არ დაეხალათ. აგერ ჩვენამდეც მოაღწია დენთის სუნმა. ისვრიან! კიდევ ისვრიან!

... ოღონდ იუდა დღეს არის დეპუტატი, მასნავლებელი, მოსამართლე, მეზვერე, ქალაქისთავი ან სულაც ბებიაქალი. ჰოდა, მონიფული კაცები ვნების კვირის ამ შაბათ დილით თითქოს გაბავშვებულან და გაზაფხულის რაღაც გაუაზრებელი და გიუური ჟინით ატანილები ლაჩრულად კლავენ მას, ვისაც ვინ სძულს.



## ლეღვაბი

ჩამონისლულია. ნესტიანი რიურაჟია. სწორედ რომ სალელვო ამინდია და ამ სისხამ დილით ექვსი საათის რეისით ლელვზე მივდივართ კიდეც რიკაში.

ლამეს სძინავს ასწლოვანი ვარჯის გრილ ჩეროში. ლელვების ნაცრისფერი ტანები ერთმანეთს ისე გა-დაჭდობია, როგორც სავსე ბარძაყები – ქალის კალ-თის ქვეშ. ლელვის ფართო ფოთლები, – სწორედ ის ფოთლები, ადამმა და ევამ რომ სარცხვინელზე მიიფარეს, – ცვრით მომარგალიტებულ-მოთვალულ ქსელს ქსელავენ, ისედაც მქრქალ, ნაზ სიმწვანეს იფერმკრთალებენ და შნოს იმატებენ. აქედან ჩანს ქვემოთ, ზურმუხტოვან სივრცეში, ძალას როგორ იკრებს ალიონი და აღმოსავლეთის ცაზე ცეცხლს უკიდებს ღრუბლის ფერგაცრეცილ რიდეებს.

გახელებულები გავრბივართ, აბა, ვინ მიასწრებს ლელვებთან! როსილია და მე, სიცილით და სირბილით გულაძგერებულები, პირველები წავწვდით ლელვის ფოთოლს. „ნახე!“ – ჩაბლუჯა ჩემი ხელი და გულთან მიიტანა. ნორჩი მკერდი ჯებირებში მომწყვდეულ ტალღასავით უფართხალებდა. ტანმორჩილ ჩაპუტ-კუნებულ ადელას გაუჭირდა სირბილი და შორიდანვე ვატყობ, რომ გაღიზიანებულია. პლატერომ რომ არ მოიწყინოს, რამდენიმე მწიფე ლელვი მოვუწყვიტე და ბებერ კუნძზე დავუტოვე.

სროლას იწყებს ადელა, ბუზლუნებს, თავის მოუქნელობას უჩივის, პირზე ლიმილი აქვს, თვალზე – ცრემლი. უცებ შუბლში მომხვდა ლელვი. როსილია და მე ავყევით და, პირით კი არა, – თვალებით, ცხვირით, ხელებით, კისრით, კინჩხით ვნთქავთ ლელვს. მჭახე შეკივლება და ომახიანი შეძახილი ამ სისხამ დილით მიზანსაცდენილ ლელვებთან ერთად თავს ატყდება ჯერ ისევ მთვლემარე ზვრებს. პლატეროსაც მოხვდა

ლეღვი და ბრაზით გაფითოდა. სამწუხაროდ, არც თავის დაცვა ეხერხება, არც შეპასუხება. მე გამოვექომაგე და მოლურჯო რბილმა მასამ ქვემების ფინდიხის უსწრაფესად დასერა კამკამა ჰაერი.

კისკისი გაისმა. თამამიც იყო და დამორცხვებულიც. ქალურ დაყოლიებას ამხელდა.



## მწერის გარები

შეხე, პლატერო, რამდენი ვარდი ცვივა ყოველი მხრიდან! ცისფერი ვარდები, თეთრი ვარდები, უფერული ვარდები... სწორედ ამაზე იტყვიან, ვარდებად ჩამოშვავდაო ზეცა. ხედავ, ვარდებით როგორ დამეფარა შუბლი, მხრები, ხელები... რა ვუყო ამდენ ვარდს?

ეგებ შენ იცი? მე არ ვიცი, რამ გააჩინა ეს ნაზი ყვავილი, ვარდისფრად, თეთრად, ზეცისფრად რომ მოგვილამაზებს ხოლმე არემარეს. ვარდები! კიდევ ვარდები... სწორედ ისე, ფრა ანჯელიკოს ტილოზე რომაა. ჰო, ფრა ანჯელიკოსაზე, მუხლმოდრეკილი რომ ხატავდა დიდებას ღვთისას.

ამბობენ, ვარდებს დედამიწაზე სამოთხის შვიდივე ციდან ისვრიანო. ვარდებით ისე გადაიპენტა კოშკი, კრამიტის სახურავები, ხეები, -გეგონება, ფერადად და მყუდროდ თოვდეს. შეხე, ყველაფერი, რაც უხეშია და ტლანქი, დახვენა და გააფაქიზა ვარდებმა. ვარდები! კიდევ და კიდევ ვარდები...

პლატერო, როცა მწუხრის ზარები რეკავენ, სიცოცხლეს თითქოს ეცლება ჩვეულებრივი ძალა და ნამოიმართება სხვა ძალა, უფრო ღრმა, უფრო დიადი, უფრო ძლიერი და უფრო წმინდა. ბედნიერების შადრევანივით ამოხეთქილი ეს ძალა ვარსკვლავებამდე აზიდავს და ამაღლებს ყველაფერს. ვარსკვლავები კი უკვე ინთებიან ვარდებს შორის... კიდევ ვარდები... შენი თვალები, რომელთაც შენ თვითონ ვერ ხედავ, ჩემო პლატერო, ზეცას მშვიდად მიჩერებული შენი ორი თვალი, ორი მშვენიერი ვარდია.

## სევდა

ჩემზე ადრე თუ მოკვდები, ჩემო პლატერო, ნაგვის ურიკით ვერავინ წაგაგორებს შლამიან ნაპირზე, მთის გზაწვრილიდან ვერავინ მოგისვრის ხრამში სხვა საცოდავი ვირებივით, სხვა ცხენებივით, სხვა ძაღლებივით, რომელთაც ქვეყნად არავინა ჰყავთ მოკეთე და მოყვარული. სან-ხუანისკენ ექვსი საათის რეისით დაძრულ მეწვრილმანებს თვალში არ ეცემათ საზარელი სანახაობა, ვერ ნახავენ ყვავ-ყორანთაგან დაჯიჯვნილ, სისხლში ამოთხვრილ შენს ხერხემალს, მენამული დაისით ფერდაკრული ხომალდის ანძის მსგავსს; არც შეშუპდები და არც გაიფშიკები სადმე ლოკოკინებიან თხრილში; არ დააფრთხობ შემოდგომის კვირა საღამოს კედრის მოხალული თესლის კნატუნით ფიჭვნარში გამოსულ, ტოტებს ჩაფრენილ და ხრამის-კენ გადახრილ ცნობისმოყვარე ბალლებს.

იყავი მშვიდად, ჩემო პლატერო. მე შენ დაგმარხავ მრგვლად გადაშლილი დიდი ფიჭვის ძირას, შენს საყვარელ ბალში, იქ, სადაც ხალისიანი და უშფოთველი სიცოცხლე ჩქეფს. ბიჭუნები ითამაშებენ. ჯორკოზე ჩამომსხდარი გოგონები იქვე, შენ გვერდით, ხელსაქ-მით შეიქცევენ თავს. მოისმენ ლექსებს, რომელთაც მარტოობა დამანერინებს. მრეცხავი გოგონების სიმღერა შემოგესმება ფორთოხლის ბალებიდან. წყლის საქაჩავი ბორბლის ჭრიალი შეეხმატებილება შენს მარადიულ სიმშვიდეს. ჩიტბატონები, გულწითელები, ნიბლიები ზამთარ-ზაფხულ უღურტულით მოგიალერ-სებენ ფიჭვის ვარჯიდან. ჰანგი ჩაიღვრება შენს მშვიდ ძილსა და მოგერის უკიდეგანო ლაშვარდ ცას შორის.

## ხოზი

იალაღებს რომ მივადექი, პლატერომ კოჭლობა დაიწყო. ჩამოვქვეითდი.

— რა დაგემართა? რა გჭირს, შე კაცო!

მარჯვენა წინა ტოტი მოედუნებინა და იმდენზე აეწია, რომ ქაჩაჩის კიდე უჩანდა. ფლოქვით არც კი ეხებოდა გავარვარებულ ქვიშას.

დიდი გაჭირვებით, ფრთხილად — რასაკვირველია, ბებერ ბეითალ დარბონზე უფრო ფრთხილად — მოვულუნე ფეხი პლატეროს და წითელი ჭრილობა დავინახე. ფორთოხლის მსხვილი მწვანე ეკალი წვერნამახული ზურმუხტის ხანჯალივით ჩასობოდა. მისი ტკივილით შეზარებულმა ამოულე ეკალი და საბრალო პლატერო ღელესთან ჩავიყვანე ყვითელ ზამბახებთან, რათა წყალს თავისი კრიალა დიდი ენით, კამკამა ჭავლით, აელოკა ჭრილობა.

შემდეგ თეთრად მოლივლივე ზღვისკენ გავუყევით. წინ მე მივაბიჯებ, პლატერო უკან მომყვება, ოდნავ კოჭლობს და დროდადრო ნაზად წამკრავს დრუნჩის ზურგში.



## მერცხლები

აგერაა ეს შავტუხა ონავარი, თავის მონაცრისფრო ბუდეში, ღირსეულ ბუდეში, მონტემაიორის ღვთისმ-შობლის ტაძრის სამერჩულთან მიშენებულში. დამფრთ-ხალი ჩანს. ამჯერად, მგონი, შეეშალათ ამ საცოდავ მერცხლებს. შეეშალათ ქათმებივით, წინა კვირას მზე რომ დაბნელდა და დღის ორ საათზე რომ დაიბუდრეს. წელს გაზაფხული ნაადრევად გამოკეყლუცდა და ავდრიანი მარტის კალთას შეეხიზნა სიშიშვლით შემ-ცივნებული და აცახცახებული. გული მოგიკვდება, კვირტშივე რომ ჭკნება ფორთოხლის ბალების ქალ-ნულებრივი ყვავილობა.

პლატერო, უკვე ჩევნთან არიან მერცხლები! რო-გორც იქნა, გამაგონეს თავიანთი ხმა. წინა წლებში. მოფრინდებოდნენ და იმავ დღეს ესიყვარულებოდნენ ყველაფერს, აინტერესებდათ ყველაფერი. ჩახვეულ-ჩახუჭუჭებულად ჭიკჟიკებდნენ შეუჩერებლივ. ყვა-ვილებს ესაუბრებოდნენ, მოუთხრობდნენ, რა ნახეს აფრიკაში, ზღვაზე გადაფრენ-გადმოფრენისას; უყ-ვებოდნენ, წყალში როგორ ცვიოდნენ და ფრთას როგორ იშველიებდნენ აფრასავით, როგორ იხლარ-თებოდნენ ხომალდთა ბაგირებში; ესაუბრებოდნენ სხვა მწუხრსა და სხვა გარიურაჟებზე, ვარსკვლავებიან სხვა ღამეებზე.

ახლა კი აღარ იციან, რა გააწყონ. დაფრინავენ ნირ-შეცვლილები, დაბნეულები. ჭიანჭველებმა იციან ასე აწრიალება, როცა ანცი ბიჭი გზას მოუშლის მათ და ვეღარ ადი-ჩადიან აღმა-დაღმა, ვეღარ გაუგნიათ გზა, ვერ გაუვლიათ ახალი კვალი, სწორი და ბოლომდე გამართული. ჭებში ჩაშენებულ ბუდეებშიც ვეღარ ბედავენ დაბინავებას, ვეღარ ჩამომსხდარან ტელეგრაფის მავთულებზე, რო-მელთაც ზუზუნი გაუდით ქარში. პოდა, მავთულის გამყარ თეთრ კოჭებთან ჩამოსკუპულან ზუსტად ისე, როგორც ნახატებშია ხოლმე. ეჰ, სიცივით დაიხოცებიან, პლატერო!

## გოგური

შუადღეზე პლატეროს მივაკითხე. გომურში სვეტად ჩამომდგარ ათინათს ოქროს ლაქა აებრიალებინა მის ვერცხლისფერ გავაზე. პლატეროს მუცელქვეშ მისივე ჩრდილით მუქად ჩამწვანებულა მინა. ყველაფერს ზურ-მუხტისფერი გადაჰკრავს. ძველი სახურავის ჭუჭრუ-ტანებში მზე ატანს და სხვენიდან ცეცხლივით ბდლვრი-ალა მონეტები ცვივა თითქოს.

პლატეროს ფეხებშუა მოკალათებული დიანა ჩემ-კენ მოექანება, ცმუკავს, მკერდზე მაბიჯგებს თათებს და ცდილობს ტუჩებზე მომისვას თავისი ვარდისფერი ლაშ-პირი. ბაგაზე აბოტებული თხა გაკვირვებით შე-მომყურებს და ქალური სინაზით აქეთ-იქით აბრუ-ნებს ლამაზ თავს. გომურში შესული არ ვიყავი, რომ პლატერო უკვე შემომეგება ომახიანი ყროყინით. ახლა კი გახარებული და გახელებული ცდილობს თოკი გაგლიჯოს და აიწყვიტოს.

სარკმლიდან გომურში იფრქვევა ცისარტყელა-სავით ფერით უთვალავი საუნჯე ცისა და აქაური იდილიდან წამით მიყვები ათინათს ზეცაში. ლოდზე შევდექი და გავხედე მინდვრებს.

მწვანე მიდამო მოუთენთავს და გაუბრუებია აფეთ-ქებულ ყვავილებს. გომურის ჩამობრანძული კედლე-ბით შემოჩარჩოებულ კრიალა სილაუვარდეში ყრუდ და საამურად რეკავს ზარი.



## დაკრძილი ულაყი

შავი იყო, შავრა. წითლად, მწვანედ, ლურჯად ბზინავდა. ვერცხლის ელვარებაც დაჰკრავდა ხოჭოებისა და ყორნების მსგავსად. მის ბობოქართვალებში წითლად მოგიზგიზე ცეცხლი ენთო, მარკიზის მოედანზე წაბლით მოვაჭრე რამონას ქურაში რომ ღვივის, ისეთი ცეცხლი. ქვიშრობს რომ გამოსცდა, გახელებულმა გაიჯირითა და ნუევას ქუჩის ფილაქანზე გაისმა მისი ფლოქვების თქარათქური. როგორი მარდია, როგორი დაუოკებელი და დაუდეგარი! რა პატარა თავი და რა მაღალი ჭლიკები აქვს!

დინჯად, ამაყად შეაბიჯა სამიკიტნოს დაბალ ალაყაფში. ჩაშავებული ტაძრის ბნელ ნავში გამართული დუქანი თვით მასზე უფრო შავიც კი ჩანდა წითელი მზით გაჩახჩახებული ციხესიმაგრის ფონზე. ჩორთიდან იორდაზე გადავიდა. მერე გადაევლო ფიჭვის მორს – შემორაგვული ბაკის ალაგეს, ზღურბლის მაგიერს; თავანწყვეტილმა შეიჯირითა შემოკავებულ სიმწვანეში, კრიახი შეუყენა ქათმებს, დაანიოკა მტრედები, ააჟივ-ჟივა ბელურები. აქ მას ელოდა ჭრელპერანგა ოთხი მამაკაცი, რომელთაც ფაჩვინიერი მკლავები მკერდზე გადაეჭდოთ. ბაჲარის ხესთან მიიყვანეს. ჯერ მიუალერსეს. მერე კი, მწარე და ხანმოკლე გაბრძოლების მერე, ნეხვის გროვაზე წამოაქციეს, ოთხივე ზედ გადააჯდა და ბეითალმა დარბონმა შეასრულა თავისი მოვალეობა, სასრული დაუდო ულაყის ტრაგიკულ და ჯადოსნურ მშვენიერებას.

„დასამარდება მოუხმარი შენი მშვენება

და, თუ მოიხმარ, ის მტანჯველი იქნება შენი“ – უთხრა შექსპირმა თავის მეგობარს.

დაუოკებელი ულაყი ახლა ერთი გასავათებული, გახვითქული, დასანყლებული ცხენი იყო. კაცმა, ერთადერთმა კაცმა, წამოაყენა, წააფარა ჩული და გაუყენა თავდალმართში.

თვინიერი და დაურვებული ცხენი, ადრე რომ  
სხივს ისროდა, ახლა ღრუბლის ნაძენძს დაემსგავსა.  
დაფლეთილ წიგნსაც წააგავდა. თითქოს აღარც კი  
იდგა მიწაზე. მისი ფლოქვები და ქვალორლიანი ნია-  
დაგი თითქოს რაღაცამ დააშორიშორა ერთმანეთს;  
ძირფესვიანად ამოძირკვულ ხესავით გამოეცალა  
ნიადაგი. ლალი და ცინცხალი გაზაფხულის ბობოქარი  
დილის სიზმარეულ მოგონებად იქცა.



## მოპირდაპირე სახლი

პლატერო, ჩემს ბავშვობაში ყოველთვის რა საოც-რება იყო მოპირდაპირე სახლი! ჯერ იყო და... სანაპირო ქუჩაზე თულუხის, არებურას, პატარა სახლი, სამხრეთის მხარეს ხვასტაგისთვის შემორაგვული ბაკით, მზისგან რომ მუდამ ოქროსფრად ბრიალებდა! ღობეზე ავძვრებოდი და გავცქეროდი უელვას. ზოგ-ჯერ ეზოში შემიშვებდნენ კიდეც და არებურას გო-გო – მაშინ რომ დაქალებული მეგონა, ახლა რომ გათხოვილია და, მგონი, სულაც არ არის შეცვლილი, – ფორთოხლებით და კოცნით მიმასპინძლდებოდა. შემდეგ... ნუევას ქუჩაზე, რომელსაც გადაარქვეს და ჯერ კანოვას ქუჩა, მერე ხუან პერესის ქუჩა გახდა, ჩვენი მოპირდაპირე სახლის პატრონი იყო სევილიელი მეფუნთუშე დონ ხოსე. სულ მისი ოქროსფრად აპ-რიალებული ჩექმებისკენ გამირბოდა თვალი. თავისი სახლის მოკენჭილ შიდაეზოში კვერცხის ნაჭუჭი ჰქონ-და მოპნეული. ჭყეტელა ყვითლად, იადონისფრად შეეღება წინკარი და ლაჟვარდისფერ-ზღვისფერი ზოლებიც აეყოლებინა. ზოგჯერ შემოივლიდა ხოლმე ჩვენსა. მამაჩემი ფულს აძლევდა და ზეთისხილის ბალზე ესაუბრებოდა ყოველთვის. ჩემს ბავშვურ ოცნებებში რამდენჯერ დავჯაჯგურებივარ სულ მუდამ ბეღურებით დახუნდლულ იმ საწყალ ბაჟარის ხეს, დონ ხოსეს სახლის კრამიტიან სახურავს რომ იყო აცილებული და ჩვენი აივნიდანაც რომ მოჩანდა. ჩემს წარმოსახვაში ეს ორი სხვადასხვა ხე იყო. ერთის კენწეროს, ჩემი აივნიდან რომ ვხედავდი, ქარი არხევდა და მზე ანათებდა. მეორე დონ ხოსეს ეზოში მინახავს თავის ტანიან-ვარჯიანად.

მოდარებულზე, საღამოჟამს თუ წვიმიან ნაშუად-ლევს, ყოველდღე, ყოველ წამს, რა საინტერესო, რა მიმზიდველი, რა უჩვეულოა წყნარ ქუჩაში ჩემი დაჭ-რელებული ალაყაფიდან, ჩემი ფანჯრიდან თუ ჩემი აივნიდან დანახული მოპირდაპირე სახლი!

## აბდელი

სან-ხოსეს ქუჩით როცა ვბრუნდებოდით, თავისი სახლის ზღურბლთან ჯორკოზე იჯდა ერთი აბდალი ბიჭი და ამვლელ-ჩამვლელს მზერას აყოლებდა. ამ საცოდავისთვის არც ენა ებოძებინა განგებას და არც გონება. თვითონ მხიარული იყო, მნახველებს ანალვლიანებდა. ბიჭი ყველაფერი იყო დედამისისთვის და არაფერი – სხვებისთვის.

ერთ მშვენიერ დღეს, როცა თეთრ ქუჩაზე შავმა ქარმა დაქროლა, ბიჭი ალარ დამხვდა თავისი სახლის კართან. ჩიტი გალობდა მიტოვებულ ზღურბლთან. და მე კუროსი წამომაგონდა. მან როგორც პოეტმა კი არა, როგორც მამამ უფრო შემახსენა თავი. შვილი რომ დაელუბა, პეპელას უთხრა:

„შეპელავ, ოქროსფრთიანო...“

ახლა, როცა გაზაფხული მოგვადგა კარს, იმ აბდალ ბიჭზე ვფიქრობ, სან-ხოსეს ქუჩიდან ზეცაში რომ წავიდა. ალბათ ზის ახლა თავის ჯორკოზე სულ სხვა ვარდებთან და ხელახლა ახელილი თვალებით სულ სხვა მზერას აყოლებს ოქროსფერი ნათლით მოსილ ნეტართა სულებს.



## მოჩვენება

ფეთქავდა და უკიდეგანო სიხარულად ჩქეფდა ანილია მანტეკას ყმაწვილქალობა, ღალი, დამდაგველი და დაუდგრომელი. განსაკუთრებით უყვარდა მოჩვენებად გარდასახვა. ზენარში გაეხვეოდა, ფითქინა სახეზე ფქვილს შეიფრქვევდა, ნივრის კბილას ღოჯებად გაირჭობდა და ნავახშმევს, როცა დარბაზში ძილვფხიზლობდით, მოულოდნელად გამოგვეცხადებოდა, იდგა მარმარილოს კიბის თავში და ანთებული ფარანი ეჭირა. ხმის ამოულებლად ნელა ჩამოათავებდასაფეხურებს. ისემოირთვებოდა, თითქოს სიშიშვლე ცმოდეს ტუნიკის მაგიერ. მართლაცდა, ზარდამცემი იყო ბნელი სხვენიდან დაძრული და საიქიოდან გამოხმობილი ეს აჩრდილი. მაგრამ თან გამაოგნებელიც იყო საღერღელაშლილ ვნებათა რაღაც უცნაურად სრულყოფილ მოზღვავება, შეზავებული საოცარ სითეორესთან და სიფერვანესთან...

რა დამავიწყებს, პლატერო, იმ სექტემბრის ღამეს! მთელი საათის განმავლობაში ჭექა-ქუხილი თავს ატყდებოდა ქალაქს. ცისქცევა იყო. ქარიშხალი სნეული გულივით ძაგძაგებდა, წყალს და ქვას ისროდა, ელვას კვესავდა და გრვინავდა. წყალსატევი გადაივსო და შიდაეზოში დაგუბდა წყალი. ჩვეული ხმები – ცხრა საათის რეისი, მწუხრის ზარები, ფოსტა – ყველაფერი ჩავლილია... ვკანკალებდი. სასადილოში გავედი წყლის დასალევად. ელვის თეთრ-მწვანე გამოხათებაზე დავინახე ჩვენი მეზობლის, ველარდეს, ევკალიპტი, კუდიანების ხეს რომ ვეძახდით, აი, ის. გადატეხილიყო და ორად მოკეცილი დასცემოდა საჩეხის კრამიტებს...

უეცრად მთელი სახლი შეძრა შემზარავმა ზავთმა, ელვის თვალისმომჭრელმა შუქმა მჭახედ იყვირა თითქოს. გონს რომ მოვეგეთ, აღარცერთი აღარ ვიყავით ადრინდელ ადგილას. ჩვენ-ჩვენმა საფიქრალმა შეგვიყოლია, ერთმანეთზე ფიქრის თავი აღარ გვქონდა.

ზოგი თავს უჩიოდა, ზოგი – თვალებს, ზოგიც – გულს...  
ნელ-ნელა დავუბრუნდით ჩვენ-ჩვენს ადგილებს.

ქარიშხალი ჩაცხრა... დაძენძილი ღრუბლის ვეება  
ნაფლეთებს შორის გამოაღწია მთვარემ და თეთრი  
ნათელი აანთო წყლით შეტბორებულ შიდაეზოში.  
ყველანი გამოვედით, მივიხედ-მოვიხედეთ. ლორდი  
ფეთებით არბოდა და ჩამორბოდა კიბეზე, გაშმაგებით  
ყეფდა. მივყევით... პლატერო, ჩემო პლატერო, კიბის  
ძირას, ლამის ყვავილთან, რომელიც ნაწვიმარზე სა-  
ზარლად ყარდა, გაშოტილიყო მოჩვენებად გადაცმუ-  
ლი საცოდავი ანილია. მკვდარი იყო. ელვისაგან  
დანახშირებულ ხელში ანთებული ფარანი ეჭირა.



## მანამული ხედი

მთის მწვერვალი. მზე ჩადის, წითელი მზე, ნამსხვრევებად დასერილი და სისხლჩამომდინარე. ამ სიჩახჩახეში ჩაუანგდა მწვანე ფიჭვნარი, სინითლე შეერია. აბრიალებული ბალახი და ყვავილები ნოტიო სურნელს აფრქვევენ, სისოვლის სურნელს, მთრთოლარეს, შუქიანს, სულში შემომღწეველს.

არ ვიძვრი, გაყუჩებული ვხვდები მწუხარს. პლატერო, რომლის შავ თვალებში წითლად კიაფობს დაისი, მშვიდად ჩერდება მონითალო, მოვარდისფრო, მოიისფრო გუბესთან და ნელა ყოფს დრუნჩს მენამულ სარკეში; შეხების უმალ შუშა თითქოს ლლვება და ჩაედინება ფართო სადინარში. უშველებელი პირი სისხლივით ჩამუქებული წყლით ევსება პლატეროს.

შეჩვეული არემარე გადასხვაფერა დაისმა, ნანგრევებს დაამსგავსა და თან სიდიადე შემატა. გეგონება, საცაა უნდა წავანყდეთ მიტოვებულ სასახლეს... მწუხარის უამი გახანგრძლივდა, მარადიულობას ეზიარა... იგი უსასრულოა, უშფოთველი და იდუმალი...

— გავწიოთ, პლატერო.



## თუთიყუში

პლატერო და მე ჩემი მეგობრის, ფრანგი ექი-  
მის, ბაღში თუთიყუშით ვიქცევდით თავს, როცა  
თმაგანენილმა შემფოთებულმა ყმანვილმა ქალმა  
ფერდობი ჩამოირბინა, შორიდანვე შემომაცქერდა  
აფორიაქებული, ნალვლიანი მზერით და შემომევედრა:

– სენიორიტო, ექიმი აქა?

ქალს წიკით მოსდევდნენ ჩამოკონკილი ბავშვები და  
თან ყოველწამს უკან იხედებოდნენ. ბოლოს გამოჩნდა  
რამდენიმე კაცი. ერთი შეჭირვებული ჩანდა, მინის ფერი  
ედო. სხვები მხარში შესდგომოდნენ. მონადირე ყოფილა,  
ერთი იმათგანი, ვინც დონიანის ნაკრძალში მალულად  
ხოცავს ირმებს. თოფი, თოკით შეკრული დანჯლრეული  
სანადირო თოფი, ხელში გასკდომდა.

ჩემმა მეგობარმა მზრუნველობა არ დააკლო დაჭ-  
რილს, ფრთხილად მოაცილა ჭრილობაზე შემობანდული  
ძონები, სისხლი ჩამობანა, კუნთები და ძვლები ხელით  
მოუსინჯა. დროდადრო გადმომილაპარაკებდა:

– Ce n'est rien...\*

საღამოვდებოდა. მზის სხივი ჩაიკრიფა. უელვას მხრი-  
დან ნიავს მოპქონდა ჭაობის, ფიჭვის ფისისა და თევზის  
სუნი... ფორთოხლის ბალები ზურმუხტის ხავერდოვან  
რკალად შემოტმასნოდა ვარდისფრად შეფერილ მზის  
დასავალს. იასამნის სიმწვანეში დაფათურობდა წითელ-  
მწვანე თუთიყუში და გაფაციცებით გვაკვირდებოდა  
თავისი მრგვალი თვალებით.

საწყალ მონადირეს მზე ჩაუდგა თვალზე მომდგარ  
ცრემლში. გულსაკლავ კვნესას შეწყვეტდა თუ არა,  
თუთიყუში დროს იხელთებდა:

– Ce n'est rien...

ჩემმა მეგობარმა ბამბა დაადო და შეუხვია ჭრილობა.

– ეე, – ამოიგმინა საწყალმა.

იასამნიდან თუთიყუში შეეხმიანა:

– Ce n'est rien...

---

\* ეგ არაფერია (ფრანგ.)

## სხვანები

ჩემო პლატერო, შენ ხომ არასდროს ასულხარ სხვენზე. ჰოდა, აბა, საიდან გეცოდინება, ღრმა სუნთქვა როგორ აფართოებს მკერდს, როცა ხის ბნელ კიბეს აათავებ და იგრძნობ, რომ შუადლის მზე ხანძრად შემოგენთო, სილაუვარდემ წაგლეკა და ცა აგერ შენ გვერდითაა; თანაც თვალს გჭრის ფილებით მოგებული ეზო, რომელიც, შენც კარგად იცი, კირით იმიტომ შეათეთრეს, რომ ნაწვიმარი წყალი ღრუბლებიდან სუფთად ჩაედინოს წყალსატევში.

გამაოგნებელია სხვენი! სამრეკლოს ზარები თითქოს ჩვენს მკერდში რეკავენ და ჩვენი გულივით ძგერენ. შორს, ვენახებში, მოქნეული თოხები ნაპერნ კლებად კვესავენ ვერცხლსა და მზეს. თვალი ყველაფერს სწვდება: სხვა სახურავები, სხვა ეზო-ყურეები. ადამიანები მუხლიაუხრელად შრომობენ. მეუნაგირე, მღებავი, მეკასრე – ყველა თავისას საქმიანობს. გლეხების კარ-მიდამოს ხალებად ატყვია ხეები, ხარები, თხები. სასაფლაოზე, როცა ვინმეს მიასვენებენ, მცირე ხნით შავ ლაქად გამოჩნდება ხოლმე ჭირისუფალთა მომცრო და მეჩხერი გუნდი. პერანგისამარა გოგო სარკმელთან ნება-ნება ივარცხნის თმას და ღილინებს. მდინარეში შემოდის ხომალდი. ბეღელთან ვიღაც განმარტოებულა და სალამურს აკვნესებს. აგერ, სიყვარულს მისცემიან, – ალალს, შმაგს, თავდავინყებულს.

სახურავიდან თვითონ სახლი არ ჩანს, ჩამალულია, სარდაფივითაა. სხვენის სარკმლიდან რა უცნაურად გამოიყურება ჩვენი სადღესვალიო ყოფა! საუბარი, ხმაური... თვით ბაღჩაც კი უკეთესია აქედან. აქედან შენც სხვანაირი ხარ, პლატერო! სხვანაირი ხარ, როცა მე ვერ მხედავ, როცა წყალს სვამ გეჯიდან, როცა ბეღურას ან კუს ეთამაშები!

## დაბრუნება

მთებიდან ვბრუნდებით ორნი. დატვირთულები ვართ: პლატერო – ტყის პიტნით, მე – ყვითელი ზამ-ბახებით.

აპრილის საღამოა. ოქროსფრად გაჩაღებულ მზის დასავალს ვერცხლის ბზინვარება შეეპარა. ნელა და თან-დათან იცვლება ფერები. გამჭვირვალე შროშანივითაა ზეცა. მოწმენდილი ცა ჯერ საფირონივით კრიალებდა, მერე ზურმუხტისფერი შეერია. სევდიანი ვბრუნდები...

ფერდობს ჩავუყევით. დიდებული იერი შემატა შეღამების სიმშვიდემ სამრეკვლოს, რომელსაც შარა-ვანდედად ედგა სოფიის კენჭით მორთული კუნუბების ბზინვარება. ახლოდან კოშკი ისეთი იყო, რომ ხირალ-დის ხედი წამომაგონდა და ოდნავ გამინელდა დიდი ქალაქის მონატრება, ამ გაზაფხულზე რომ საოცრად მომეძალა.

დაბრუნება... საიდან? რისთვის? სად? ჩემი თა-ნამგზავრი ზამბახები შებინდების თბილ სიგრილეში აფრქვევენ სურნელს, მძაფრსა და თან იდუმალს, – იდუმალს, რადგან ყვავილი არ ჩანს და სურნელება იგრძნობა მხოლოდ. ასეთ დროს თითქოს თვით სურნელება ყვავილობს და სულსა და ხორცს მსჭვა-ლავს ბნელი ღამის სიმარტოვეში.

– ჩემი სული ზამბახია, სიბნელეში გაფურჩქნილი!  
– ვთქვი და უეცრად ჩემქვეშ ვიგრძენი პლატერო,  
რომელიც ისე მიმვიწყებოდა, თითქოს ჩემი საკუთარი  
სხეული ყოფილიყოს.



## დაკეთილი ზოშარი

დიესმოს დუქანთან როცა კი მოვხვდებოდი, კე-დელ-კედელ გავუყვებოდი ხოლმე ყორეს, რომელიც სან-ანტონიოს ქუჩას გასდევდა, მივადგებოდი და-კეტილ ჭიშკარს და სახეს მივატყეპებდი რკინის გისოსებს. ვღელავდი და აქეთ-იქით, სადამდეც კი მიმიწვდებოდა მზერა, ვაცეცებდი ფართოდ გახელილ თვალებს. ჭიშკართან იწყებოდა ჭინჭრითა და ბალ-ბით გადაფარული ბილიკი, დაბლა ეშვებოდა და ანგუსტიასთან იკარგებოდა. ყორის ქვევით ფართო გზა იყო. ერთხელაც არ დამიდგამს ფეხი იმ გზაზე...

მომაჯადოებელია ჭიშკრის ცხაურით შემოზ-ლუდული იგივე მინდოორ-ველი და ცა, რაც ჭიშკრის აქეთაცაა. თითქოს ნამდვილი ყორე კი არა, ოც-ნებისეული გალავანი გვიმაღავს ხედს, რათა დახშული ჭიშკრის იქით საგანგებოდ შემოინახოს. ჩანათებული მზის სხივებში იისფერი დაისის ფონზე მოჩანს შარაგზა, ხიდი, აბოლებული ალვების რიგი, აგურის გამოსაწვავი, პალოსის სერები, უელვის გემები, რიოტინგოს ნავსაყუდლის ნათურები და წყაროსთან განმარტოებული ვეება ევკალიპტი...

მედუქნებმა ლიმილით მითხრეს, ჭიშკარს გასაღები არ მოერგოო. ჩემს სიზმარეულ ოცნებებში, ჩემს უნაპირო ფიქრებში ჭიშკარი გადიოდა ჯადოსნურ წალკოტებში, ზღაპრულ ველ-მინდვრებში. იმის არ იყოს, ერთხელ, ჩემს ბიჭობაში, ზმანებებს რომ ავყევი და შევეცადე გადავვლებოდი მარმარილოს კიბეს, — ასე, ამ განწყობით, დილდილობით რამდენჯერ მივსულვარ იქ. მჯეროდა, რომ ჭიშკრის მიღმა მივაგნებდი სწორედ იმას, რასაც ჩემი წარმოსახვა ნებით თუ უნებლიერ უმატებდა სინამდვილეს.

## დონ ხოსე, მდვდელი

პლატერო ჩემო, ეგ კაცი მირონცხებულიცაა და თანაც, ხომ ხედავ, როგორ ლაპარაკობს?! პირდაპირ თაფლი გადმოსდის პირიდან! სინამდვილეში კი ანგელოზური თუ რამ გააჩნია, – ეს არის მისი ჭაკი ვირი.

მგონი, კიდეც შესწრებიხარ, მეზღვაურის ჩაფართხუნებული შარვლითა და დიდი სომბრეროთი რომ გამოვარდება, ქვებს რომ უშენს, დაუტატანებს და უშვერი გინებით რომ იკლებს ბალში ფორთოხლის მოსაპარად გადამძვრალ ბავშვებს. მისი მოჯამაგირეც ხომ ბევრჯერ გინახავს, საწყალი ბალთაზარი, პარასკეობით ქალაქისკენ რომ გაუდგება, რათა თავისი გაფშეკილი ცოცხები გაყიდოს, ანდა ღარიბ-ღატაკთა მრევლში გაერიოს და ილოცოს მდიდარ მიცვალებულთა სულის მოსახსენებლად. დადის ბეჩავი და დაატარებს საზარდულში გამოზრდილ დიდი ბურთისტოლა თიაქარს.

არავისგან მსმენია ადამიანების ასე უწმანურად ლანძღვა და ზეცის ამდენი კრულვა. რაც მართალი მართალია, ნამდვილად იცის, ყოველ შემთხვევაში, ნაშუადლევს ქადაგებაში თვითონ ამბობს, რომ ნამდვილად იცის, თუ რატომ და როგორ არის ამქვეყნად ყველაფერი გაწონასწორებული... ხე, მინა, წყალი, ქარი, ცეცხლი – ეს ყოველივე ისე მშვენიერია, ისე ნაზია, ისე ნალდია, ისე წმინდაა, ისე ჩქეფსო ყველაფერში სიცოცხლე, რომ მისაბაძად უნდა მიაჩნდესო ადამიანს არეულობის, აშლილობის, უხეშობის, გულცივობის, ნგრევის ჟამს. მისი ბალის ქვებს ლამღამობით ადგილი სხვაგან მიეჩინება. ჩიტუნების, ბავშვებისა და ყვავილებისადმი მღვდლის მძვინვარე სიძულვილი მიმოისვრის ხოლმე მათ.

მწუხრის ზარები რომ რეკავენ, ყველაფერი იცვლება. დონ ხოსეს დუმილი ველ-მინდვრების მდუმარებას ერთვის. ანაფორას გადაიცვამს, მანტიას მოისხამს, თავზე კუნჯულს დაიკოსებს, შემოსკუპდება თავის ჩაქჩაქა ვირზე და თავჩაქინდრული ისე შედის ჩაბრელებულ ქალაქში, თითქოს ქრისტე მიემართებოდეს იერუსალიმისკენ სიკვდილის შესახვედრად.

## გაგაფხული

რა სინათლეა, რა სურნელება!  
 რა საძოვრები შემოგვცინიან!  
 როგორ ხმაურობს დილა!  
 (ხალხური სიმღერა)

დილის ძილ-ღვიძილი ჩამამწარა ბავშვების ყურ-  
თასმენის წამლებმა გნიასმა. ძილი ვერ შევიძრუნე,  
გალიზიანებული წამოვიჭრი ლოგინიდან და, ღია  
სარკმელს რომ მივადექი, მივხვდი, ჩიტების ჟივილ-  
ხივილი იყო.

ცისფრად შემოსინათლებული დღის გამთენებელ  
ღმერთს მადლს ვწირავ და შევიჩქარი ბალში. რა  
გააყუჩებს ფრთოსანთა ლალ სტვენა-გალობას! ჭაში  
მერცხალმა ჩაიჭიკიკა, გვერდზე გადაბრეცილ  
ფორთოხლის ხეზე ჭახჭახებს შაშვი. მუხიდან მუხაზე  
დაფრენს და არ ცხრება ეშხში შესული მოლალური. რა  
ხანია კისკისებს ევკალიპტის კენწეროზე შემოსკუპული  
ჩიტბატონა. ვეება ფიჭვის რტოებში კი ერთმანეთს  
წაჰკიდებიან ბეღურები და ურიამული გაუდით.

რა დილაა! მზემ ოქრო-ვერცხლივით წკრიალა  
სიხალისე აახმიანა მიწაზე. ათასფერი პეპლები  
ფანცქალებენ ყველგან: ყვავილებთანაც, შინაც და  
გარეთაც. აფარფატდებიან და უცებ გაჩნდებიან  
იქ, წყაროსთან. ყველგან, სადაც კი თვალი მიატანს,  
მთელ არემარეში გადმოდულს, გადმოჩქეფს, ფეთქავს,  
იფურჩქნება ლალი და ძლიერი სიცოცხლე.

და თითქოს შუქით გასხივოსნებულ უზარმაზარ  
ფიჭაში ვართ, ანდა – ალისფერი ვეება ვარდის ცხელ  
გულისგულში.

## წყალსატევი

შიგ ჩაიხედე, პლატერო. ამასწინანდელი წვიმებით მთლად გადავსებულა. ექმ გამქრალა. ქვევით მზეზე აღარ ციმციმებს ფერადშუშებიანი ჩარდახის ყვითელ-ცისფერი ათინათი, როგორც წინათ, წყალი რომ დაბალზე იყო.

შენ არ ყოფილხარ წყალსატევში, ჩემო პლატერო. მე კი ჩავედი, როცა დაცალეს ამ რამდენიმე წლის წინ. ჩაიხედე, ქვემოთ დიდი დერეფანივითაა და პატარა სენაკიცაა. ჩავედი თუ არა, ჩამიქრა სანთელი და სალამანდრა მომეფათურა ხელზე. გამაცია და ზარი დამცა ორმა დარტყმამ. ისე გამიარა გულში, როგორც თავის ქალის ქვეშ გადაჯვარედინებული ძვლებივით გადაჭდობილმა ორმა ხმალმა. პლატერო, მთელი ქალაქქვეშეთი დახრულია წყალსატევებითა და გვირაბებით. ყველაზე დიდი წყალსატევი ზედ ლობოს ფლატესთანაა, ანტიკური ციხის შიდაეზოში. ყველაზე უკეთესი ჩემს ბალშია. ხომ ხედავ, კიდე ერთიანად თეთრი მარმარილოთი აქვს შემოშენებული. ეკლესიის გვირაბი პუნტალეს ზვრებში გადის და მდინარისპირა ველზე გადმოედინება. ლაზარეთთან რომ იწყება, იმ გვირაბის გავლა ვერავინ გაძედა. ბოლო არა აქვს და იმიტომ.

მაგონდება ჩემს ბავშვობაში გრძელი, წვიმიანი, უძილო ღამები, ბანიდან წყალსატევში წყლის ხეთქებასა და ჩხრიალში თეთრად გატეხილი ღამები. დილას გიჟებივით გავცვივდებოდით ხოლმე, რომ გვენახა, სადამდე აიწია წყალმა, დღევანდელივით გადავსებული თუ დაგვხვდებოდა, რა სიხარული იყო, რა შეძახილები, რა აღტაცება!

ჰოდა, ჩემო პლატერო, ახლა ბადიით გასმევ ამ სუფთა ცივ წყალს, ეს ის ბადიაა, სულმოუთქმელად რომ ცლიდა საცოდავი ვილიეგასი, შიგანი რომ გამო-თუთქული ჰქონდა კონიაკითა და არყით.

## ქეშიანი ძაღლი

ნათრევი, გაქუცული და გაძვალტყავებული შეიძურნებოდა ბაღში და სახლთან მიიპარებოდა. სულ გაურბოდა ვიღაცას. ყველასგან მოძულებული კარგა ხანია შეეჩვია ნასროლ ქვასა და დაცაცხანებას. ძალ-ლები... ძალლებიც ულრენდნენ და ისიც უნდა გასცლოდა, გარიდებოდა. შუადღის ხვატში ძლივს ჩანან-ნალდებოდა ხოლმე თავდაღმართში.

იმ საღამოს დიანას აეტორლიალა. ის იყო, კარში გამოვედი, რომ ბრაზით ატანილი დარაჯი თოფს ეცა. ვერ მოვასწარი შეჩერება. მუცელში მოხვდა. საცოდავი ძალლი გამაყრუებელი ყმუილით შებზრიალდა და გაიშხლართა აკაციის ქვეშ.

პლატერომ თავი ასწია, თვალს არ აშორებდა საცოდავს. დაფეთებული დიანა აქეთ-იქით აწყდებოდა, მერე ჩვენ ამოგვეფარა. დარაჯი კი ვიღაცის ნინაშე თავს იმართლებდა, ბურტყუნებდა, საქციელნამხდარი იღიმებოდა და ალბათ ნანობდა კიდეც. კვამლმა თალხი რიდით შებურა მზე. იმავე კვამლის ციცქნა ფთილას დაენისლა მოკლულის ჯერ ისევ ცოცხალი თვალი.

ზღვიდან ქარის ყოველ შემოხეთქებაზე ქვითი-ნებდნენ ევკალიპტები. სიცხით შეხუთული ოქროსფერი მინდვრების მდუმარებაში ძალას იკრებდა ქარიშხალი და თავს დაჰლრიალებდა მკვდარ ძალლს.



## ტბორი

დაიცა, პლატერო, დაიცა... ანდა, თუ გინდა,  
წაიძალახე ამ ხასხასა მოლზე, ოლონდ მაცალე,  
ერთი ჩავიხედო ამ მშვენიერ ტბორში. რა ხანია, არ  
მინახავს...

შეხე, როგორ ატანს მზე დამდგარ წყალში, როგორ  
ანათებს მის ლამაზ მომწვანო-მოოქროსფრო სიღრ-  
მეს... ზეციური გრილი სიოთი შერხეული ზამბახები  
შიგ იჭყიტებიან და მონუსხულივით ჩასჩრებიან  
სიღრმეს... ხავერდოვანი საფეხურები ჩადის მიხვეულ-  
მოხვეულ ლაპირინთებში; ჯადოსნური მღვიმები,  
შემკული საოცარი ხატებით, რომლებიც მხოლოდ  
ოცნებისეულმა მითოლოგიამ შეიძლება შთააგონოს  
წყალქვეშა მხატვრის წარმოსახვას; თვალნარმტაცი  
წალკოტები რომელილაც მწვანეთვალება შეშლილი  
დედოფლის უსაზღვრო სევდას შეუქმნია თითქოს;  
ნანგრევებად ქცეული სასახლეები, სწორედ ისეთი,  
საღამო ჟამს ზღვაზე რომ ვიხილე, როცა ჩამავალი მზის  
ალმაცერი სხივები შეესია ნაპირთან დამდოვრებულ  
წყალს და თითქოს დასერა იგი... და კიდევ ბევრი,  
ძალიან ბევრი რამ. ოცნებამ რამდენი რამ შეიძლება  
გამოსტაცოს დავიწყებას! წარმავალ სილამაზეს  
შეიძლება აართვას მარადიული არსი! სამახსოვრო  
სურათიდან დაინარჩუნოს რომელილაც მივიწყებულ ან  
ეგებ სულაც არარსებულ ბალში განცდილი დარდიანი  
გაზაფხულის ჟამი. ყველაფერი, რაც თითქოს უმ-  
ნიშვნელოა, გრანდიოზულიცაა, რადგან შორეულია და  
მიზეზია უამრავი განცდისა, საუნჯეა წერასატანილი  
ძველი ჯადოქრებისა...

ეს ტბორი, პლატერო, ჩემი გული იყო წინათ. ასევე  
ვიყავი მარტოობით გარინდებული, ასევე ვიყავი  
საოცარი სისავსით შეტბორებული... როცა სიყვარულმა  
დაკოდა გული, გადმოსკდა შეგუბებული სისხლი,

წალეკა ჯებირები, იდინა, იდინა, ვიდრე არ დაიწმინდა,  
არ დაწდა და ისე არ აჩქროლდა, როგორც აპრილის ერთ  
თბილ, მყუდრო, შუქიან დღეს – მინდვრად მორაკრაკე  
ნაკადულის ლიკლიკა ჩქერი.

და მაინც ზოგჯერ ბებერი დაძარლვული ხელი  
ჩააპრუნებს ჩემს გულს ადრინდელ ტბორში, მწვანე  
სიმარტოვეში. რჩება იქ გული, მონუსხული და გაოგ-  
ნებული. რჩება და შენიერ იდილიაში (ხომ წაგიკითხე!)  
იოლა რომ „ტკივილის დასაამებლად“ მიუგებს ალ-  
კიდეს, – ჩემი გულიც ასე შეეპასუხება ხოლმე ხაფ  
შეძახილებს.



## აპრილის მუსიკა

ბავშვებმა ალვებთან წყაროზე ჩაიყვანეს პლატერო და ახლა უკან მოჰყავთ ყვითელი ყვავილებით და-ხუნძღული. მოუძღვებიან, ხითხითებენ და ლაზლან-დარობენ. იქ, დაბლა, ისინი განუწა ცაზე ნაუცბათევად შემოხეტებულმა ღრუბელმა. წვიმამ მწვანე მინდორიც დასერაოქროსა და ვერცხლის ცრემლებით მოტირალი ღვარებით, რომლებშიც ცისარტყყელა კრთოდა. ვი-რუკას სველ ზურგზე ჯერ კიდევ იცრემლებიან ყვა-ვილების ზანზალაკები.

საამური იდილიაა, საოცრად ცინცხალი და გულის ამაჩუყებელი!.. პლატეროს ხმაც გაუნაზდა სველი და ფაქიზი ტვირთისაგან. დროდადრო თავს მიაბრუნებს, ყვავილებს წაეტანება და გამოქაჩავს. თეთრი და ყვითელი ჭარპატელები ჯერ გამოეჩრება დუშით გადამწვანებულ კბილებში, მერე კი გადაეშვება მო-სართავებით შემოსალტულ მკვრივ მუცელში. ეჰ, პლა-ტერო ჩემო, რა იქნებოდა, ჩვენც ყვავილები გვეჭამა და შენსავით შეგვრგებოდა!

აპრილის შემპარავი მწუხრია... უამი შემოცი-სარტყელებული თქეშებისა. ეს უამი და მოცახცახე სიშორე ირეკლება პლატეროს ანთებულ თვალებში. და იქ, მზის დასავალთან, სან-ხუანის ველებს იქით, წვიმად ეპირება ჩამოქცევას მეწამული ღრუბელი.



## 014060 დაჭრინავს

ერთ მშვენიერ დღეს იადონი – არ ვიცი, როგორ და რანაირად, – მაგრამ... გაფრინდა გალიიდან. ბებერი ჩიტი იყო, გარდაცვლილი ახლობლის სევდიანი მო-საგონარი. ვერ გავუშვი, შემეტინდა, არ დაიმშეს, არ გაითოშოს, კატამ არ შეჭამოს-მეთქი.

მთელ დილას ბრონეულებში დაცუცუნებდა, ჭიშ-კართან, იასამნებს იქით რომ ფიჭვია, აი, იქ. ბავშვები დილიდანვე ისხდნენ შუშაბანდში და თვალს ადევნებდნენ მოყვითალო ჩიტის გადაფრენ-გად-მოფრენას. ავშარაშეხსნილი პლატერო ვარდის ბუჩქებთან თავს იქცევდა, პეპელას ეთამაშებოდა.

საღამოს იადონი დიდი სახლის კრამიტის სახურავზე შემოჯდა და ჩამავალი მზის მინავლულ სხივებში კარგა ხანს აფათქუნებდა ფრთებს. უცებ, – კაცმა არ იცის, რატომ და როგორ, – აღმოჩნდა ისევ გალიაში. ლალიც იყო და ხალისიანიც.

რა ურიამული ატყდა ბალში! ბავშვები დახტოდნენ, ტაში შემოკრეს, იცინოდნენ და ვარდისფერი გან-თიადივით იყვნენ გაცისკროვნებულნი. დიანა ცმუ-კავდა, ბავშვებს დასდევდა და უყეფდა თავის მოკისკი-სე ეჟვანს. პლატერო თავისი ვერცხლისფერი სხეულის ფორიაქმა ისე აიტანა, თიკანივით დაკუნტრუშებდა, ყალყზე დგებოდა, ტლინკებს ყრიდა, ყირაზე გა-დადიოდა და ვალსის წრეებს მოუხეშავად ხაზავდა რბილ და კრიალა ჰაერში.

## დემონი

უეცრად გალავანთან, მოსახვევში, გამოჩნდა ვირი. მოჩაქჩაქებდა და ბუქს აყენებდა. ისედაც ტურტლიანს ზედ კიდევ მტვერი ედებოდა. წამში გაჩნდნენ აქოშინებული ბიჭებიც. მოსდევდნენ და მოისროდნენ ჭიგოებს, ქვებს. თან მზით გარუჯულ მუცლებზე იქაჩავდნენ ჩაჩაჩულ დაკონკილ შარვლებს.

შავი იყო, დიდი, ბეღნძი და ბეხრეკი, პრესვიტერი-ვით ჩამომხმარი. ისე იყო გაძვალტყავებული, იფიქრებდი, ძვლები გამოხევს გაქუცულ ტყავს და სადმე გამოეჩრებაო. შეჩერდა, კოურების მსგავსი ჩაყვითლებული კბილები გადმოყარა და დაიყროყინა მჭახედ, მძვინვარედ, ისეთი ძალით, მის გაჯახირებულ და გადამღრძვალ სიბერეს სულ რომ არ შეჰვეროდა. პატრონს თუ დაჰკარგვია? ხომ არ გეცნობა, პლატერო? ნეტა რა უნდა? ძლივს მოჯაგჯაგებს და ვიღას გამოექცა ნეტა?

მის დანახვაზე პლატერომ ეშვივით შეატყუპა ყურები, მერე ერთი ყური დაცქვიტა, მეორე ჩამოაპარტყუნა და გამოექანა ჩემკენ. ერთდროულად თხრილში დამალვასაც აპირებდა და გაქცევასაც. შავი ვირი პლატეროს ეძგერა, დაყნოსა, უნაგირს წაეტანა, მონასტრის ყორესერთი შეჰვროყინა და ქვევით ჩაექანა გალავნის გაყოლებით.

უეცრად ამ გაგანია სიცხეში უცნაური შემცივნება და ურულა... ნეტა მე ვკანკალებ თუ პლატერო? ყველაფერი თრთის, ყველაფერი იცვლება. შავ რიდესავით რაღაც თითქოს წაეფარა მზეს და ჩრდილი ჩამოწვა. გამაოგნებელი მარტობა ჩამოდგა ვიწრო შუკაში. ბოტორო ჰაერი მთლად შეგუბდა და სული გვერუთება... შორეული ხმები ნელ-ნელა გვაბრუნებს სინამდვილესთან. თევზეულის ბაზრიდან აღწევს ყაყანი, ქოთქოთი. მდინარის ნაპირიდან ეს-ესაა დაბ-

რუნებული მეთევზეები აქებენ და მაზანდას უწევენ  
თავ-თავიანთ კამბალებს, ორაგულებს, კიბორჩხალებსა  
და ღლავებს; ისმის დილისწირვის ზარები, დანების  
სალესის სტვენა...

პლატერო მაინც ტოკავს. დამფრთხალი გამომხე-  
დავს დროდადრო. რატომლაც გარეტებული ვართ  
ორივე...

– პლატერო ჩემო, მგონი, ეგ შავი ვირი სულაც არ  
იყო მართლა ვირი...

გაოჩნებული პლატერო ისევ აიტანა ძაგძაგმა. ში-  
შით გამომხედა დარდიანმა და შავნალვლიანმა და  
თხრილისკენ გაექანა.



## თავისუფლება

გზისპირა ყვავილების თვალიერებაში გავერთე. უცრად მზერა მომტაცა თვალისმომქრელმა ჩიტმა. ცვარნაყრილი მწვანე მოლიდან ცაში აიჭრებოდა და ძირს ენარცხებოდა ფეხდაბორკილი. ჩუმად ვუახლოვდებით. წინ მე მივიჩქარი, პლატერო უკან მომდევს. იქ, გადაჩრდილულში, წყაროსთვალთან, ონავარ ბავშვებს უკვე დაუგიათ მახე. ამ საცოდავს ყოველ შეფრთხიალებაზე სტკივა და უნებურად ეძახის, უხმობს თავის ზეციურ თანამოძმეთ.

სხივნათელი, კამკამა დილა ლურჯად მჭვირვალებს. ჟივილ-ხივილი იფრქვევა მახლობელი ფიჭვნარიდან. ჭიკჭიკი და გალობა ხან მატულობს, ხან მინელდება, არ ცხრება და ეხმატებილება ზღვიდან ოქროსფრად შემოციმციმბულ ნაზ სიოს, რომელიც ხეთა კენწეროებს ატოვებს. არადა, ზედ მახესთანაა მიამიტ მგალობელთა საბრალო გუნდი!

პლატეროს მოვახტი, ქუსლივკარიდა ფიჭვნარისკენ გავუტიე, ჩამობურულ ტევრში შევაჭენე და ავტეხე ყვირილი, მღერა, ტაშისცემა. პლატერო დაფეთდა და აყროყინდა. გამყივანად და ომახიანად შემოსძახა კიდევ და კიდევ. ექმ გამოეპასუხა საიდანლაც, თითქოს უღრმესი ჭიდან. ჩიტებს ურიამული არ შეუწყვეტიათ, ისე აიშალნენ და მახლობელი ჭალაკისკენ გაფრინდნენ.

ანცი ბალღების ბუზღუნი უკან მოვიტოვეთ. პლატერომ თავისი გაბურძგნილი დრუნჩი მადლიერებით ისე მომიცაცუნა მკერდზე, რომ გული შემეკუმშა.

## მოხეთიალეთა მოდგეა

— შეხე, პლატერო, რამსიგრძეზე გაჭიმულან! თაკარა მზეში ფილაქანზე გაწოლილი ქანცმილეული ძაღლის კუდივით არ წაგრძელებულან?!

ახალგაზრდა ქალი, ტალახით შეზელილ ქანდაკებას რომ ჰგავს, გამურული ქოთანივით შავ ხელს რამდენ-ზეც მიაწვდენს, ექაჩება და გლეჯს გამხმარი შამბის ღეროებს. მისი შალის კაბის წითელ-მწვანე კონკებიდან გამოუღლევია სპილენძისფერ სიშიშვლეს. პატარა გოგო, — გოგო კი არა, თმების ბლუჯა, — კედელზე ნახშირით ჯდაბნის რაღაცას უხამსსა და უგვანს. პირალმა გაწოლილი ბიჭი თავს იქცევს ღნავილით და მუცელზე იფსამს. აი ისე, აუზი გაგახსენდება თავის შადრევნიანად. კაცი და მამუნი იქექებიან: ერთი ბურდღულით იფხანს აბურდულ საქოჩრეს, მეორე ნეკნებზე ისე იგლასუნებს თითებს, თითქოს გიტარის სიმებზე ათამაშებდეს.

დროდადრო კაცი წელში სწორდება, წამოიმართება, ზღაზვნით გადის შუა გზაზე და უსულგულოდ შეაუღარუნებს დაირას. თან აივნისკენ უჭირავს თვალი. ქალი წაიმღერებს რაღაცას, გულის გამაწვრილებელს, ერთფეროვანსა და შეუწყობელს. თან შიგადაშიგ დაუცაცხანებს ბიჭუნას, რომელიც მას ფეხებს უბრა-გუნებს. თავის ჯაჭვზე ბევრად მსუბუქი მამუნი ყირამალა გადატრიალდება უდროო დროს და იმნამსვე იწყებს თხრილში რაიმე საკბილოს ძებნას.

სამია... სადგურის რეისმა უკვე აათავა ნუევას აღმართი. მზე... თაკარა მზე... მეტი არაფერი...

— პლატერო ჩემო, აგერაა ოჯახური იდილია... მუხასავით ქმარი — ქოჩრიფხანია, ცოლი — ვაზის ლერნივით ზედ მიგრეხილ-მიტმასნილი, გოგო-ბიჭი — მოდგმის გასაგრძელებლად და ერთიც — პანია, ჩია მაიმუნი, რომელიც მათთვის საკვებს შოულობს და თან რწყილებს იხილავს.

## გელის სწორი

ზღვიდან მონაბერი ზეფირი შეუყვება მენამულ ფერდობს, შეუქროლებს მწვერვალებს, შესცინის თეთრად მიმოფრქვეულ ყვავილებს, იხლართება ფიჭვის შიმელებში, აფრასავით ბერავს და ძენძავს ლაშვარდისფრად, ოქროსფრად, ვარდისფრად მოციმ-ციმე აბლაბუდებს. ნაშუადლევს აქეთ ზღვიდან შემონაქროლი ქარი მოუძღვის მწუხრს. გულს ახარებს მზე და ზეფირი.

ცქვიტად, ხალისიანად მიმაჩაქჩაქებს პლატერო, გეგონება, ბუმბულივით მსუბუქი ვიყო. ისე მკვირცხ-ლად შევუდექით ბექობს, თითქოს თავქვე ვეშვებოდეთ. შორს, ფიჭვნარს იქით, თრთის და ლაპლაპებს ზღვის უფერული ზოლი. კუნძულზე ვართ თითქოს. დაბლა, მწვანე მდელოზე, ჩირგვებთან ცმუკავენ დაბორკილი ვირები.

საამო ურუოლამ გადაუარა ველ-მინდვრებს. უცრად პლატერო ყურებს ცქვეტს, ნესტოებს ბერავს, დრუნჩის ზედ მოჭუტულ თვალებამდე აინაოჭებს და გადმოყრის ლობიოსავით ჩალაგებულ დიდ ყვითელ კბილებს. გეშს იღებს, ყოველი მხრიდან გამოარჩევს და ხარბად იყნოსავს შიგ კაკალ გულში შემოღწეულ მძაფრ სუნს. ჰო, იქაა, იმ გორაკზეა მისი გულის სწორი, კოხტად, ნაცრისფრად გამოირჩევა ლაშვარდი ცის ფონზე. ერთად შენივთებული ორი ყროყინი, ორი მჭახე გადაძახილი, შუქიანი დღის ნათელს ეხეთ-ქება. შეერთხმებულმა გამყივანმა გადახმიანებამ ჩანჩქერივით ჩამოიქუხა.

საწყალი პლატერო! სხვა გზა არაა, უნდა შევაფერხო მისი სატრფიალო ზრახვები... და... მასავით დანალვლიანებულმა მინდვრის ტურფამ გამოგვაყოლა თავისი გიშრის თვალები, რომლებშიც არემარე ჩა-

ხატულიყო... შიშველი ხორცის იდუმალო ყივილო, ამაოდ ბორგავ და ფორიაქობ ზიზილებით მოფენილ ველზე!

გაქსუებული პლატერო ზანტად მიჩაქჩაქებს, ყოველ წამს შეიძლება უკან გაბრუნდეს. მისი შეყოვნებული ჩორთი და მისი ფლოქვების თანაზომიერი ტყაპუნი საყვედურივით გაისმის:

- რო-გორ მი-მტყუ-ნე,
- რო-გორ მი-მტყუ-ნე...



## წურბელა

დადექი! ეს რა ამბავია შენს თავს, პლატერო, რა დაგემართა?

პლატეროს სისხლი სდის პირიდან, ჯლოყინებს და სვლას ანელებს. წამში ვხვდები ყველაფერს. ამ დილას, ფიჭვთან რომ ჩავიარეთ, პლატერო წყაროს დაეწაფა. ყოველთვის ისეთ ადგილს არჩევს, სადაც წყალი კამ-კამაა და თანაც კრიჭაშეეკული სვამს. მაგრამ, ეტყობა, ენაზე ან სასაზე მაინც აჲყვა წურბელა.

— მოიცა, შე კაცო, დამანახვე, რა გჭირს!

მედროგე რაპოსოს ვეძახი საშველად. მან ნუშებზე გადმოჭრა, ჩამოირბინა და ორივენი ერთად ვცდი-ლობთ, პირი დავალებინოთ პლატეროს. ვერაფერს გავხდით. გეგონება, შედუღაბებული ჰქონდეს ყბები. გული მწყდება, რომ პლატერო არც ისე გონიერი ყოფი-ლა, მე რომ მეგონა. რაპოსომ მსხვილი ჭიგო გადატეხა და შეეცადა პლატეროსთვის ყბებშუა შეეკვეხებინა. ეს იოლი როდი იყო. პლატერომ თავი მაღლა აიშვირა, ყალყზე შედგა, განზე გახტა, აბორგდა.... ბოლოს მედროგემ დროუხელთა და ჯოხმა გვერდიდან შეაღწია პლატეროს ყბებშუა. რაპოსო მოახტა პლატეროს და, პირიდან რომ ვერ გადმოეგდო, ორივე ხელით თავისკენ მოქაჩა ჯოხის ბოლოები.

სწორედ ასეა, გაბერილი შავი წურბელაა! მაკრა-ტელივით მოვიმარჯვე ვაზის ორი ლერნი და მოვაცი-ლე წურბელა. გატიკნილ მოწითალო-მოუანგისფრო ტომსიკას ჰგავს, შავი ლვინით სავსე ტიკივითაა; წითელი დოლბანდის დანახვებაზე გაბლენძილი ინდაურის დაბერილ-დაწითლებულ ჩიჩვირს ჰგავს ამ ბდლვრიალა მზეში. ვირუკებს რომ სისხლს აღარ სწოვდეს, ზედ წყაროსთან შუაზე ვაპობ წურბელას და წამში პლატეროს სისხლით იღებება პატარა ნაკადუ-ლის აქაფებული ჩერი.

## სამი ბერიქალი

— აქეთ, პლატერო, აქეთ, განზე გავდგეთ, წამო, გზა  
ვუტიოთ საბრალო ბერიქალებს.

სანაპიროდან უნდა მოდიოდნენ, ან ეგებ — მთებიდან.  
ერთი ბრმაა, დანარჩენ ორს ხელი შეუშველებია.  
ექიმთან თუ მიდიან, დონ ლუისთან, ან ეგებ ლაზა-  
რეთისკენ მიემართებიან. შეხე, რა ფრთხილად მიიწვევენ  
წინ, თავს როგორ ევლებიან უსინათლოს, თითქოს  
ერთი სიკვდილის მომლოდინე იყოს სამივე. ხედავ,  
პლატერო, განვდილი ხელებით თითქოს განზე სწევენ  
ჰაერს. უცნაურად, ალერსით გზიდან არიდებენ ყოველ  
განსაცდელს, ყვავილებით გადაპენტილ პანია რტოსაც  
კი.

მოისვენე, შე კაცო, ნუ ცმუკავ, თორემ ჩაგორდები!  
დააყურე, რა სევდაა მათ საუბარში. ბოშები არიან.  
კოპლებიან ბრიალა კაბებსაც ხომ ხედავ? წელში გა-  
მართულან, ამ ხანშიც კი შერჩენიათ თვალტანადობა.  
შუადღის ჰაპანებაში მტვერში იხრჩობიან მინით  
მოთხვრილები, გაოფლილები, წვირიანები. და ჩა-  
მომჭკნარ ბერიქალებს მაინც ემჩნევათ გადავლილი  
სილამაზე, როგორც უცრემლო მწარე მოსაგონარი.

შეხე, პლატერო, სიბერეს როგორ ეშხიანად დაა-  
ტარებენ სიცოცხლის შესაგებებლად. ატანილნი არიან  
გაზაფხულით, უამით, როცა ჩახჩახა მზის მთრთოლარე  
ნათელში ოქროსფრად ყვავის ბირკა.



## პრიპა

ამასწინანდელი კოკისპირული წვიმებით მოდი-  
დებულ დელესთან, რომელსაც აგერ ზვრებამდე მიეღ-  
წია, ლიაში ჩაფლულ დაწჯდრეულ ურიკას წავაწყ-  
დით. ფორთოხლითა და თივით ისე დაეტვირთათ,  
ლამის აღარც კი ჩანდა. იქვე ცრემლად იღვრებოდა,  
წაშველებას ცდილობდა და თავისი ნორჩი მკერდით  
ვირუკას უბიძგებდა ჩამოკონკილი ტურტლიანი გოგო.  
ვირი კი, ვაი რომ, პლატეროზე მჭლეც იყო და ულონოც.  
გულამომჯდარი გოგონას სლუკუნსა და შეძახებაზე  
ვირი ამაოდ ეჯაჯგურებოდა ურიკას. ქანცი ჰქონდა  
განწყვეტილი. ზაფხულობით მოღლილი ქარი რომ ყვა-  
ვილებს შეეხიზნება და ჩადგება, ან ბალს რომ თავისი  
სითამამის შესაფერი ლონე არ გასწვდება, ასე იყო  
სწორედ.

ხელი წავუთათუნე პლატეროს და რის ვაი-ვაგლა-  
ხით შევაბი თავის ჩია მოძმესთან ურიკაში. დაყვავება...  
შეგულიანება... და პლატერომ ერთი გაქაჩვით ლაფი-  
დან ამოათრია ვირი ურიკიანად და ფერდობს შეუყენა.

ლმერთო ჩემო, როგორ გაიღიმა გოგონამ! ლეგა  
ლრუბლებში ქარვის ნამსხვრევებად დაფშვნილი ჩა-  
მავალი მზე განთიადივით აკიაფდა მის წვირიან ცრემ-  
ლებში.

სიხარულით გულაჩუყებულმა გოგონამ გამომი-  
წოდა ორი მოზრდილი ფორთოხალი, მკვრივი და მძიმე.  
გამოვართვი მადლიერმა და ერთი გაძვალტყავებულ  
ვირუკას მივეცი სანუგეშოდ, მეორე – პლატეროს  
ჯილდოდ.



## კური

თუ გახსოვს, პლატერო, ამას წინათ გითხარი, მოგერის სული და გული ღვინოა-მეთქი. არა. მოგერის სული და გული პურია. თვით მოგერიც თავთუხის პურივითაა: შიგნით თეთრია და ფაფუკი, გარედან ოქროსფერია და მკვრივი. ჩვენი მზეც ხომ დაბრანულ პურის კვერსა ჰგავს.

შუადღეზე მზე რომ დააცხუნებს, მთელ სოფელს ბული ასდის, ფიჭვისა და ცხელ-ცხელი პურის სუნი დგება. თითქოს მთელი სოფელი პირს აძჩენს და ერთი ვეება პირი ლოლნის ერთ უშველებელ პურს. პურია ყველაფერში: ზეითუნის ზეთში, ბოსტნეულის შეჭამანდში, წველა ყველაში, ყურძნის მტევანში. ყველაფერი კოცნასავით გემრიელია. პურია ყველა-ფერი: ღვინოც, საწებელაც, შაშხიც და თვითონ პურად პურიც. ხმელა პური თავისთავად იმედია, ოცნებით ნალოლიავები...

ჩამოივლიან მეპურეები, ღრიჭოდ დატოვებულ ყოველ კართან შეაჩერებენ ცხენს, ტაშს შემოჰკრავენ და დაიძახებენ: „მეპურეე!“ მერე დაბრანული შოთები და ფუნთუშები ბრაგაბრუგით იყრება კალათებში, რომელთაც შიშველი ხელი დასწვდება ხოლმე. ნაზუქები ცვივა ფუნთუშებზე, კვერები – ბლითებზე...

უპოვარ-უქონელთა ბავშვები წამში გაჩნდებიან ჭიმკრის ცხაურთან, კარის ურდულთან; ჩამორეკავენ ზარს და აცრემლებულები წამლერებით ევედრებიან შინ შეკეტილებს: „პუურიი, ცოოტა პუურიი!“



## აგლავი

რა მშვენიერი ხარ დღეს, პლატერო! მოდი ჩემთან... ამ დილაადრიან რა დღე დაგანია მაკარიამ! ყველაფერ-მა, რაც თეთრი გაქვს და რაც – შავი, ისე გამოანათა და ისე გამობზინდა, როგორც დღე რომ გაკამკამდება, ან ღამე რომ გამჭვირვალდება ხოლმე ნაწვიმარზე. რა სანახავი ხარ, პლატერო!

ოდნავ შეცდუნებულია და ნელა მოიწევს ჩემკენ. ნაბანავები პლატერო ჯერ ხეირიანად არ შემშრალა. ისეთი სუფთაა, შიშველ გოგონასავითაა. ცისკარივით გამოანათა პლატეროს თავმა. დიდი ცოცხალი თვალები ისე უბზინავს, თითქოს გრაციათაგან ყველაზე უნორჩესს ებოძებინოს მისთვის ლაზათი და მგზნებარება.

ამას ყველაფერს კიდეც ვეუბნები პლატეროს. სინაზემ და სიყვარულმა ისე ამიტანა, რომ თავზე ნავეტანე პლატეროს და ჩემკენ შემოვაბრუნე. ვულიტინებ, ხელებს ვუთათუნებ. თვალებს დაბლა ხრის, მისი ორი ყური არ მეპუება მხოლოდ, ყურებითლა მიძალიანდება ოდნავ. არ მიცილებს. თავს გამოითავისუფლებს, განზე გახტება, მერე მოულოდ-ნელად გაიტრუნება ონავარი ლეკვივით.

– რა სანახავი ხარ, შე კაცო! – ვიმეორებ.

პლატერო ახლებში გამონკეპილი ღატაკი ბავშვივითაა, უცხოობს, უხერხულად და გაუბედავად გარბის, თან თვალებით მესაუბრება და გამომცქერის. ყურები გათქვამს მის სიხარულს. მერე ყუჩდება და თავს იკატუნებს, თითქოს გომურის კართან წინკნიდეს ფერად-ფერად ჭარპატელებს.

აგლაე – მომნიჭებელი სინაზისა და მშვენიერებისა, მიყრდნობია ფოთლების, ნაყოფისა და ბელურების სამ-მაგი ვარჯით დამშვენებულ ვეება მსხალს, ღიმმორეული შეჰყურებს ამ სანახაობას და თავად ლამის გაუჩინარებულა ამონათებული დილის მზის სიმჭვირვალეში.

## მთის მწვერვალზე გახარებული შიჭვი

სადმე შევჩერდები და, ჩემო პლატერო, სულ მგონია, რომ მთის მწვერვალზე, ფიჭვის ძირას, ვჩერდები. ქალაქს მივალ, სიყვარული მეწვევა თუ დიდება, – სულ მგონია, რომ შევაღწი მის ვეება სიმწვანეში, რომელიც უხვად იღვრება უკიდეგანო ლაშვარდოვანი ცის თეთრი ღრუბლებიდან. იგი კაშკაშა შუქურადაა აზიდული ჩემი ცხოვრების ბობოქარ ზღვებში. ასევე იმედია იგი შფოთიან ქარიშხლებში თავთხელზე შეხიზნულ მოგერელ მეზღვაურთათვის. იგი საიმედო დასასრულია ჩემი ძნელი დღეებისა. დგას მწვერვალზე, რომლის ორნოხებიან მერამულ კალთას ზანტად მიუყვებიან სანლუკარისკენ გზად მიმავალი ბოგანოები.

რა ძალით ვისები ყოველთვის, როცა წამომაგონდება და გულს მომეფონება ხოლმე! ერთადერთს მას არ შეუწყვეტია ზრდა ჩემს დავაუკუპებასთან ერთად. ისიც იზრდებოდა, უფრო და უფრო დიდდებოდა. გრიგალმა რომ ტოტები ჩამოაყეფა და ჩამოაჭრეს, ასე მეგონა, ხელ-ფეხი წამაცალეს. ზოგჯერ რაღაც ტკივილი წამომივლის ხოლმე და მეჩვენება, რომ ფიჭვს სტკივა.

მას ისეთი საზეო, ისეთი დიდებული სიტყვები შეშვენის, როგორც ზღვას, როგორც ზეცას, როგორც გულს. ისევე როგორც ზღვაზე, როგორც ცისქვეშეთში, როგორც ჩემი სევდიანი გულის სიღრმეში, – წლების მანძილზე ფიჭვის ჩრდილქვეშ ღრუბლების თვალიერებაში კაეშანი განუქარვებია კაცთაგან მრავალს. როცა ფიქრებს შევყვები, როცა წარმოსახვები უნებლიერ წამომეშლებიან, ან იმ წუთებში, როცა საგნებს შინაგანი მზერით ვჭვრეტ, მთის მწვერვალზე წარმომართული ფიჭვი მარადიულობის ხატად მესახება. იგი უფრო დიდია და ირწევა, მიხმობს, რათა შევისვენო მის სიმშვიდეში – ცხოვრების გზებზე ჩემი ხეტიალის ჭეშმარიტ და მარადიულ დასასრულში.

## დარბონი

დარბონი, პლატეროს ბეითალი, ჩვენი მურეშა ხარივით ვეებაა, საზამთროსავით წითელია, ას ოც კილოს წააჭარბებს წონით და, – ჩემი ცხოვრება ლამის გავლიერ, – ამბობს.

რომ ლაპარაკობს, დანჯლრეულ ძველ პიანინოსა-ვით ტოვებს ბერებს. ზოგჯერ სიტყვის მაგიერ ფშვინვა აღმოხდება და სათქმელს წაეშველება თავის კანტურით, ხელების ქნევით, ძაგძაგით, ხველებითა და ცხვირსახოცში პურჭყებით. ეს სანახაობა ვახშმობამდე გასტანს ხოლმე.

არც წინა კბილები შერჩა და აღარც უკანა. პურის გულის მეტს ვერაფერს ჭამს, ოღონდ ჯერ მოფშვნის, ხელში მოაგუნდავებს და, სანამ ყანყრატოში გადაუ-ძახებდეს, მთელ საათს ატრიალებს პირში. შემდეგ ისევ მოაგუნდავებს, შემდეგ – ისევ. ღრძილებით ლოლნის და არნივის ჩარბივით მოკაუჭებულ ცხვირზე ედება გაბუდებული წვერი.

აკი ვთქვი, მურეშა ხარივითაა-მეთქი. ზღურბლთან თუ დადგა, მთელ კარს გმანავს. პლატერო პატარა ბავშვივით უჩუყებს გულს. ყვავილს ან ჩიტს რომ დაინახავს, სიცილი აუტყდება, პირს დააბჩენს, თავს ვეღარ იკავებს, ჩაბჟირდება და ეს უთავბოლო სიცილ-ხორხოცი ყოველთვის ტირილითა და სლუკუნით მთავრდება. ბოლოს ჩაწყნარდება და ძველ სასაფლაოს გახედავს:

– ჩემი გოგო, ჩემი საცოდავი გოგო...



## ბავშვი და წყალი

მზით გადახრუკულ, მიყრუებულ მტვრიან ეზოში – ისე მტვრიანში, რომ ფეხაკრეფით თუ გაივლი, მაშინაც კი ბუქი ავარდება და თვალები მტვრით აგვესება, – ბავშვია წყაროსთან. ეს არის ლალი და ხალისიანი ერთობა, თუმცა თავისი სამყარო აქვს ორივეს. და-ხაშმული ადგილია. ერთი ხეც კი არსადაა, მაგრამ გულში აღნევს, ენაზე გადგება, თვალებში გეხატება ულურჯეს ცაზე სხივით წარწერილი სიტყვა: თა ზისი.

დილიდანვე უსაშველოდ ცხელა. წმინდა ფრანჩესკოს ტაძრის ეზოში ჭრიჭინობელა ხერხავს და ხერხავს ზეთისხილის ხეს. თაკარა მზე თავზე აჭერს ბავშვს. ის კი ვერც ამჩნევს, წყლით არის მოცული. ბიჭი მიწაზე განწლილა, პეშვი შეუშვერია მოჩუხეჩუხე ნაკადისთვის. წყალს მის ხელისგულზე აღუმართავს სიგრილისა და სინატიფის მთრთოლარე სასახლე. აღტაცებული ბავშვი შავი თვალებით გაფაციცებით ჩასჩირებია სასახლეს. თან თავისთვის რაღაცას ბურტყუნებს. მეორე ხელს ხან აქ შეიყოფს კონკებში, ხან იქ და იქექება. სასახლე სასახლედ რჩება, თან ყოველ წამს ახლდება. ზოგჯერ ირყევა კიდეც. მერე ბიჭი მოიკუნტა, დაიძაბა და გაიტრუნა, რათა მისი სისხლის ტოკვას ისევე არ წაეშალა მოხელთებული ჩქერის პირველი სახე, როგორც ციცქნა კრისტალს – კალეიდოსკოპის ხატები.

– არ ვიცი, პლატერო, თუ მიმიხვდები, რასაც ახლა გეტყვი: ამ ბავშვს ჩემი სული უჭირავს ხელში.



### მეგობრობა

ჩვენ მშვენივრად შევეწყვეთ ერთმანეთს. ნებაზე მივუშვებ ხოლმე და მუდამ იქ მივყავარ, სადაც მომე-სურვილება.

მწვერვალზე გახარებულ ფიჭვს მივადგებით და... იცის პლატერომ, როგორ მინდა მოვეფერო, ხელი მო-ვუთათუნო მის ტანს, ცას შევაჩერდე ფიჭვის ვეება ვარჯიდან, რომელშიც ნათელია ჩაღვრილი. პლატერომ იცის, როგორ მიყვარს ის საცალფეხო ბილიკი, ხასხასა მდელოზე ძველისძველი წყაროსკენ რომ მიიკლაკნება; იცის, რომ ჩემთვის დღესასწაულია გორაკზე შეფენილი ფიჭვნარიდან მდინარისთვის თვალის შევლება, რომ შორიდანვე მიხმობს მაღლარი ტყე, ანტიკური გარემოს მსგავსი. პლატეროს ზურგზე იმედიანად ჩამთვლემს ხოლმე. ვიცი, სადმე საამურ ადგილას გამეღვიძება.

პლატეროს ისე ველოლიავები, როგორც ბავშვს. როცა გზა გაძნელდება და ოღროჩოლროებზე სვლა დაუმძიმდება, ჩამოვქვეითდები, რომ შეღავათი მივცე. ვკოცნი, ველაზლანდარები, ვაჯავრებ კიდეც... კარგად იცის, რომ მიყვარს და გულში არ იხვევს წყენას. პლა-ტერო ისე მგავს და ისე განსხვავდება ყველასაგან, რომ მგონი, ჩემი ოცნებებითაც კი ოცნებობს.

ცელქი ბიჭი რომ დადინჯდება, ასე მოდრკა და მომენდო პლატერო. არ მეურჩება. ვიცი, რომ მისი ბედნიერება ვარ. ისე შემეთვისა, გაურბის სხვა ვირებ-საც და სხვა ადამიანებსაც.



## ნანია

მენახშირის გოგონა, მონეტასავით ლამაზიცა და ჭუჭყანიც, შავ თვალებს აკვესებს. ჭვარტლით აქვს მომურული სისხლივით წითელი ტუჩები. ჩამომჯდარა ქოხის კართან კრამიტზე და თავის უმცროს ძამიას ურნევს.

მოციმციმე მაისია, მზის გულივით მწველი და ჩახჩახა. შუქჩალვრილ სიმშვიდეს არღვევს გარეთ ცეცხლზე შემოდგმული კოჭობის თუხთუხი. ცხენების შეწყვილების უამია და იალაღებიდან მოისმის ფაშატულაყთა შეჭიხვინება. ზღვიდან მონაბერმა ზეფირმა ხალისიანად შეიქროლა ევკალიპტის ტევრში.

ტკბილად, გრძნობამორევით ღილინებს გოგონა:  
 „დააიძიინე, პაანანიინავ,  
 მწყეუმსის სააუნჯევო...“

სიჩუმეა... ქარი არნევს ხის კენწეროებს...

„დააიძიინე, პაანანიინავ,  
 მეუც მეძიინებაო...“

ნიავი მოირხევა... პლატერო ფრთხილად მიიკვლევს გზას დანახშირებულ ფიჭვებში. ნელა უახლოვდება გოგონას, უეცრად წვება შავ მინაზე და პატარა დედის ნანინაზე ბავშვივით იძინებს.



## მემი გვრცელება

ეს ხე, პლატერო, ეს აკაცია, მე თვითონ დავრგე. ხე კი არა, ცეცხლი იყო, მწვანე ცეცხლი! გაზაფხულიდან გაზაფხულამდე ტანს ისრულებდა და ახლა თავზე გადმოგვთარებია თავისი ხშირი ფოთლებით, რომლებშიც ჩამავალი მზის სხივები ატანს. ამჟამად გამოკეტილ ამ სახლში როცა ვცხოვრობდი, ეს ხე ჩემი პოეზიის ყველაზე ნაღდი ბურჯი იყო. აპრილი ფირუზისფრად რთავდა, ოქტომბერი ოქროთი ამკობდა და მისი ყოველი ტოტისთვის თვალის ერთი შევლებაც კი მახალისებდა, თავისი უმანკო ხელით თითქოს შუბლზე მეხებობდა მუზა. რა ნაზი, რა წერძეტა, რა მშვენიერი იყო მაშინ!

დღეს კი, პლატერო, ლამის მთელ ეზოს დაპეატ-რონებია, განზე გასულა. როგორ გაბარჯდულა! არ ვიცი, ნეტა გამიხსენებს? გულიდან გადამშორდა. გადასხვაფერებულა. სხვა ხე მგონია. ვიდრე მივიწყებული მყავდა, ვიდრე ჩემთვის ლამის ალარც კი არსებობდა, გაზაფხული წლიდან წლამდე თავისი ნეპისამებრ ცვლიდა და და ჩემს გუნება-განწყობაზე სულაც არ ნაღვლობდა.

არაფერს ალარ მეუბნება ახლა, თუმცა ხეა, ჩემი დარგული ხე. თუნდაც ერთხელ რომ მიუალერსო ხეს, შენი სანდომელა ხდება, გრძნობით გივსებს გულს. ეს ხე კი, ხე, რომელიც ასე მიყვარდა და ასე შევეთვისე, – არაფერს მეუბნება შეხვედრისას. დარდის ამშლელია ეს. ეჰ, ალარ ლირს ამაზე ლაპარაკი! მზის შუქი რომ ჩაიკრიფება, დაისი და აკაცია ერთმანეთს რომ შეეზავება, ალარც მაშინ ჩანს რტოზე ჩამოკიდებული ჩემი ქნარი. ამ მშვენიერ ლორთქო ყლორტს ლექსი ალარ მოაქვს ჩემთვის. ხის ვარჯში ჩაღვრილი სხივის ჭიატი ალარ ალმიძრავს ფიქრებს. არადა, რამდენჯერ მოვსულვარ აქ, ყოველდღიურობას გამოვრიდებივარ და აქ შემოვხიზნივარ ჰარმონიულ სიმარტოვეზე ოცნებებს, ხალისიანსა და სურნელოვანს. ახლა, ჩემო პლატერო, ცუდად ვარ, მცივა. სამორინიდან, დუქნიდან ან თეატრიდან რომ მინდოდა ხოლმე გაქცევა, სწორედ ისე მინდა ახლა აქაურობას გავეცალო.

## ჭლექიანი

ფერმკრთალი, სახეგაცრეცილი და ნაღვლიანი იჯ-და სკამზე, თეთრად შეფეთქილ ცივ საწოლ ოთახში. დამღრალ ნარგიზს ჰგავდა გოგონა. ექიმს ეთქვა, ამ გრილი მაისის მზიან დღეს სუფთა ჰაერზე გავლა მოგიხდებოდა. ვერ შეიძლო თურმე საწყალმა.

— ხიდამდე ძლივს მივედი, სენიორ, ხომ იცით, აქვე ორიოდ ნაბიჯზე რომ ხიდია. სული შემეხუთა, სუნთქვა შემეკრა...

ზოგჯერ ზაფხულში ნელი ქარი რომ უეცრად ჩაწყ-ნარდება და ჩადგება, ასე ჩაუწყდა წვრილი და მისუსტებული ბავშვური ხმა.

პლატერო გაგასეირნებს-მეთქი, შევთავაზე. ზურგ-ზე რომ შეაჯდა, ლმერთო ჩემო, სიცილმა როგორ გაუცისკროვნა ჩამკვდარი სახე! როგორ გამოანათა შავმა თვალებმა, თეთრმა კბილებმა!

თავ-თავიანთი კარის ზღურბლზე ჩვენს საყურებლად გამოეფინნენ მეზობლის ქალები. პლატერო ფრთხილად მიაბიჯებდა, თითქოს ესმოდა, რომ ზურგით მიჰქონდა შუშასავით გასაფრთხილებელი რამ, ნაზი ზამბახი. გოგონას თეთრი სადა კაბა ეცვა, მონტემაიორის ღვთისმშობელს რომ აცვია, სწორედ ისეთი. წელზე წითელი ზონარი ერტყა. ხურვებამ და ჩასახულმა იმედმა მთლად გადაასხვაფერა... ანგელოზმა ჩაიარა პატარა ქალაქში და სამხრეთისკენ ზეცაში მიმავალ გზას დაადგა.



## თქმრი

პლატერო, მოდი, დაველოდოთ საზეიმო ეტლებს. მოვლენ და მოიყოლებენ დონიანის შორი ტყის გუგუნს, ანიმას ფიჭვნარის იდუმალებას, მადრესისა და ფრესნოსის ჭალების სიგრილეს. მოჰყვებათ ჯორების სუნიც.

გამოკოხტავებული და გახალისებული პლატერო თან გავიყოლე წყაროსქუჩელი გოგოების შესაქცევ-რად. გოგოებს თავი მოეყარათ კირით შეთეთრებულ დაბალ ჩარდახქევეშ. შევარდისფრებული ღრუბლებით მობურული ჩამავალი მზე თითქოს ცახცახით და-ფავდა სულს. საკირის ყორეზე გავჩერდით. აქედან ხელისგულზე იყო მთელი გზა.

უკვე გამოჩნდნენ, აღმართს შეუყვნენ ეტლები. მონითალო ღრუბელი მიიზლაზნებოდა ცაზე და თქო-რავდა გადამწვანებულ ზვრებს. ხალხს არც აუხედავს უინულიანი ცისკენ.

ჯერ მოდიან მავრული წესით აკაზმულ, ფაფარ-დანნულ ვირებზე, ჯორებზე, ცხენებზე შემომსხ-დარი მექორნინე წყვილები: შეღერებული, მოსხეპილი ჭაბუკები და თვალტანადი ქორფა ასულები. თვა-ლისმომჭრელად არიან მორთულები. ჩოჩქოლით მოიწვენ, უკიდეგანო სიხარულით არიან ატანილები. აყალმაყალით, ხმაურით მოემართება შემთვრალი მაყრიონის ეტლი. მათ უკან, თეთრჩარდახიან ეტლში სხედან შავტუხა, მკვრივი, გათქვირული გოგოები; დაირებს აუდარუნებენ და გაჰკივიან სევილიურ ჰანგებს. კიდევ და კიდევ ცხენები, კიდევ და კიდევ ვირები...

— დიდება როსიოს ღვთისმშობელს!\* — გაყვირის ჯარჩი, — თავმოტვლეპილი, წითური, ხმელ-ხმელი კაცი, რომელსაც ზურგზე დიდი სომბრერო აქვს მოგდებული და ხელთ უპყრია უზანგზე ჩამობიჯვებული ოქროს კვერთხი. ბოლოს გამოჩნდა ორი აბრაშა ხარი. ქედი ელრიცებათ ულელში უთანაბროდ შებმულთ. მღვდელმთავრებს ჰგვანან. მორთულნი არიან მბზინვარე ჭრელი შუბლსაკრავებით, რომლებიც ნაპერნკლებად ისვრიან უინულლით შემღვრეული მზის შფოთიან სხივებს. ამეთვისტოთი და ვერცხლით შეჭედილი თეთრი ეტლი ყვავილებით ისეა დახუნძლული, რომ შემჭკნარ ბალს ჰგავს. შიგ ზის ყოვლადნმიდა.

მოისმა მოგუდული ჰანგი, შორეული ზარების რეკვა, საზეიმო რაკეტების ბათქი და ჩაფხუტებზე ქვების ბრაგაბრუგი.

უცებ პლატერომ შეატყუპა წინა ტოტები და, — ღმერთო ჩემო, მისი კიდევ ერთი საოცარი უნარი! — ქალივით დაიჩოქა მდაბლად, კრძალვით, სასოებით.

\* როსიო — სოფელი მოგერის სამხრეთით, სადაც ყოველწლიურად ზეიმობენ ღვთისმშობლობას. როსიოში ტრადიციული დღესასწაული სამ დღეს გრძელდება. ახლომახლო რაიონებიდან თავს იყრის უამრავი ხალხი. ამასთანავე იօცი ნიშავს თქორს. ამიტომაცაა მინიატურაში თქორი და უინულლიანი ცა.



## რომელი

პლატეროს ავშარა შევხსენი და ზიზილებით აჭიატებულ მდელოზე მივუშვი საბალახოდ. თვითონ კი ფიჭვის ძირას წამოვწექი, მავრული ხურჯინიდან ამოვიღე პატარა წიგნი, გადავშალე მონიშნულ ადგილას და დავიწყე ხმამაღლა კითხვა:

„მაისში ვარდი გადაიფურჩქნა,  
განთიადის ცა დაჯაბნა ფერით,  
განყრა ზეცა და...“

მაღლა, ზედა ტოტზე, დახტის და უღურტულებს პატარა ჩიტი. მზე ოქროსფრად აელვარებს ჩიტუნიასაც და მწვანე კენწეროსაც, რომელიც ისე ირწევა, თითქოს ოხრავდეს ფიჭვი და თავს აქნევდეს. ფრენა-ფრენასა და ჭიკჭიკს შუა ისმის თესლის კნატუნი. საუზმობს ჩიტუნია.

„განყრა ზეცა და მისი მშვენება...“

გემის ცხვირივით რაღაც დიდი და თბილი უეცრად მომიახლოვდა და მომედო მხარზე. პლატეროა. ეჭვი არაა, ორფევსის ქნარმა აუშალა საღერღელი და ჩემთან ერთად მოუნდა კითხვა. და ვკითხულობთ:

„მაისში ვარდი გადაიფურჩქნა,  
განთიადის ცა დაჯაბნა ფერით,  
განყრა ზეცა და მისი მშვენება  
გააფერმერთალა ცვრის საბურვ...“

მაგრამ პატარა ჩიტუნიამ ხომ მაღიმალ უნდა ჩამოსკინტლოს. და უცებ ლექსის რითმა დაფარა ყალბმა ნოტმა.

რონსარს ალბათ უეცრად სულ მიავიწყდა თავისი სონეტი და საიქიოში გულიანად გადაიხარხა.

## სურათების კაცი

უცებ ქუჩის სიჩუმეს ანგრევს დოლის ბრაგაბრუგი. ჩახრენწილი და აკანკალებული ხმით ვიღაც გაყვირის. ბავშვები კისრისტებით ჩამორბიან თავდალმართში: „სურათების კაცი! სურათების კაცი!“

ქუჩის კუთხეში დასაკეც სკამზე დევს მომცრო მწვანე ზანდუკი. ვარდისფერი ოთხი ალამი აქვს კი-დეებში დატანებული. ლინზა მზისკენაა მიშვერილი. მოხეტიალე მოხუცი დოლს უბრაგუნებს. უფულო ბავშვები გატრუნულან და გარს უვლიან ყუთს. ზოგს ჯიბეში აქვს ხელები, ზოგსაც ზურგს უკან შემოუწყვია. უცებ მოქანდა ბიჭი, ხელისგულზე ხურდა ფული უდევს. წრე გაარღვია და თვალები მიაწება ლინზას...

— ახლა გამოჩნდება... გენერალი პრიმი... თავისი თეთრი ცხენით! — ამოღერლა გაბეზრებულმა ბერი-კაცმა.

— ბარსელონას ნავსადგური! — ისევ დასცხო დოლს.

მოიჩქარიან ბავშვები. ფულს უწვდიან მოხუცს და ინთქმებიან თვალიერებაში, ჩქარობენ თავ-თავიანთი ფანტაზიის ყიდვას.

— ახლა მოჩანს... ჰავანის ციხესიმაგრე! და ისევ დოლის ბრაგუნი.

პატარა გოგონასა და ფინიასთან ერთად პლატეროც მიდის სურათების სანახავად. ბავშვებს შუა თავს გაყოფს და ხალისობს. ბერიკაცი პლატეროს ეხუმრება:

— მოიტა ფული!

უფულო ბავშვები ნაძალადევად იცინიან და მოხუცს შეჰყურებენ რიდით, ვედრებით, ლიქნით.

## ყვავილი ბეის პირას

რა წმინდაა, რა მშვენიერი, პლატერო, გზისპირას გახარებული ეგ ყვავილი! ჯგლეთითა და ჩოჩქოლით გვერდით ჩაუვლიან ხარები, თხები, ცხენები, ადა-მიანები. ის კი ისევ ისე ყელყელაობს, ნაზი და ნატიფი, ვარდისფერ-იისფერი. განმარტოებით ამოზრდილა და ამორხეულა თავის პანია ბელტზე. დგას უწმინ-დურებისგან ნაუბილწავი, სუფთა.

ყოველდღე, აღმართს რომ შევუყვებით და ბილიკით მოკლეზე მოვჭრით, იმ სიმწვანეში გამოანათებს. ჩიტიც რომ შეეჩინა! მივუახლოვდებით და.... გაფრინდება. ნეტა რატომ?! ზაფხულის ღრუბელი კამკამა წყლით გაალიცლიცებს ხოლმე პანია ჯამივით. მშვიდად იტანს ფუტკრის ფათურს და პეპლის ფანცქალს.

ჩემო პლატერო, სულ რამდენიმე დღის სიცოცხლე აქვს, მაგრამ თავს სამუდამოდ დაგამახსოვრებს. მისი სიცოცხლე შენი გაზაფხულის ერთ დღესავითაა, ჩემი სიცოცხლის ერთი გაზაფხულივითაა... პლატერო ჩემო, ამ ღვთაებრივი ყვავილის სანაცვლოდ რას არ მივცემ-დი შემოდგომას, რომ იგი დაენარჩუნებინა უჭკნობ ლიტონ ხატად ჩვენი მარადიული გაზაფხულისა.



## ლორდი

— არ ვიცი, პლატერო, ფოტოსურათის გარჩევა თუ შეგიძლია. ვაჩვენე რამდენიმე უბირ კაცს და ვერაფერი გაარჩიეს. მოკლედ, პლატერო, ეს არის ლორდი, პატარა ფინია, ფოქსტერიერი. რამდენჯერ მიხსენებია შენთან. აგერ, ხომ ხედავ, მარმარილოს ფილებით მოგებულ შიდაეზოში ნემსიწვერას ქოთნებს შუა მოკალათებულა ყურთბალიშზე და ზამთრის მზეს ეფიცხება.

საცოდავი ლორდი! სევილიდან ჩამოვიყვანე, როცა იქ ფერნერას ვსწავლობდი. თეთრი იყო, ქათქათა. ჩახჩახა მზეში ლამის უფერულიც კი ჩანდა. მთლად მრგვალი იყო, ქალის ბარძაყივით ჩაპუტკუნებული, ცქაფი, კლდის ნაპრალიდან გადმომსკდარი წყლის ჩქერივით დაუდეგარი. აქა-იქ ფარვანებივით აჩნდა შავი ხალები. მისი ორი თვალი – ეს იყო მოკიაფე სიღრმე კეთილშობილებისა. ზოგჯერ რაღაც შეუჩინდებოდა, უეცრად დაბზრიალდებოდა შიდაეზოს შროშანებში, რომლებიც მაისში ყველგან ყვაოდნენ, ჩარდახის ფერად შუშებში მოჭიატე მზისგან წითლად, ლურჯად, ყვითლად ღაღანებდნენ და დონ კამილიოს დახატულ გვრიტებს ჰგვანდნენ... ხან კიდევ ბანზე აძვრებოდა და ჟივილ-ხივილს შეუყენებდა თავ-თავიანთ ბუდეებში ჩაწყნარებულ ნამგალა ჩიტებს... ყოველ დილაცისმარეს საპნით ბანდა მაკარია და ლეკვი სულ ბზინავდა, სხივს ისროდა და ისე კრიალებდა, როგორც ჩვენი სახურავის ქონგურები ცის ლაუგვარდში.

მამა რომ მომიკვდა, ლორდი მთელ ღამეს ფხიზ-ლობდა კუბოსთან. დედაჩემი რომ ლოგინად ჩავარდა, განვა მის საწოლთან და ასე მთელ თვეს იწვა უსმელუქმელი...

ერთ დღეს მითხრეს, ცოფიანმა ძალლმა დაკბინა... ძველ ციხე-გალავანთან რომ დუქანია, იქ უნდა დააბა, ფორთოხლის ძირას, კაცთაგან განაპირებითო...

უკან მოიხედა, პლატერო, ამ შუკას როცა გაუყენეს...  
მისი თვალები, მისი გამოხედვა ახლაც გულს მისერავს.  
ეს ისევეა, ვარსკვლავი რომ ჩაქრება, მაგრამ მისი სხივი  
რომ მაინც ცოცხლობს, მაინც კიაფობს და არყოფნას  
რომ არ ეპუება განნირულებისგან გამძაფრებული  
ძალისხმევით... ყოველთვის, როცა რაიმე ამქვეყნიური  
მატკენს გულს, თვალნინ ნარმომიდგება სავალი  
გზა სადღეხვალიო ყოფიდან მარადიულობისკენ, ნა-  
კადულიდან მთის მწვერვალზე გახარებული ფიჭვის-  
კენ... და თავს შემახსენებს ლორდის გამოხედვა,  
როგორც ნაწვიმარზე დარჩენილი ღრმა ნაკვალევი.



ჭა... როგორი ჭახუნა სიტყვაა, როგორი ღრმა სიტყვა, გრილი და მწვანედ ჩაბნელებული! იტყვი და, თითქოს ეძგერება, ეჯახება, ჭრის შავ მიწას, რომ გზა გაუხსნას ანკარა ცივ წყალს.

ჩახედე. ზედ წამოწვდილი გაბარჯლული ლელვი შემოშენებულ გვიმს ჩაზრდია და დაუბზარავს კიდეც. თან როგორ ამშვენებს ჭას! შიგ ჭაში, ზედ ხელის მიტანებაზე, ჩამწვანებულ ქვებში ლურჯი ყვავილი გაშლილა და აფრქვევს სურნელს. ოდნავ ქვემოთ მერცხალს გაუმართავს ბუდე. უფრო ქვევით ჩრდილში დანთქმულა ზურმუხტის სავანე – მოსარკული ტბა. ტბა წყნარია, მაგრამ ქვას თუ ესვრი მის სიმშვიდეს, გაწყრება და გუგუნს შემოგაგებებს. სულ ქვევით ცაა.

ღამდება და იქ, დაბლა, ფსკერზე, ინთება მთვარე. მძივებად მოფანტული ვარსკვლავები ირწევიან. რა სიჩუმეა! სიცოცხლე ამ მრუმე შორეთის გზებით გვტოვებს. ადამიანის სულიც ჭით შედის ბნელეთის სილრმეში და გააღწევს წყვდიადის იქით. ასე მგონია, ჭის ჯურღმულიდან წამოიმართება დიადი სული ღამისა, სამყაროს იდუმალებათა გამრიგე. ჭა ჯადოსნური მდუმარე ღაბირინთია, სურნელოვანი დაბურული წალკოტია, ჯადოსნური და მომაჯადოებელი დარბაზია!

– პლატერო ჩემო, ოდესმე თუ გადავეშვები ამ ჭაში, იცოდე, დასახრჩობად კი არა, – ვარსკვლავის მოსახელთებლად.

წყურვილითა და სიცხით დაოსებულმა პლატერომ ხმა აიმაღლა. მერცხალი დაფრთხა და ჭიდან უჩუმრად ამოფრთხიალდა.

## გარბიანი

კირით გადათეთრებულ მიხვეულ-მოხვეულ ვიწ-რო ქუჩას იისფერი გადაჰკრა ჩახჩახა მზემ და ლაქ-ვარდმა ცამ. ქუჩის ბოლოს შავად ჩამოგვალული კოშკია, სამხრეთის მხარეს დახეთქილი და ზღვიდან მოვარდნილი ქარისგან ჩამოშვავებული. ამ ქუჩით ნელა მოდიან ბიჭი და ვირი. ჯიჯგვი ბიჭია. თავი ნამდვილი კაცივით უჭირავს. ზურგზე დიდი სომბრერო აქვს მოგდებული და თვითონ იმ სომბრეროზე უფრო პატარაა. მთიელი ბიჭი მთლად მოცულია თავისი გულისნადებით და ემლერება:

„გეხვეწე და გემუდაარე,  
კაცი დავიღალე...“

ავშარამოფოლხვებული ვირი წინკნის ქუჩის გა-ნაპირას შემორჩენილ მტვრიან ბალახს. გარგარით დატვირთულ ვირს საპალნე ფერდებზე სცემს ნელ ბიძგებად. დროდადრო ბიჭი თითქოს ფხიზლდება და უბრუნდება ქუჩის სინამდვილეს, უცებ ჩერდება, ტალახიან შიშველ ფეხებს გააბაჯიჯებს, თითქოს დაიბიჯგებს ძალის მოსაკრებად, ტუჩებთან მიტანილ ხელებს წაიშველიებს, რომ ხმას სიხაფე შემატოს, და გამყივანად, წამლერებით გაყივის:

— გარგააარი! — და „ა“-ს რომ წააგრძელებს, ხმას ბავშვურად წაუწვრილებს.

და მერე, თითქოს გარგარის გაყიდვა „სწადდეს არღარა“, — როგორც იტყვიდა პალრე დიასი, — ისევ ფიქრებში ინთქმება და თავის ბოშურ სიმღერას უბრუნდება:

„არ გემდუური, არ გაყვეედრი,  
არ მიგიიძღვის ბრაალი.“

ბიჭი აზრმიუტანებლად არაკუნებს ჯოხს კენ-ჭებზე...

ახალგამომცხვარი პურისა და დამწვარი ფიჭვის სუნია. ნელმა სიომ ჩამოუქროლა ქუჩას. დედოზარმა

დარეკა, სამი საათი გვამცნო. მომცრო ზარი შეეხმიანა. მერე ზეიმის ჯარჩის მოძახილმა მოხეთქილი წყლის ზავთივით ჩაახშო საყვირის ხმაც და საფოსტო ეტლის ზანზალაკებიც, რომელთაც შუა ქალაქში ჩაინკარუნეს და ორად გააპეს მიძინებული პატარა ქალაქის მდუმარება. შორს, კრამიტის სახურავებს იქით, ჰაერი ლივლივებს და გეჩვენება, რომ ზღვა დელავს, ლაპლაპებს, ზღვის სუნიც კი აღწევს თითქოს. მაგრამ უკაცრიელია ეს ზღვა. ტალღების მოსაწყენი ერთფეროვნება და სიმარტოვეა მხოლოდ.

ბიჭუნა ისევ წაიღო გარინდებამ. მერე ისევ გამოერკვა და დაიძახა:

— გარგააარო!

პლატერო გაოჩნდა. თვალს არ აცილებს ბიჭს, ყნოსავს და ერჩოლება ვირს. ნაცრისფერი წყვილი თავის რაღაცნაირი აქნევით, ვერც კი ვიტყვი, — როგორით, აი, თეთრმა დათვებმა რომ იციან, ისეთით, — მშვენივრად უგებს ერთმანეთს.

— კარგი, პლატერო, კარგი, ვეტყვი მაგ ბიჭს, მომცეს თავისი ვირი, შენ კი იარე შარაგზებზე და ყიდე გარგარი... გინდა?



## ტლინებაზე

მონტემაიორის ფერმაში მივდიოდით. მოზვრებს დალავენ იქ. მოკირნყული შიდაეზო ნაშუადლევის უკიდეგანო ლურჯი ცის ქვეშ ზანზარებდა გაუხედნელი ულაყების ჭიხვინისა და ბორგვისაგან, ქალების ხალი-სიანი კისკისისა და აზრიალებული ძალების გაბმული ღავლავისაგან. პლატერო კუთხეში ფორიაქობდა.

— შე კაცო, ეგებ ვერც კი შეძლო ჩვენთვის ფეხის აწყობა, ეგებ ჯერ პატარა ხარ... — ვეუბნები.

ისე შორს დაიჭირა და ისე გაცეცხლდა, რომ ჩვენი უბნის „შერეკილს“ ვთხოვე, ზურგზე შემოჯდომოდა პლატეროს და გამოგვყოლოდა.

... რა სახალისოა ხასხასა მოლზე ჯირითი! დატ-ბორილ მშვენიერ ნაპირს მზე ოქროთი ავარაყებდა. მიმობნეულ გუბებში, როგორც სარკის ნამსხვრევებ-ში, ირეკლებოდა მიტოვებული წისქილები. ჭენებით გახელებულ ცხენებს გაჩქარებული ჩინდრიკით კვალში ედგა პლატერო. რიოტინგოს ორთქლმავლის არ იყოს, სულ უფრო და უფრო სწრაფად უნდა ეჩაქჩაქა, რომ არ ჩამოგვრჩენოდა და გზაზე მარტო არ დარჩენილიყო „შერეკილის“ ანაბარა. უეცრად თოფის დაჭექებასავით გაისმა. პლატერო დრუნჩით გავაზე წატანებოდა ნაცრისფერ კვიცს. ჰოდა, იმან ტლინკები ჰყარა. ყუ-რადლება არავის მიუქცევია. არავის შეუნიშნავს, პლატეროს წინა ტოტიდან სისხლი რომ სდიოდა. ჩა-მოვქვეითდი, ნარი და ძუა შევგრიხე და გახეთქილ ძარღვზე გადავუჭირე. მერე „შერეკილს“ ვუთხარი, შინ წაეყვანა.

უკან გაბრუნდნენ ზანტად და ნაღვლიანად. სოფლის-კენ გაემართნენ, მშრალ ხევს გაუყვნენ. თავს ჩვენკენ აბრუნებდნენ, გამოსცეკეროდნენ გაჭენებულ იორღებს.

დავბრუნდი თუ არა, პლატეროს მივაშურე. უგუ-ნებოდ დამხვდა. ტკივილით იყო შენუხებული.

— ეჰ, ხომ ხედავ, არ შეგძლებია კაცებში გარევა და მათთან ერთად ნასვლა-ნამოსვლა. — ვუთხარი.

## ვიროგრაფია

ლექსიკონში ვკითხულობ: „ვიროგრაფია – (არსებითი სახელი, ირონიული შეფერილობით) ვირის აღწერილობა.“

საბრალო ვირო! რა კარგი, რა კეთილშობილი, რა გამჭრიახი ხარ! ირონიული... რატომ? რომელი აღწერილობა შეიძლება იყოს შენი შესაფერი? შენი საკადრისი აღწერილობა ხომ გაზაფხულის ერთი საოცარი ზღაპარი იქნება! ნეტა კარგ ადამიანს „ვირი“ უწოდონ! ნეტა ოჩან ვირს „ადამიანი“ დაუძახონ! ირონიულიო... და ეგ შენ გეხება, შენ, ასე გონიერს, მოხუცისა თუ ბავშვის მოყვარულს, ნაკადულისა თუ პეპლის მოკეთეს, მზისა თუ ძალლის თანამზრახველს, ყვავილისა თუ მთვარის მეგობარს; შენ გეხება, ასე თვინიერსა და ჭკვიანს, დარდიანსა და გულისხმიერს, შენ – ველ-მინდორთა მარკუს ავრელიუსს...

პლატერომ, ცხადია, ყველაფერი გაიგო და შემომანათა თავისი შუქიანი დიდი თვალები, რომლებშიც სინაზე და ძლიერება იყო ჩაბუდებული. ამ თვალებში, მოშავო-მომწვანო ცარგვალივით ამობურცულ თვალებში, ანთია მოკაშკაშე მზე. ეჲ, მაგ შენმა მშვენიერმა გაბურდგნილმა თავმა ნეტა იცოდეს, რომ სამართალს ვეძებ მისთვის! ნეტა იცოდეს, რომ ბევრად ვჯობვარ ლექსიკონის შემდგენლებს, რომ შენნაირი ვარ ლამის!

ჰოდა, წიგნის აშიაზე მივაწერე: „ვიროგრაფია – (არსებითი სახელი, გადატანითი მნიშვნელობით, ცხადია, ირონიულად) აღწერა იმუტვინო ადამიანებისა, რომლებიც ლექსიკონებს ადგენენ“.

## საუფლო დღესასწაული

ის იყო, ბალიდან ვბრუნდებოდით წყაროს ქუჩით, რომ ნაკადულების მხრიდან სამჯერ შემოგვესმა ზარების რეკვა. პატარა თეთრი ქალაქი შეძრა თითბრის სეფეზარის გრგვინვამ. ზარის მოძახილი თითქოს ბრუნავდა, რიალებდა დღის სინათლეში შავ ნაპერნკლებად მიმოფრქვეულ შუშხუნებს შორის და მჭახე მუსიკის მეტალისებურ ზრიალს ერთოდა.

კირით ახლახან შეთეთრებული ქუჩა უანგისფერი საღებავით მოელამაზებინათ, გადაემნვანებინათ, ალვის რტოებითა და ლელქაშით მოერთოთ. ფანჯრებზე ჩამოეფარებინათ ბრონეულისფერი ქამხა, ყვითელი სტავრა, ცისფერი ატლასი. მგლოვიარეთ შავარშიიანი ჯვალო გამოეფინათ სარკმლებში. განაპირა სახლებს იქით, შემორკალულ სტოასთან, გამოჩნდა სარკეებით მოოჭვილი ჯვარი, რომელიც ჩამავალი მზის ელვარებასაც ირეკლავდა და კელაპტრების ალსაც. წითელი კელაპტრები სისხლის წვეთებად ელვენთებოდა ჯვარს, პროცესია ნელა მოემართებოდა. მენამული დროშა მოუძღვდა წმინდა როკეს – ხაბაზთა მფარველს, ფუმფულა ფუნთუშებით დახუნძლულს; წმინდა ტელმოს – მეზღვაურთა შემწეს, ხელთ ეპყრა ფირუზისფერი ბაირალი და ვერცხლის ხომალდი; ყვითელდროშიან წმინდა ისიდორეს – მხვნელთა და მთესველთა მეოხს, ხარ-ურემი ეჭირა; აქ იყო ფერად-ფერადი უამრავი ალამი, უამრავი წმინდანი; წმინდა ანა სათუთად მოძღვრავდა ყრმა მარიამს; აქვე იყო სახემოქუფრული წმინდა იოსები და ყოვლადწმიდას ლაჟვარდისფერი ხატება. სულ ბოლოს სამოქალაქო გვარდიის თანხლებით მოჰკონდათ მწიფე ბრონეულებითა და ზურმუხტისფერი მკვახე მტევნებით შემკული, ფაქიზად მოჭედილი ვერცხლის სანაწილე. ზეციური ღრუბლის ფთილებივით ადიოდა ზევით საკმევლის ბოლქვები.

მნუხრის მოახლოებასთან ერთად უფრო და უფრო იხვეწებოდა და სიდიადე ემატებოდა ანდალუსიური კილოკავით წარმოთქმულ ფსალმუნთა ლათინურს. მდინარის მხარეს ვარდისფრად ჩანათებული მზე თავის ალმაცერ სხივებს ფშვნიდა და წაპერნკულებად მიმოფანტავდა ძველებური ოქროთი შემკულ ბისონებსა და ოქრომკედით ნაგვირისტებ ოლარებზე. ზევით, ალისფრად აბრიალებული სამრეკლოს ირგვლივ, ოპალივით კრიალა ივნისის ბინდში, მტრედები თითქოს ყვავილწნულებს გრეხდნენ აელვარებული თოვლის ფანტელებისაგან.

სიჩუმე ჩამოვარდა. პლატერომ დაიყროყინა. მისი სათნო განწყობაც შეუერთდა ზარების რეკვას, მაშეალების ტკაცანს, ლათინურს, მოდესტოს ორკესტრის ხმიანობას. ყველაფერი ერთად შეეზავა დღის ნათელ იდუმალებას და ყროყინი ნელ-ნელა განაზდა, დატკბა, გასათუთდა, გაღვთაებრივდა...



## გასეირნება

სიამოვნებით მივუყვებით ზაფხულში ჯიქათი გადაფარულ ვაკე გზებს! ხან ვკითხულობ, ხან ვდიღინებ, ხან კი ლექსებს ვეუბნები ზეცას. პლატერო წიწენის გზისპირებში შემორჩენილ შემჭკნარ ბალახს, მტვრიან ბალბას, გადაყვითლებულ მუაუნას. ცოტას დადის, მეტნილად ერთ ადგილას ინაცვლებს ფეხს. ნებაზე მყავს მიშვებული.

თვალს ახარებს საოცრად ლურჯი, ლურჯისლურჯი ცა, ნუშის ჩამოხუნძლული ტოტებით მომშვენებული. მზეკაბანი დასთამაშებს ჩაყუჩებულ ყანებს. ნიავი არ იძვრის და მდინარეს სამიდღემჩიოდ დააჩნდა უძრავი თეთრი იალქანი. ხანძრის სქელი კვამლი ღრუბლის შავ ფთილებად დაემჩნა მთებს.

ცოტა გვაქვს სავალი. ჩვენი გზა ფერით უთვალავი სიცოცხლის ერთ წყნარსა და სადაგ დღესა ჰგავს. ჩვენს გზაზე არც ზეცის დიდებულებაა, არც ზღვა-თა უკიდეგანო სივრცეები, საითაც მდინარეებს მიეჩარებათ, – და არც მწველი ვნება.

ფორთოხლის ბალების სურნელმა მოაღწია. საქაჩიავის ხალისიანი ჭრიალიც მოისმა. პლატერო სიხარულით აყროყინდა და ტლინკების ყრას მოჰყვა. ლიტონი ყოფითი ბედნიერება! საგუბარიდან ვავსებ ჭიქას და დაგემოვნებით ვისრუტავ სველ სიგრილეს. პლატერო დრუნჩს ყოფს წყალში, მოჩრდილულ ადგილას, და ცოტ-ცოტას ხვრეპს ხან აქ, ხან იქ. ირჩევს, სადაც უფრო კამკამაა...



## გამლები

მართალი გითხრა, არც კი ვიცი, პლატერო, რას მივამგვანო ეს უსიამოვნო გრძნობა... ჭიატი ოქ-როშერთული სიწითლისა, თანაც ისეთი, სულ რომ არ ახლავს ზღვის ან ცის ლავუარდის ფონზე აზიდული ჩვენი დროშის ლაზათი და დიდებულება. მგონი, კორიდის ლურჯ ცაზე აფრიალებულ ბაირალს უფრო უნდა ჰგავდეს... ან კიდევ – უშნოდ შეღებილ რკინიგზის სადგურებს უელვიდან სევილიამდე. გალდოსის წიგნების ყდებზე წითელ-ყვითელ უშნო ნახატებსაც მაგონებს, კიდევ – არყის ფარდულების რეკლამებს, აფრიკულ საბრძოლო ჩანახატებს... ისეთივე უსიამოვნო გრძნობა მეუფლება, როგორსაც ყოველთვის მგვრიდა ბანქოს დასტაზე უნიჭოდ მიხატული მენახირეთა ოქროსფერი დამდები, თუთუნისა და ქიშმიშის კოლოფების მოხატულობა, ღვინის ბოთლების ეტიკეტები, საზღვაო სკოლის სიგელები, შოკოლადის ჭყეტელა ქაღალდები...

ნეტა რისთვის მოვედი აქ, რამ მომიყვანა? ზამთრის თბილი შუადღე მოდესტოს ორკესტრის კორნეტივით ტკბილია და მყუდრო. ღვინის, შებოლილი ძევისა და წევოს სუნია... აგერ აქ არიან დეპუტატი და ქალაქისთავი, აგერაა ელ ლიტრიც – პენიანად გამოწევილი ჩაფსკვნილი უელველი ტორერო... რა პატარაა მამლების ასპარეზი და თან როგორი მწვანეა! ხის ხარიხას შემოსჯარვიან კაცები, სასაკლაოზე დახვავებულ ძროხის ან ღორის შიგანს მიუგავთ სახეები. თვალები ჩასწითლებიათ ღვინისგან და ამღვრეული გულის აფორიაქებული ძგერისგან. მჭახედ ყივიან ეს თვალები... ჩახუთულია... ვიწრო და დახმულია მამლების სამყარო.

ნელა ადის მაღლა მოლურჯო კვამლის ბოლქვები და აბრიალებული სხივები ისე სერავს მათ, თითქოს მზე მქრქალ შუშაზე ხატავდეს. ეგ საწყალი ინგლისური

მამლები! ეს ორი ამაზრზენი, მრისხანე და ბოროტი სისხლისფერი ყვავილი! ერთმანეთს სპობენ, გლეჯენ, მაღლა ხტებიან, რომ ერთმანეთს წააჭარბონ, დაქოჩონ და დაბუმბლონ ერთმანეთი; შემოჯარული ადამიანების მზერას იტაცებენ, ადამიანთაგან იმუხტებიან სიძულვილით და ერთმანეთს სერავენ ლიმონისფერი დეზებით... ანდა ბოლმით. არც ყივიან, არც თვალში იხედებიან, აქ აღარც არიან თითქოს...

მაგრამ მე რიღასთვის ვარ აქ, ან რატომ ვწუხვარ ასე? არ ვიცი... ზოგჯერ უსაზღვრო სევდით გავაყოლებ თვალს ჰაერში აფრიალებულ წითელ ნაფლეთს. მეჩვენება, რომ ესაა მდინარეში შემორჩენილი ნავის იალქანი. ხან მგონია, რომ გამოფეთქილ ფორთოხლის ხეს ვხედავ, თეთრი ყვავილებით გადაპენტილ ხეს, რომელიც სურნელს აფრქვევს თაკარა მზეში... რა ბედნიერებაა, იყო აყვავებული ფორთოხლის ხე, იყო ლალი სიო, იყო მაღალი მზე! – ხმიანობს ჩემი სული.

...და მაინც ფეხს არ ვიცვლი აქედან...



## დამდება

მშვიდი და მომთენთავი მწუხრის უამია. სულსა და გულს ეამება ფიქრი შორეულ და ბუნდოვან მოსაგონარზე, ხეირიანად გაუცნობიერებელზე. უცნაურ ნეტარყუჩინბას მოუცავს და მოუჯადოებია მთელი სოფელი, თითქოს მიულურსმავს ჯვარზე – ძნელ და დარდიან საფიქრალზე.

ეს-ესაა გამოციმციმებული ვარსკვლავების შუქზე მოყვითალო გლუვ ბორცვებად ჩანს კალოებზე დახვავებული ხორბალი. თავთუხის მძაფრი სუნია. ქანცგანყვეტილი და ძილმორეული მლენავები ღიღინებენ; ნინკარში და ზღურბლზე ჩამომსხდარი ქვრივები ფიქრობენ თავ-თავიანთ მიცვალებულებზე, რომელთაც აქვე ახლოს სძინავთ, ეზო-კარის გადაღმა. ბავშვები ჩრდილიდან ჩრდილში ისე დახტუნავენ, თითქოს ჩიტები დაფართხალებდნენ ხიდან ხეზე.

შეღამების ბინდში კირით შეფეთქილ ღარიბულ სახლებსლა შერჩათ სითეთრე. ახლა მათ სინითლე შეუნთო ქუჩის ფარნებმა. დროდადრო ბინდბუნდში გამოიძურნებიან ჩამუქებული, მდუმარე, გაცრეცილი აჩრდილები: რომელიდაც მათხოვარი, ვიღაც პორტუგალიელი ოხერმოხეტე, მინის მუშად ან ეგებ საძარცვავადაც ჩამოსული. მათი შემზარავი იერი როგორ შეუთავსებელია იმ სინაზესთან, რომელშიც იისფერმა ბინდმა ნელა და შემპარავად გაახვია შეჩვეული გარემო... ბავშვები იფანტებიან და ჩაბნელებულ ჭიშკრებთან ისმის იდუმალი ჩურჩული: „ვიღაც კაცები თურმე ბავშვების ქონს ადნობენ მეფის ჭლექიანი ასულის გადასარჩენად“.

## ბეჭედი

საათის ფორმა ჰქონდა, პლატერო, გახსნიდი ვერცხლის პანაწყინტელა კოლოფს და ისთვერ მაუდზე ისე იდო, თითქოს ჩიტი მჯდარიყო თავის ბუდეში. რა სიხარული იყო! დაიდებდი ხელზე, მიიჭერდი და ვარდისფერ, გლუვ და წყლტუ ხელისგულზე წამში ჩნდებოდა დაბეჭდილი:

**ფრანსისკო რუის  
მოგერი**

რამდენჯერ მიოცნებია ჩემი სკოლის მეგობრის, დონ კარლოსის, ამ ბეჭედზე! ზემოთ, ჩემი სახლის სხვენზე, ძველი საწერი მაგიდის უჯრაში მივაკვლიე შტამპს. შევეცადე გადამეკეთებინა, ჩემი სახელი ამომეტვიფრა. არ გამოდგა. არ ივარგა ანაბეჭდმა. არ იყო იმ ბეჭდისნაირი – წიგნზე, კედელზე, სხეულზე – ყველგან ასე იოლად რომ ტოვებდა კვალს:

**ფრანსისკო რუის  
მოგერი**

ერთ მშვენიერ დღეს არიასთან ერთად ჩვენსა შემოიარა სევილიელმა მოხეტიალე ოქრომჭედელმა. რა შესანიშნავი სახაზავები, ფარგლები, რა ფერადი სალებავები, რა ბეჭდები ჰქონდა! სხვადასხვა ფერის, სხვადასხვა ზომისა და მოყვანილობისა! დავფშვენი ჩემი ყულაბა და იმ ფულით შევუკვეთე ბეჭედი: ჩემი სახელი, გვარი და ჩემი ქალაქი. როგორ გაიჭიმა ის ერთი კვირა! საღამო ჟამს ფოსტის ეტლი რომ ჩამოივლიდა, რა ბაგაბუგი გაუდიოდა გულს! ძილი არ მეკარებოდა.

წვიმაში სიმწრის ოფლს მასხამდა, ფოსტალიონის ფეხის  
ხმა რომ თანდათან მიწყდებოდა. ბოლოს, ერთ საღამოს  
მომიტანა. ეს პატარა მოწყობილობა ყველაფრის მა-  
გიერი იყო: ფანქრისაც, კალმისაც, ლუქისაც და, რა  
ვიცი, კიდევ რიღასი არა! დააჭერდი და გაჩნდებოდა  
კრიალა, მკაფიო ანაბეჭდი.

ნეტა სახლში რაიმე თუ დამირჩა დაუბეჭდავი?! რაც  
ჩემი არ იყო, ისიც. ვინმე მთხოვდა ბეჭედს და:

- ფრთხილად, გაფუჭდება!
- რა გულდასაწყვეტია...

მეორე დღეს რა ხალისით წავიღე სკოლაში  
ყველაფერი – წიგნები, ხალათი, სომბრერო, ფეხსაც-  
მელები... და ხელები – წარწერით:

ხუან რამონ ხიმენესი  
მოგერი



## ლექვებიანი ძაღლი

ახლა, ჩემო პლატერო, მე შენ გიამბობ, მონადირე რომაა, ლობატო, იმისი ძუკნას ამბავს. იცი შენ ეგ ძალ-ლი, გინახავს, რამდენჯერ შემოგხვედრია შარაგზებზე. ხომ გაიხსენე? აი, მოთეთო-მოქეროსფრო ძალლი, მაისის ღრუბლიანი ცის დასავალს რომ ჰგავს. ჰოდა, ოთხი ლეკვი დაუყრია. სალუდამ, მერძევე დედაკაცმა, დაავლო თურმე ითხივეს ხელი და მადრესში თავისი ქოხისკენ გაუტია. ბიჭი უკვდებოდა თურმე და დონ ლუისს უთქვამს ლეკვის ნახარში ასვიო. მშვენივრად იცი, რა მანძილია ლობატოს კარ-მიდამოდან მადრესის ხიდამდე ბოგაზე გავლით.

პლატერო, ძუკნა ძალლი თურმე მთელ დღეს ცოფიანივით დაძრნოდა, შინ შეირბენდა და უკან გამორბოდა, გზებზე ყოფილა გაბმული, გორაკებზეც დაწრიალებდა, გამვლელ-გამომვლელს ყნოსავდა თურმე. მწუხრის ზარების დროს თვალი მოუკრავთ დარაჯის ჯიხურთან, უნახავთ ფურნესთანაც, ნახშირიან ტომრებზე აბოტებულა და შეჰვერებდა თურმე ჩამავალ მზეს.

შენ კი იცი, რა შორია ენმედიოს ქუჩიდან ძელის ბოგამდე... იმ ღამეს ოთხჯერ წასულ-წამოსულა და ყოველ ჯერზე, პლატერო, ლაშებში სჭერია თი-თო ლეკვი. გამთენისას კარი რომ დაუფელავს ლობატოს, ლეკვებს გადაფოფრილი ძალლი დახვედრია ზღურბლთან. ვარდისფერი ძუძუები დაჰპერვოდა, ძაგძაგებდა და ნაზად შესჩერებოდა პატრონს.



## 01 და ჩვენ

პლატერო, ნეტა საით გააქანა ის ქალი მზისგან ალაპლაპებულმა შავმა მატარებელმა, ბექობიდან ჩრდილოეთისკენ რომ მიაპობდა ქულა ღრუბლებს.

ჩვენ ვიდექით ქვემოთ, ყვითლად მოღალანე და მოშრიალე ყანაში, რომელსაც ამ შუა ივლისში ყაყაჩოები შეშეფებოდა. ნაცრისფერი გვირგვინიც დაესხა ზოგს. ცისფერი კვამლის ბოლქვებიც ხომ გახსოვს? გახსოვს, მზე და ყვავილები რომ დაგვიჩრდილა უცებ და მერე უკვალოდ რომ გაქრა?

ნამით გაელვებული ოქროსფერი თმა და შავი პირბადე?! ზმანებას ჰგავდა, ფანჯრის გაჩქარებულ ჩარჩოში გამომკრთალს.

ალბათ გაიფიქრა ქალმა: „ნეტა ვინ უნდა იყვნენ თალხით მოსილი ეს სევდიანი კაცი და ვერცხლისფერი ჩოჩორი?“

ვინ უნდა ვიყოთ? ვინა და... – ჩვენა ვართ. ასე არაა, პლატერო ჩემო?



## ბეჭურები

ლრუბლიანი გათენდა წმინდა იაკობის დღე. ცა თითქოს თეთრი და რუხი ბამბის ფთილებითაა მოფენილი, ყველა წირვაზეა. ბალში დავრჩით ბელურები, პლატერო და მე.

**ბელურები!** როგორ შესევიან ხვართქლას, როგორ ულურტულებენ! პანია ნისკარტები არ ცხრებიან. ლრუბლებს აქა-იქ წვეთები სწყდება და მეჩხერად წვიმს. ერთი ტოტზე ჩამოჯდა, მაშინვე აფრინდა და თრთოლა შეატოვა რტოს; მეორემ ცის ნაფლეთი შესვა ჭის გვიმზე დაქცეული წყლიდან; ერთიც წინკარის ჩარდახზე შეხტა, შემჭკნარ ყვავილებში, რომლებიც ლრუბლიან დილას გამოეცოცხლებინა.

**დალოცვილი ჩიტები!** მათ არ იციან დაწესებული დღესასწაულები. წირვის ზარების ლალი და ბუნებრივი ერთფეროვნება არაფერს აუწყებს მათ, რაღაც ბუნდოვან ბედნიერებას მხოლოდ. ხარობენ, ხალისობენ, კმაყოფილები, უზრუნველები. არც საბედისწერო ვალდებულებები აკისრიათ, არც ოლიმპო იციან და არც ჯოჯოხეთი, იმედს რომ უსახავს ან შიშის ზარს რომ სცემს დაბეჩავებულ ლარიბ-ლატაკებს. თავისი ზნის მეტი არავითარი სხვა ზნეობა მათ არ გააჩნიათ. ცის ლაჟვარდია მათი ღმერთი. ესენი ჩემი ძმები არიან, ჩემი ღვიძლი ძმები.

**დაეხეტებიან.** არც ფული აქვთ, არც ბარგი-ბარხანა. სახლ-სამყოფელს იცვლიან, როცა მოეპრიანებათ. გუმანით აგნებენ ნაკადულს, იოლად პოულობენ შეფოთლილ სიმწვანეს. ფრთებს გაშლიან და... ბედნიერები არიან. მათთვის სულერთია შაბათი და ორ-შაბათი. ჭყუმპალაობენ, სადაც მოესურვებათ და როცა მოესურვებათ. არც სახელი აქვს მათ სიყვარულს, არც რაიმენაირი ზღუდეები.

ადამიანები, ბეჩავი ადამიანები, საკვირაო წირვაზე  
რომ წავლენ და კარებს გაიხურავენ, ბელურები –  
ურიტუალო სიყვარულით და ხალისით ატანილები –  
ჟივილ-ხივილით მოედებიან გამოკეტილი სახლების  
ეზო-ყურეს. და აგერ, ბაღში, ერთი საკმაოდ გასა-  
ხელებული პოეტი და ერთი სათნო ვირუკა, – შენ ხომ  
სულ ჩემთანა ხარ, პლატერო! – თვალს ადევნებენ და  
ძმურად შეჰარიან მათ.



## შრასპო ველია

დღეს სახლიდან ფეხს ვერ მოვიცვლით, პლატერო. სწორედ ამწუთას მოედანზე წავიკითხე ქალაქისთავის ბრძანება: „უალიკაპო ძალლი თუ გამოჩნდება ჩვენს დიდებულ ქალაქ მოგერში, იმავ წამს დაიხვრიტება ჩემი წარმომადგენლების მიერ“.

ეს იმას ნიშნავს, პლატერო, რომ ჩვენს ქალაქში ცოფი გაჩნდა. წუხელ გაისმა სროლა. ფრასკო ველეს შექმნილი ლამის მოქმედი სამოქალაქო გვარდია ისროდა მონტურიოს მხრიდანაც, ციხესიმაგრიდანაც, გალავნიდანაც.

ლია ფანჯრიდან მომესმა, ლოლილია შერეკილმა ხმამალლა რომ თქვა, ქალაქში ცოფიანი ძალლების ჭაჭანება არ არის, ჩვენს ახლანდელ ქალაქისთავს თავისი წინამორბედის, ვასკოს, მსგავსად უნდა, ლოლილია შერეკილი მოჩვენებასავით გამოაწყოს, რომ ადამიანები დაფრთხენენ, მერე სროლით დაშინდნენ, სახლებში შეიყუუონ, თვითონ კი მარტო გემოზე გამოთვრეს აგავისა და ლელვის არყით.

მაგრამ სიმართლე რომ გამოდგეს და ცოფიანმა ძალლმა რომ დაგკბინოს? ამის გაფიქრებაც კი არ შემიძლია, პლატერო!



## გაფხული

სისხლი წვეთებად სდის პლატეროს, შედედებულ  
მოიისფრო წვეთებად. ბუზანკლებს დაუკბენიათ.  
ჭრიჭინა ხერხავს ფიჭვს, ხერხავს და ბოლო არ  
უჩანს. ჩამთვლიმა თურმე. თვალი გავახილე, უც-  
ნაური ზმანებიდან ხეირიანად ვერ გამოვერკვიე.  
გავარვარებულია და თან ცივია ეს გარემო, სიზ-  
მარეულია თითქოს.

ბუჩქნარი დაფარულია დანისლული ვარდებით,  
აბრეშუმივით ჰაეროვანი დიდი ყვავილებით, რომელ-  
თაც სისხლის ცრემლებად აზის წითელი ხალები.  
სულისშემხუთველი ბუქი ტანდაბალ ფიჭვებს თაბა-  
შირისნაირი მტვრით ფარავს. შავად დაწინწკლული  
ყვითელი ჩიტი, რომელიც აქამდე არც მენახა,  
ჩამომჯდარა ტოტზე და გაყუჩებულა.

მებაღები თითბრის სარაჩუნოებს აქლარუნებენ,  
რათა დააფრთხონ ველური მტრედები, რომლებიც  
ცისფერ გუნდებად თავს დასტრიალებენ ფორთოხლის  
ბაღებს. ვეება კაკლის ძირას რომ გადავიჩრდილეთ,  
შუაზე გავხლიჩე ორი საზამთრო. ტკაცანით და  
ხრაშუნით გადაიხსნა წითელ-ვარდისფრად შეთრთ-  
ვილული სისოვლე და სიგრილე. შორიდან, ქალაქიდან  
მოღწეულ მწუხრის ზარებს ყურს ვუპყრობ და ნება-  
ნება შევექცევი ჩემს საზამთროს. პლატერო თავისი  
საზამთროს გულს კი არ ჭამს, – სვამს.



## ხანძარი მთებში

დედოზარი!.. სამჯერ... ოთხჯერ დაარისხეს... ხანძარია! ვახშამი მივატოვეთ. გულდახეთქილები და დაზაფრულები ხმის გაულებლად ავცივდით სხვენზე ჩაბნელებული ვიწრო ხის კიბით.

— ლუსენას ყანა იწვის! — დაიძახა ანილიამ. სანამ ჩვენ ავალწიეთ, ის უკვე სხვენზე დაგვხვდა.

ბუმ, ბუმ, ბუმ, ბუმ! — რეკავს ზარი. რეკავა კი არა, სიმწრის ამოხვნეშაა! სეფეზარის ძლიერი და ხმიერი დარტყმა უროსავით ხვდება ყურს და გვიკუმშავს გულს.

— დიდია, დიდი... დიდი ხანძარია...

ჰო, ასეა. ფიჭვნარით ჩამუქებულ ცის დასაგალზე მკაფიოდ იკვეთება და უძრავი ჩანს შორეული ალი. მოკიაფე ცეცხლი შავ მინანეარს ჰეგავს, ჭიაფერით შეზავებულს; პიერო დი კოსიმოს ნადირობასაც წააგავს, ცეცხლი რომ ხატია მხოლოდ შავი ფერით, წითლითა და ქათქათა თეთრით. ზოგჯერ უფრო აბრიალდება, ხან კი ჩაცხრება, ჩანავლდება, სიწითლე ვარდისფრად გამკრთალდება, ახალი მოვარის ფერს გადაიკრავს. აგვისტოს ღამეა... ღრმა, მშვიდი და მომთენთავი ღამე. ასე მგონია, ღამეს ადრეც ჰქონდა ხანძარი შენთებული; მგონია, რომ ცეცხლი მისი სამარადუამო კუთვნილებაა... მოწყვეტილმა ვარსკვლავმა შუაზე გადასერა ცა და სილურჯეში ჩაიფერფლა მონხას იქით... მარტოდმარტო ვარ... ჩემს თავთან ვარ.

პლატეროს ყროყინი მოისმის გომურიდან და სინამდვილესთან მაბრუნებს... ქვევით ჩასულა ყველა... შემოდგომის პირია. ღამის გამაოგნებელი სინაზე ურუანტელს მგვრის, გულს მისერავს და მგონია, რომ ეს-ესაა ჩამოიქროლა ჩემი ბავშვობის ხანძრის კაცმა, მისი ხელობა რომ მეგონა მთებისთვის ცეცხლის შენთება. ეს იყო პეპე — ძველი ბიჭი, მოგერელი ოსკარ უაილდი, უკვე საკმაოდ მობერებული, შავგვრემანი, ხუჭუჭა ჭალარით, დედაკაცურ ტანზე შემოტმასნილი შავი ქურთუკით, თეთრ-ყავისფერი ფართოუჯრედებიანი შარვლით... და... გიბრალტარული ასანთით დატენილი ჯიბეებით...

## ნაკადული

ეს ნაკადული, ჩემო პლატერო, ამჟამად დამშრალი ნაკადული, რომელსაც მივუყვებით ხოლმე, როცა იალალებისკენ მივეშურებით, ჩემი ბავშვობისდროინ-დელი გაყვითლებული წიგნებიდან მახსოვს. პირველად იმ წიგნებმა მაზიარეს პოეზიას. ზოგჯერ ეს ნაკადული მიწით ამოვსებული, დაყრუებული ჭის გვერდით მიე-დინებოდა მზისგან აბრიალებული ყაყაჩოების ველზე, რომელიც ჩამოცვენილი ჭერმით იყო მოფენილი. შთაგონებითა და ნაოცნებარით შეძრულ ჩემს სულს ეს ნაკადული გადაჰქონდა შორეულ მხარეში, არარსებულსა და მხოლოდ და მხოლოდ წარმოსახულში...

ჩემო პლატერო, ამ ნაკადულის წყალობით ღიმილით გამოშუქდა ჩემი ბავშვური ფანტაზია და გამოანათა, როგორც მზეზე ბაბუანვერას ბუსუსმა, როგორც პირ-ველმა აღტაცებამ, როცა აღმოვაჩინე, რომ ჩემი ოცნების ველთა ნაკადული მოშრიალე ვერხვნარს ჩაუდიოდა სან-ანტონიოს გზის გადევნებით. ზაფხულში თუ მის დამშრალ კალაპოტს გაუყვებოდი, აქ მოგიყვანდა; ვერხ-ვებთან თუ დატოვებდი ხის ქერქის ნავს, ზამთარში ამ ბრონებულებებთან მოცურდებოდა, ჩასრიალდებოდა ანგუსტიასის ხიდქვეშ. მეც სწორედ ხიდქვეშ ვიმალე-ბოდი, ხარებს რომ ჩამოატარებდნენ ხოლმე...

ჯადოსნურია, პლატერო, ბავშვური წარმოსახვები! ნეტა თუ იცი, რა არის წარმოსახვა? გქონია ოდესმე? ყველაფერი მიდის და მოდის, იცვლება, როგორც ოც-ნებისმიერი წამიერი ხატება... ადამიანი სანახევროდ თვალხილული დაიარება, იხედება შიგნით თუ გარეთ. თავისისულის ბნელხვეულებშიახვავებს სადღეხვალიო ყოფით ხატებს, ანდა თავის გულს გადაუხსნის მზეს და მარადიულ გაღმა ნაპირზე ნამდვილი ყვავილივით გაახარებს ვერვისგან მოსახელთებელ პოეზიას, პოეზიას გაცისკროვნებული სულისას.

## კვირადღე

ჯარჩი გაყვირის გზის მოსახვევში. ძახილი თითქოს შორიდანაც მოისმის და, აგერ, ახლოდანაც. მისი ხმა ისე ჭექს, თითქოს საზეიმო დილის ლაუვარდ ცას, ბროლად ქცეულს, ეხეთქებოდეს.

ცაში მორიალე ხმათა წერიალსა და ფერთა სისალისეში ოქროსფრად გამოანათეს უკვე შეყვითლებულმა მინდვრებმა.

ყველა გაეშურა წირვაზე, ყველა, დარაჯიც კი. მარტო დავრჩით პლატერო და მე. რა სიმშვიდეა! რა სიწმინდეა! რა კარგია! პლატერო მოუთიბავ ბალახზე მივუშვი და ღაბუა ჩიტებით ჩამოხუნძლული ფიჭვის ძირას მივწექი წიგნის წასაკითხად. ომარ ხაიამი...

თანდათან ძალას იკრებს, ხმას იმაღლებს სექტემბრის დილის მშფოთვარე სიჩუმე და იჭრება რეკვის შუალედებში. შავ-ყვითელი კრაზანები ირევიან მუსკატის მსხვილი მტევნებით ჩამომძიმებულ ვაზთან. პეპლები ყვავილებს დაჰფარფატებენ, თითქოს ფერს იცვლიან და ჯადოსნური ფერისცვალებით გარდაისახებიან ყვავილები პეპლებად, პეპლები – ყვავილებად. დიად და ნათელ აზრს ჰეგავს მარტოობა.

დროდადრო პლატერო ბალასს თავს ანებებს და გამომხედავს... კითხვას თავს ვანებებ და გავხედავ პლატეროს...



## ჭრიჭინოაელას პანზი

დამღამობით გზებზე ხეტიალში პლატერო და მე შევეთვისეთ ჭრიჭინობელას კრუალს.

გაუბედავად წამოინყებს ხოლმე შებინდებისას. ჯერ მოსინჯავს მჭახედ და შეუწყობლად; მიაყურადებს, თავს ინაფავს, კილოს იპოვის. შემდეგ ჰანგი ნელ-ნელა გაიშლება, თითქოს შეეწყობა, შეეზომება დროსა და სივრცეს. მწვანედ შემჭვირვალებულ ცაზე დაჩნდებიან თუ არა პირველი ვარსკვლავები, ჰანგიც ძალას შეიმატებს, უჟვნის საამურ უდარუნს შეითავსებს.

გრილი ნიავი შემოუქროლებს ღამის ყვავილებს და გულებს გადაუდელავს. ტრიალ მინდორს დასტ-რიალებს წმინდა სული ლურჯი მდელოებისა, რომლებიც მინისაც არიან და ზეცისაც იმავდროულად. და ლალობს ჭრიჭინობელა. ჰანგი ველ-მინდვრებს ეფინება. ეს ხომ თვით სიბნელის ხმიანობაა! უკვე აღარ ბრკოლდება, არ წყდება, თითქოს საკუთარი არსიდან გადმოპირქვავდება და შეხეფებად იფრქვევა ჰანგი. ყოველ ბგერას თავისი ტყუპისცალი ჰყავს ბნელ კრისტალთა ჩქერად გადმოლვრილ ბგერათა ამ ძმობაში.

ჩუქმად გარბიან საათები. მშვიდობაა მინაზე. სძინავს გლეხს და მაღალ ზეცას მაინც ხედავს ღრმა ძილში. აგერაა სიყვარულიც. უსურვაზით დაფარული ღობის ძირას ერთმანეთს თვალებში შესციცინებენ შეყვარებულები. ცერცვის ნათესებიდან რბილი, სასიამოვნო სურნელი აღწევს სოფელში, – სიყრმის, სილალისა და უმანკოების სურნელი. მთვარის შუქით გადამწვანებული თავთუხის ყანები ღელავენ და ოხრავენ ქარში ნაშუალამევის ორზე, სამზე, ოთხზე... ჭრიჭინობელას ხმას ხრინნი შეეპარა, მოილალა, მიწყდა...

აი, ისიც! ჭრიჭინობელას ჰანგი გამთენისას, როცა  
პლატეროდა მე შემცივნებულები შინისკენ მივიჩქარით  
თეთრად შეთრთვილული ბილიკებით. რულმორეული  
მოვარდისფრო მთვარე ზანტად ეშვება დაბლა. ბუნ-  
დოვანდება და იდუმალდება მთვარით შემთვრალი  
და ვარსკვლავებით გაბრუებული ჰანგი. დგება უამი,  
როცა შელურჯწითლებული დარდიანი ღრუბლები  
ზღვიდან ამოზიდავენ დღეს. დიდხანს ეზიდებიან, ნელა  
და დიდხანს...



## პორილა

იცი, პლატერო, რატომ მოვიდნენ ბიჭები? შენი წაყვანა უნდოდათ, ამ საღამოს როგორმე შენთან ერთად რომ შეეღწიათ კორიდაზე. ეგ ნუ განალვლებს. შენს თავს როგორ გავატანდი! მე მათ გავაგებინე, რომ ეს ფიქრადაც არ უნდა გაევლოთ...

ყველა შეირეკა, პლატერო! მთელი ქალაქი კორიდაზე შეირყა. დუქენების წინ გამთენიდან შეუწყობლად უკრავს ორკესტრი. ნუევას ქუჩას აუყვებიან და ჩამოუყვებიან ეტლები, ცხენები. აგერ, იქ, შუკაში, გაუმზადებიათ „იადონი“ – მატადორთა ყვითელი ეტლი, რომელიც გულს უხარებს პატარებს. იმდენი ყვავილი დაიკრიფა, რომ ბაღნარებში ყვავილის ნასახი აღარაა. კაცს გული გეტკინება, რომ ნახავ, ქუჩებში როგორ მოალაჯებენ გატკიცინებულ ხალათებში გამოწეპილი ჯანღონით სავსე ჯელები დიდი სომბრეროებით. მოდიან და მოჰყვებათ თავლისა და არყის მძაფრი სუნი..

ასე, ორი საათისთვის, თაკარა მზის ამარა მარტოდმარტო რომ დავრჩებით, ვიდრე მატადორები და ტორეროები გამოჩნდებიან, შენ და მე უკანა კარით გავალთ შუკაში და მინდვრებისკენ გავუყვებით შარ-შანდებურად...

ამ საზეიმო დღეებში რა მშვენიერი სანახავია ყველას-გან მიტოვებული მინდოორ-ველი. აგერ ვენახში დაფათურობს ბერიკაცი, მწკლარტე ვაზის ძირზე წახრილა, ზედ ანკარა ნაკადულთან. ხაფი შეძახილები, ტაში, ტოროს მოედნის მუსიკა სახელდახელო გვირგვინივით იკვრება პატარა ქალაქის ცაზე და, რაც უფრო მშვიდად მივიწევთ ზღვისკენ, ჰანგი თანდათან ცხრება, იკარგება... სული, პლატერო, სული გრძნობს, რომ ნამდვილი უფალია თავისი ღირსეული გრძნობებისა, უფალია დიადი და საღი სხეულისა. ბუნება კი ყველას დამსახურებისამებრ მიანიჭებს ამაღლებული და მშვენიერი სულის შესაფერ სხივნათელ და მარადიულ სანახაობას.

## შესა-ქუსილი

შიში. სულის ხუთვა. ცივი ოფლი. ზარდამცემად მოქუფრული ცა ახრჩობს განთიადს. არ იცი, სად შეაფარო თავი. სიჩუმეა. სიყვარულმა იკლო. ცოდვა-ბრალი ტრიალებს. წუხილი თვალს გახუჭვინებს. სა-მარისებური სიჩუმეა...

მჭახე, გამაყრუებელი ქუხილი – უსასრულო, როგორც მთქნარება. ჭექა-ქუხილი ზეციდან ჩამომსკ-დარი უზარმაზარი ლოდივით ენარცხება ქალაქს, მოექანება, ცა ჩამოაქვს და მოუძღვება უდაბურ დილას. გასაქცევი არსაით არის. ამქვეყნად ყველაფერი, რაც სათუთი და ნაზია – ყვავილები, ჩიტები – უჩინარდება.

ღრიფოზე გამოღებული ფანჯრიდან გამაოგნებელი შიში კრძალვით შეპყურებს ღმერთს, რომელიც ასე დამდაგველად ელავს. იქით, აღმოსავლეთით დაძენილ ღრუბლებს შორის შემოაღწია მოისიფრო-მოვარდისფრო ნათებამ, ქუფრმა და ცივმა, მაგრამ სიბნელე ვერ დაჯაბნა. დილის ექვსი საათის რეისი, ახლა რომ კაცს დამის რეისი ეგონება, შეფერხდა და აგერ, მოხვეულში, თავსხმაში მღერის მეეტლე შიშის დასაძლევად. ყურძნის საზიდარი ცარიელი მი-რახრახებს.

სავედრებელი ზარები! რეკავენ ზარები, რეკავენ განწირულად, გამეტებით. ქარი ქვითინებს დაქუხებასა და დაქუხებას შუა. ნუთუ ამქვეყნად უკანასკნელად რეკავენ ზარები?! გინდა ჩაცხრეს, ჩაჩუმდეს ზარი. ანდა დაარისხონ, დააგრევინონ უფრო ძლიერად, რომ ჭექა-ქუხილს წააჭარბოს და ჩაახშოს. წრიალებ, ბორგავ, გეტირება, არც კი იცი, რა გინდა...

არც ის იცი, სად შეაფარო თავი. გული გიქვავდება. ბავშვების ძახილი მოისმის ყოველი მხრიდან...

ნეტა, რა დღეშია პლატერო ფარლალალა გომურში მარტოდმარტო?

## რთველი

წლეულს, პლატერო, რა ცოტაა ყურძნით დატვირთული ვირები! ნეტა რიღასი მაქნისია მსხვილი წარწერები: „ექვს-ექვს რეალად“. სად არიან ვირები ლუსენიდან, ალმონტიდან, პალოსიდან, – დამკრახული, ჩაქარვებული ტვირთით, თხევადი ოქროთი ისევე დამძიმებულები, როგორც შენდა მე – სისხლით. სადღაა გოდრები, საათობით რომ ელოდნენ საწნახლებში ჩაცლას? მოედინებოდა ყურძნის წვენი ქუჩებში, ქალები და ბავშვები ავსებდნენ ჩაფებს, კოკებს, დოქებს...

რა ხალისი იყო ამ დროს დუქნებში, პლატერო! დიესმოს დუქანი?! დუქანი ვეება კაკლის ძირას, მისი გაფორთლილი ტოტები ჭერივით რომ გვეხურა! მევენახეები ღილინით რეცხავდნენ რუმბებს. იყო სილალე, მხიარულება. იყო სიდინჯეც. ფეხშიშველი მეღვინეები სქელ წვენს ასხამდნენ გოზაურებში და ეზიდებოდნენ. წვენს კი არა, – ტოროს სისხლს, სიცოცხლით მფეთქავს, აქაფებულს. და იქ, ჩარდახქვეშ, ფეხს ინაცვლებდნენ, ჭყლეტდნენ, ერთ ადგილს ჯეკიდნენ სურნელოვან ქაფში ჩაფლული გაბრუებული კაცები. ადმირალს შევაჭენებდი მარანში ერთი კარით და გამოვაჭენებდი მეორით. ეს ორი კარი თავისი შემსვლელ-გამომსვლელით სიცოცხლის ხალისა და სიხარულის სხივს მატებდა მევენახეთა გარჯასა და გულითადობას.

ოცი საწნახელი ჭყაპუნობდა და ბუყბუყებდა დღე-დაღამ. რა გახელება იყო, რა იმედის ცეცხლი გიზ-გიზებდა! წლეულს, პლატერო, ყველას ჩახურული აქვს ფანჯრები. იკმარებს კი არა, ზედმეტიცაა ყურძნის საჭყლეტად საწნახელში ჩამდგარი ორი-სამი კაცი.

ახლა, პლატერო, რაღაც უნდა ვიღონო. შენი დღე და მოსწრება სულ ასე უქნარა და უმაქნისი ხომ არ იქნები.

...სხვა ვირები, გოდრებაკიდებული ვირები,  
თვალს აყოლებდნენ პლატეროს, ლალს, ნებიერს.  
პლატეროზე რომ არ განაწყენებულიყვნენ, მისი აუგი  
რომ არ გაევლოთ გულში, გავიყვანე განზე, მახლობელ  
კალოსთან, ავკიდე ყურძნით სავსე გოდრები, ჩავაყენე  
სხვა ვირებში და ნელა შევუძები მარანში... მერე კი  
უჩუმრად გავარიდე იქაურობას...



## ლაპვ

ნიავმა ნალვლიან-ხმაურიანი ვალსები მიაწვდინა ზეიმით ატანილი პატარა ქალაქის წითლად გაჩირალდნებულ ცას. ჩაუამულ კოშკს – ჩაგმანულს, მოღუმულს, მდუმარესა და მტკიცეს – ნიმბად ადგას მოიისფრო-მოლურჯვო ოქროსფერი ნათება. გარეუბნის ბნელი დუქნების მხარეს, მდინარის გაღმა, ჩადის რულმორეული მოყვითალო მცხრალი მთვარე.

ველი ხეებისა და ხეთა ჩრდილების ამარაა დარჩენილი. კრუალას გაბზარული ხმა... უჩინარი ნაკადულის გამაოგნებელი სიზმარეული ბუტბუტი... ნელი სისოვლე... და ვარსკვლავები მიწაზე ჩამოიჟინდლნენ თითქოს. თბილი გომურიდან გაისმა პლატეროს სევდიანი ხმა.

თხამ გაიღვიძა. მისი ეჟვანი დაუცხრომლად წკარუნებს. ბოლოს ჩანყნარდა. შორს, მთასთან, სხვა ვირმა დაიყროყინა... შემდეგ კი სხვამ... ჭალაში ქოფაკი აყეფდა...

ისეთი ნათელი ღამეა, რომ ბალჩაში ყვავილებს თავთავიანთი ფერი შერჩენიათ. წყაროს ქუჩის განაპირა სახლთან, წითლად მბჟუტავ ფარანთან, კუთხეში შეუხვია ვიღაცამ... მე ვარ?.. არა... მე აგერვარ, სურნელოვან და მოფუთფუთე მრუმეში, ოქროშერთულ ნათელბნელში, – მთვარის, იასამნის, სიოს და სიბნელის ნახელავში. აგერ ვარ და ყურს ვუპყრობ ჩემი გულის სიღრმეს, რომელსაც ბადალი არ შეიძლება ჰყავდეს.

ბრუნავს, ტრიალებს ცარგვალი, ნაზი და დაცვარული.

## სარიტო

რთველია. წითლად შესაღამოვდა. ქალებმა გა-  
მომდახეს, ზანგი ბიჭი გკითხულობსო. რუისპირა  
ვენახებიდან კალოსკენ გავწიე და იმანაც ჩამოათავა  
ბილიკი.

— სარიტო!

სარიტოა, ჩემი პუერტორიკოელი ტურფას, რო-  
სალინას, ხელზე მოსამსახურე ბიჭი. სევილიდან გაიქ-  
ცა, რომ ხარები გაეხელებინა პატარ-პატარა ქალაქებ-  
ში. ახლა ნიებლიდან ფეხით მომავალი გზაგავლით  
მოხვდა აქ. მხარზე ჰქონდა მოგდებული ტორეროს  
ლაბადა, რომლის პირი და სარჩული — ორივე ჭახახა  
წითელი იყო. კუჭიც ცარიელი ჰქონდა და ჯიბეც.

ზვრებიდან კაცებმა ამრეზით გამოაყოლეს თვა-  
ლი. ქალებმაც აითვალწუნეს, მაგრამ კაცების წამ-  
ხედურობით — უფრო. აგერ ახლა საწნახელთან  
რომ ჩაუვლია, სარიტო და ვიღაც ოტროველა ბიჭი  
წალაპარაკებულან და იმას ყურზე უკბენია.

თბილად გავუღიმე და დაყვავებით გამოველაპა-  
რაკე-ვერ შემომბედა შეთამამება და მოხათრებით ხელი  
წაუთათუნა პლატეროს, რომელიც ამასობაში ყურძნის  
ჭამა-ჭამით თავს წამოგვადგა. სარიტომ თვალი გა-  
მისწორა და ღირსების გრძნობით შემომაჩერდა.



## უკანასკნელი ხვატი

ლელვის ძირას ვიღვიძებ. სევდისმომგვრელია ყვითლად მოჩახჩახე მზის სილამაზე ნაშუადღევს!

მეალერსება, გაოფლილს მაფხიზლებს სიო, რომელმაც საკმელის ბუჩქის სურნელი მოიყოლა. ბებერი კეთილი ხის ფართო ფოთლები ნელა შრიალებენ, ხან მიჩრდილავენ თვალს, ხან მზე მიჭყიტინებს; თითქოს ნელა მირწევენ აკვანს მზიდან ჩრდილისკენ, ჩრდილიდან მზისკენ.

შორს, მიყუჩებულ ქალაქში, სამრეკლოს ზარები სამი საათის წირვაზე უხმობენ მრევლს. გამჭვირვალე ჰაერის ნაკადს მოჰყვება ხმები. პლატერო აყურადებს. წითლად შეთრთვილული ტებილი საზამთრო მომპარა, ახლა გატრუნული შემომყურებს და თავის დიდ თვალებს აფახულებს. მწვანე ქინქლა ჩავარდნია თვალში.

შევყურებ მის მოღლილ თვალებს და მეც მიმძიმდება ქუთუთოები. ისევ შემოიქროლა სიომ, შემოფანც-ქალდა პეპელასავით, რომელიც, გეგონება, აფრენას ეპირება, მაგრამ უცებ ეკეცება ფრთხები... ფრთხები... და მეც უცბად მეხუჭება ქუთუთოები.



## შეიძლება

სექტემბერში, დღესასწაულის დამეს, ავდიო-დით ხოლმე ხილნარის გადაღმა გორაკზე, მოვკა-ლათდებოდით საგუბართან, ვაციწვერას სურნელებით გაუღენთილ სიჩუმეში, რომ კარგად დაგვენახა მოზეიმე ქალაქი. შეზარხოშებული ბებერი პიოსა, ზვრების დარაჯი, განოლილა კალოზე, მთვარისკენ მიუშვერია სახე და, აგერ უკვე რა ხანია, უბერავს და უბერავს ნალარას.

შესალამოვდა. აქა-იქ გაიკაშკაშა ცეცხლმა. ჯერ გაისმა ყრუ და ძლივსგასაგონი ტკაცანი; მერე შხუი-ლით სკდებოდნენ უკუდო შუშეუნები, რომლებიც უცბად გახელილ შუქვარსკვლავა თვალებს ჰგვანდნენ და წითლად, იისფრად, ლურჯად უმზერდნენ სამყაროს. სხვა საზეიმო ცეცხლებმა ქალწულის სიშიშვლესავით გამოანათა; ზოგიც მოგაგონებდათ მტირალ ტირიფს, რომელსაც სისხლივით სწვეთავდა ციმციმა ყვავილები. ეს რა ბრიალა ფარშევანგებია! სხივიანი ვარდების რა ჰაეროვანი წალკოტებია! ეს რა ცეცხლოვანი ხოხებია ვარსკვლავეთის ბალნარებიდან!

ცისფრად, იისფრად, წითლად შეფერადებულ სივრცეში ყოველ ახალ აფეთქებაზე ტოკავს პლატერო. მოცახცახ ნათება ხან აგრძელებს, ხან ამოკლებს გორაკზე განოლილ მის ჩრდილს და პლატერო შემომჩერებია შიშჩამდგარი დიდი შავი თვალებით.

ბოლოს შორეული აურიამულებული ქალაქის ზემოთ ვარსკვლავებით მოჟიკუიკე ცაში, ისევ გამოიკვეთა ოქროს გვირგვინივით მომრგვალებული ციხე-კოშკი; გაიფანტა და ჩაყუჩდა ფეიერვერკის გრგვინვა-გრიალი, რომლის გამოც თვალებს ხუჭავდნენ და ყურებს იცობდნენ ქალები! პლატეროს თითქოს ეშმაკი შეუჯდა, შლეგივით აყროყინდა, ვაზებში შევარდა და მყუდროდ ჩაბნელებული ფიჭვნარისკენ გაიჭრა.

## ყვავილნარი

ანდალუსიის დედაქალაქში მოვხვდით თუ არა, პლატეროსთვის ყვავილნარის ჩვენება მოვინდომე. გაფოთლილი აკაციებისა და ჭადრების ჩრდილში ნელა მივუყვებით მესერს. პლატერო ფლოქვებს უხათქუნებს ქვის დიდ ფილებს, რომლებიც ახალმორწყულზე კრიალებენ, ცის ლაჟვარდს ირეკლავენ და ჩამოცვენილი თეთრი ყვავილებითაც არიან დამშვენებულნი. სველი ყვავილები გამოსცემენ უცნაურ სურნელს, ნაზსა და სათუთას.

რა სიგრილეა, ბალიდან რა საამური სურნელება აღწევს გარეთ. ბალიც გაჟღენთილია სისოვლით. მესერს ალაგ-ალაგ თანაბარი შუალედებით აჰყვება სურო, რომლიდანაც წყალი წვეთავს. მესერს გადაღმა ბავშვები თამაშობენ. გოგო-ბიჭების თეთრ ტალღაში გამაყრუებელი უივილ-ხივილითა და უდარუნით შეიჭრა იისფერბაირალებიანი და მნვანეჩარდახიანი სასეირნო ეტლი. ორთქლი გამოუშვა ძონითა და ოქროთი მორთულმა გემმა, რომელზეც დახვავებული იყო მინის თხილი. გოგონას უჭირავს ცისფერ, მნვანე და წითელ მფრინავ მტევნებად ახუნძლული ბუშტები; ვაფლის გამყიდველი წელში წყდება ხონჩის სიმძიმით. სიმწვანეს უკვე ეთხოვებოდა შემოდგომა და მკვეთრად გამოიჩინდნენ კვიპაროსები, პალმები. ვარდისფერ ღრუბლებში აინთო მოყვითალო მთვარე...

ის იყო, უნდა შეგვებიჯებინა ბალში, რომ ზედ ჭიშკართან დარაჯმა, ყვითელჯოხიანმა, ვერცხლის-საათიანმა სახეჩალურჯებულმა კაცმა, მითხრა:

– ვირისთვის შესვლა აკრძალულია, სენიორ.

– ვირისთვის? რომელი ვირისთვის? – ვეკითხები და აქეთ-იქით ვაცეცებ თვალებს, ჩვეულებისამებრ, მავინყდება პლატეროს ცხოველური გარეგნობა.

— როგორ თუ რომელი ვირის, სენიორ, როგორ თუ რომელი!..

მაშ რაკი პლატეროსთვის, როგორც ვირისთვის, „შესვლა აკრძალულია“, — ჩემთვის, როგორც ადა-მიანისთვის, შესვლა არასასურველია.

ღობეს ავუყევით. ხელი წავუთათუნე პლატეროს და სულ სხვა თემაზე ჩამოვუგდე სიტყვა...



## მთვარე

პლატერომ ჭიდან მთელი კასრი წყალი შესვა თავის ვარსკვლავებიანად და წყებად ჩარიგებულ მზესუმზირებში წაჩინდრიკდა გომურისკენ. კართან, კირით შეთეთრებულ წირხლთან, ყვავილების ნაზ სურნელში ველოდი მას.

სექტემბრის უინუღლით დანოტიოებული ჩარდახის იქით, მორიდან, გაყუჩებული ველიდან, ფიჭვის მძაფრი სუნი აღწევდა. დიდმა ლეგა ლრუბელმა მთვარე ისე გადმოაგორა ბორცვზე, თითქოს ვეება კრუხს დაედო ოქროს კვერცხი.

მთვარეს ვუთხარი:

„მთვარევ, მთვარევ, მეუფეო ღამის,  
უთვალავი ვარსკვლავია ცაში,  
მთვარის ვარდნას სიზმრადაც ვერ ნახავ.  
ვარსკვლავთცვენა ბევრს გვიხილავს ცხადში“.

პლატერო მთვარეს შეაცერდა და ყური შეა-პარტყუნა. მერე მე შემომაჩერდა და მეორე ყური შეაპარტყუნა.



### მხიარულება

პლატერო ეთამაშება დიანას, ლამაზ თეთრ ძაღლს, რომელიც ახალ მთვარეს ჰგავს. ეთამაშება ნაცარა ბეკეკას და ბავშვებს...

ვირუკას წინ ცმუსვენარი დიანა, აუღარუნებს თავის პატარა ეუვანს და დრუნჩზე ეტანება პლატეროს, თითქოს კბენას უპირებდეს. პლატერომ ყურები რქებივით დაცქვიტა, ნაზად ნაჟრა ძალლს და ყვავილებით მოჩითულ მდელოზე წააკოტრიალა.

თხა პლატეროს გვერდით მიბაკუნობს, თან ფეხებში ებლანდება და მისი ტვირთიდან კბილებით ექაჩება ლაქაშებს. მერე პირში გამოჩრილი გვირილით ან ზიზილათი წინ გადაუდგება პლატეროს, ურქენს, შეკუნტრუშდება და კიკინებს მხიარულად, ნაზად, ქალურად...

პლატერო სათამაშოს მაგიერია ბავშვებისთვის. როგორი მოთმინებით იტანს მათ ყოველგვარ ახირებას! ნელა მიჩინდრიკებს, ჩერდება, თავს აბრიყვებინებს ბავშვებს; ფრთხილობს, ზურგიდან არ გადმოუვარდეს, თან აშინებს პატარებს, ტლინკების ყრას მოჰყვება.

მოგერული შემოდგომის შუქიანი საღამოებია. ოქტომბრის სუფთა, კრიალა ჰაერი ხვენავს და ამძაფრებს ხმებს: მინდვრებიდან მოღწეულ პეტელს, ყროყინს, ბავშვების კისკისს, ძალლების ყეფას, ზანზალაკების წკარუნს...



## მიზრინავენ იხვები

პლატერო წყლის დასალევად გამოვიყვანე. ვარსკვ-ლავებით მოჭედილ ცას კვამლის ბოლქვებივით შე-რჩენოდა ღრუბლები. მშვიდ დამეში, სადღაც მაღლა, მყუდრო ეზო-ყურის იქით, მოისმოდა გაბმული სტვე-ნა.

იხვებია. ხმელეთის სიღრმეში მიიწევენ, ზღვაზე ქარიშხალს უფრთხიან, იხიზნებიან. დროდადრო თითქოს დაბლა ეშვებიან, ან ეგებ ჩვენ გვეზიდებიან მაღლა. გაისმის ფრთების ფათქუნი და ნისკარტის ჩქამი. ასეა ხოლმე ზოგჯერ მინდორშიც: აშკარად ისმის ნათქვამი, თუმცა მთქმელი კარგა ხნის ჩავლილია.

დროდადრო სტვენას ფრთების ტლაშუნი ენაცვ-ლება.

პლატერო წყდება წყალს, თავს მაღლა წევს და უსაშველო სევდით, სწორედ ჩემსავით, შეჰყურებს ვარსკვლავებს.



## პატარა გოგო

პლატეროს სიამაყე იყო პატარა გოგო. თეთრი კაბითა და სომბრეროთი გამოჩნდებოდა იასამნებს შორის, პლატეროსკენ გამოექანებოდა, კეკლუცად და დაყვავებით დაუძახებდა: „პლატერო, პლატერუნა!“ მაშინ ვირუკა თოკის გაგლეჯას ლამობდა, ბავშვივით ხტოდა და შლეგივით ყროყინებდა.

გოგონა ბრმად ენდობოდა პლატეროს, ფეხებში რამდენჯერ გასძრომია, წიხლიც წაუკრავს პლატეროსთვის; პანია თეთრ ხელს უყოფდა გაყვითლებული კბილებით შემორგულ ვარდისფერ პირში. პლატერო ყურებს ჩამოყრიდა, გოგონა რომ იოლად წატანებოდა. გოგო კი საალერსოდ და სანებივროდ რას აღარ ეძახდა: „პლატერო! პლატერუნა! პლატერუნია! პლატერიკო! პლატერიკუნა!“

იმ გრძელ და ძნელ დღეებში, როცა გოგონა თავის თეთრ სარცფელში სიცოცხლის ნაკადს თავქვე, სიკვდილისკენ მიუყვებოდა, არავის გახსენებია პლატერო. გოგონა კი თავის ზმანებებში სევდიანად მოუხმობდა: „პლატერუნა!“ დარდიანი სახლიდან ოხვრასა და ვაებაში დროდადრო მოისმოდა მეგობრის შორეული და საწყალობელი ძახილი. ვაი შენ, შავნალვლიანო ზაფხულო!

დაკრძალვის საღამოვ, ეს რა საოცარი დიდებულება გიბოძა უფალმა ღმერთმა! ოქროსფერ-ვარდისფერი სექტემბერი იწურებოდა მაშინაც. იმ უღრუბლო საღამოს რა ძალით გრგვინავდნენ ზარები სასაფლაოდან, სამოთხისკენ მიმავალი გზიდან! ღობე-ღობე მარტოდმარტო წამოვედი დამწუხრებული. უკანა კარით შევედი სახლში, ადამიანებს გავენაპირე. გომურს მივაშურე, ჩამოვჯექი პლატეროსთან და ფიქრებს მივეცი თავი.

## მენახირე

გორაკზე ჩამუქდა იისფერი ბინდი და ავის-მომასწავებლად ჩამობნელდა. მწვანედ ღამდება და მენახირებიჭიშავადმოჩანს. სალამურსუკრავს. დაბლა, თვალსაწიერთან, მწუხრის ვარსკვლავი ციმციმით ეგებება ღამეს. ყვავილები უკვე აღარ ჩანან, მაგრამ მძაფრ სურნელს აფრქვევენ და სწორედ სურნელება ამხელს ამ სიბნელეში მათ არსებობას. ზანზალაკების საამური წკრიალი გვაუწყებს, რომ ბნელში ჩაკარგული ნახირი სოფლის განაპირა შეჩვეულ ადგილებს მოსდებია.

— სენიორიტო, ეგ ვირი რომ ჩემი იყოს...

შავტუხა ბიჭი კიდევ უფრო ჯმუხი და უცნაური ჩანს ამ უჩვეულო ჟამს. ჯიღა თვალები უელავს ნათლის ყოველ გამოკრთომაზე. ერთ იმ მანანწალათაგანს წაა-გავს, მურილი, ნალდი სევილიელი, რომ ხატავდა.

ვირს როგორ არ მივცემდი... მაგრამ? უშენოდ რა ვქნა, პლატერო?

მონგემაიორის სავანესთან ამოგორდა სავსე, მოვანებული მთვარე და რბილი შუქი გადმოაღვარა არემარეს. მრუმესაქა-იქთითქოსშეერიადლისმკრთალი ნათელი. ყვავილებით მოჩითული ველი ზმანებას დაემსგავსა, ძველებური უნატიფესი მაქმანივით გახდა. კლდეები დიდდებოდნენ, იქუფრებოდნენ, დარდიც ემატებოდათ. უჩინარი ნაკადულიც უფრო იღვრებოდა ცრემლად.

ვირუკაში ჩამწვარი მენახირე ბიჭი შორიდან მოგვძახოდა:

— ეეჲ, ეგ ვირი რომ ჩემი იყოს!..

## იაღონის სიკვდილი

იცი, პლატერო, იადონი ბავშვებს მკვდარი დახვდათ ვერცხლის გალიაში. მობერებული იყო... ამ ზამთარს, ხომ გახსოვს, ხმა არ გაუღია, სულ ფრთაში ჰქონდა თავი ჩარგული. გაზაფხულის პირას, როცა მზემ დაფენდა კარ-ფანჯრები და შინ შემოუძღვა ბაღს, როცა შიდაეზოს მშვენიერმა ვარდებმაც გული გაიღედეს და გაიფურჩქნენ, იადონსაც მოესურვილა, რომ სიცოცხლის განახლებას შეგებებოდა თავისი გალობით. მაგრამ გაბზარულ ფლეიტასავით უთრობიდა ჩახრინწული ხმა.

ბავშვებში ყველაზე უფროსმა, აი იმან, ჩიტს ვინც უვლიდა, გაშეშებული რომ ნახა გალიაში, ასლუკუნდა.

— კი მაგრამ, რომ არაფერი აკლდა, არც საკენკი, არც წყალი?!?

მართლაც, პლატერო, არაფერი აკლდა. „უბრალოდ, თავისი დღით მოკვდა...“ — როგორც იტყოდა რომელილაც სხვა ბებერი იადონი...

პლატერო, ნეტავი გამაგებინა, თუ არსებობს ჩიტების სამოთხე? ნეტა თუა სადმე ლურჯ ზეცაში მწვანე წალკოტი ოქროსფრად გაფურჩქნილი ვარდის ბუჩქებით, თეთრი, ვარდისფერი, ცისფერი, ყვითელი ჩიტების სულებით?

იცი, რას გეტყვი, პლატერო, ამაღამ ბავშვები, შენ და მე ჩავიტანთ მკვდარ ჩიტს ბაღში. ახლა სავსე მთვარეა და მის ვერცხლისფერ სიფერმკრთალეში ბეჩავი მგალობელი, რომელიც ბლანკას ექნება დასვენებული თეთრ ხელის-გულზე, მოყვითალო ზამბახის შემჭვნარ ფურცელს და ემსგავსება. ჩვენ მას დავმარხავთ ვარდნარში.

გამოზაფხულდება, პლატერო, და ვიხილავთ, ჩიტუნია ამოფრინდება თეთრი ვარდის გულიდან. სურნელოვანი ჰაერი აუღერდება და აპრილის მზის სხივებში აფათქუნდებიან უხილავი ჯადოსნური ფრთები და დაირხევა იდუმალი ტალღა ბაჯაღლო ოქროს წკრიალივით მორაკრაკე წმინდა გალობისა.

## ՑՐԱՑՈ

პლატერო, შენ արածდրով გინახივար, ցորակზე  
რომ նամոვնչեծոֆո ხոլմի პոյտუրո და თան մյացրո  
ոյրուտ.

...გვერდზე ჩამივლიდნენ ხარები, ძალლები, ყორ-  
ნები. არ ვიძროდი და ზედაც არ ვუყურებდი მათ. სანამ  
არ ჩამოღამდებოდა, არ ვშორდებოდი იქაურობას.  
აღარც კი მახსოვს, პირველად როდის აღმოვჩნდი  
გორაკზე. ზოგჯერ ეჭვიც კი მეპარება, საერთოდ ვარ  
კი იქ ნამყოფი? ხომ იცი, რომელ გორაკზეც გეუბნები,  
აი, გადაწითლებულ გორაკზე, მამაკაცისა და ქალის  
ტანივით რომ გაწოლილა კობანოს ძველ ზვრებთან.

იქ ვკითხულობდი, თუ რამ ნამიკითხავს. იქ ვფიქ-  
რობდი ჩემს საფიქრალს. ბევრ მუზეუმში მინახავს  
ჩემი ნახატი: შავებში ჩაცმული, ჩემკენ ზურგშექცევით  
ხრიოკ ადგილას ნამოწოლილი გესაუბრები შენ ან  
ვინმე სხვას, ვისკენაც პირი მაქვს მიქცეული, და ჩემს  
აკვიატებულ აზრებს, ჩემს იდეებს ვახვავებ სივრცეში  
დასალიერამდე, სადამდეც კი მიმინვდება მზერა.

მეძახიან. სავახშმოდ ან ძილისთვის მიხმობენ.  
ნასვლას კი ვაპირებ, მაგრამ არ ვიცი, ვიქნები კი იქ?  
დარწმუნებული ვარ, ჩემო პლატერო, რომ ახლა, ამ-  
ნუთას, აქ არა ვარ, შენთან არა ვარ. არც არსად ვარ:  
არც სამარეში, უკვე მკვდარი. მხოლოდ მაშინ ვარ,  
როცა ამ გადაწითლებულ გორაკზე, ერთსა და იმავე  
დროს პოეტურსა და ხრიოკზე, ნიგნით ხელში გავცერი  
მდინარის იქით ჩამავალ მზეს...

### შემოდგრა

მზეს უკვე უჭირს თბილი ლოგინის მიტოვება და  
გლეხები ადგომას ასწრებენ. მზე ხომ შიშველია, ჩემო  
პლატერო, არადა, აცივდა!

როგორ ქრის ზენაქარი! როგორი ძლიერია ქარი,  
როგორი შეუვალი! დახედე ჩამოლენილ რტოებს, ერთ-  
მანეთის გასწვრივ არის ყველა ერთ მხარეს მიყრილი.

გუთანი საბრძოლო ეტლივით შეუდგა თავის  
მშვიდობიან და ხალისიან ამქვეყნიურ საზრუნავს. სვე-  
ლი შარაგზის კიდეებში ჩარიგებული შეყვითლებული  
ხეები ოქროსფრად ავარვარებული კოცონებივით  
ბრიალებენ და ხელახალი ამწვანების იმედით გვი-  
ნათებენ მაღე გასაღევ ამ ჩვენს გზას.



## დაბმული ქოზაპი

— ჩემო პლატერო, შემოდგომის პირი მაგონებს დაბმულ ქოფაკს, რომელიც გაბმით ყეფს თეოზე, უკაცრიელ შიდაეზოში, ბაღში; ყეფს შებინდებისას, უკვე რომ აცივდება ხოლმე და სევდა იმატებს... ყვითლდება დღეები, პლატერო, და სადაც კი ვარ, ყველგან აშკარად მესმის, დაბმული ქოფაკი როგორ უყეფს ჩამავალ მზეს...

ისე არაფერი მგვრის კაეშანს, როგორც ძალლის ყეფა. არის წუთები, როცა სიცოცხლე ოქროსავით გეფლანგება და გაკოტრებული ძუნნივით გეკუმშება გული. საგულდაგულოდ დაუნჯებული ოქრო გაანიავა სულმა და დაანიანა სწორედ ისე, ბავშვები რომ სარკის ნატეხით იჭერენ ხოლმე მზის სხივს, დაჩრდილული კედლისკენ რომ გზავნიან, და დააფარფატებენ პე-პელასავით ან ხმელი ფოთოლივით.

ბეღურები და შაშვები ტოტიდან ტოტზე დახტიან ფორთოხლებსა და აკაციებში და მაღლა-მაღლა ინევენ მზისკენ. მზე ვარდისფრდება, ნითლდება... სილამაზემ მარადიულობას აზიარა სწრაფწარმავალი ჟამის ეს მონაკვეთი, რომელიც აღარ ფეთქავს, აღარ ფანცქალებს, თითქოს ჩაკვდა კიდეც. მაგრამ მაინც ცოცხალია. და ქოფაკი ყეფს ბრაზით, ღრენით, გა-ცოფებით... თუ გრძნობს, რომ კვდება სილამაზე...



## ბერძნები კა

— ჩემი ძმა და მე ნაშუადლევს სკოლიდან რომ ვბრუნდებოდით ვიწრო შუკით, მაშინ წავანყდით მას. აგვისტო იყო. ცა ისეთი ლურჯი იყო, ჩემო პლატერო, ისეთი ლურჯი, ულურჯესი, ლამის შავი! ძალიან ცხელოდა და მოკლეზე მოვჭერით. ბეღლის კედელთან, ბალახებში, მიწის ბეღლტს ჰგავდა. იქვე კუთხეში მიგდებული „იადონის“ — ყვითელი ძველი საზეიმო ეტლის — ჩრდილში შეყუულიყო.


ცოტა არ იყოს, გვეშინოდა. მოახლე გოგო დავიხმარეთ, ავიყვანეთ და აქოშინებულები შევ-ცვივდით სახლში. გაცყვიროდით: „კუ, კუ!“ ტალახით იყო მოთხვრილი, წყალი დავასხით და გადასაყვანი ქალადლივით გამოცინცხალდა, გამოანათა როგორც ოქროთი და შავით ნახატმა...

ოლივიელმა დონ ხოაკინმა, პახარო ვერდემ და სხვებმაც — ყველამ, ვინც ეს ამბავი შეიტყო, გვითხრა, ბერძნული კუ არისო. შემდეგ, როცა იეზუიტების კოლეჯში ბუნების ისტორიას ვსწავლობდი, წიგნში ვნახე, ზუსტად ასეთი ეხატა და ქვემ „ბერძნული კუ“ ეწერა. დიდ ვიტრინაში ვნახე მისი ფიტული, იქაც ასეთი წარწერა ჰქონდა. ასე რომ, ჩემო პლატერო, ეს კუ ნამდვილად ბერძნულია.

მას აქეთ ჩვენთანაა. ბავშვებმა რა არ დავანიეთ: ხან ვაბზრიალებდით, ხან ლორდს მივუგდებდით, ხან ზურგზე ამოტრიალებული გვყავდა რამდენიმე დღეს... ერთხელ სორდიტომ თოფიც კი დაახალა, რომ გაგვეგო, რამსიმაგრე იყო. ბაკანმა ტყვია აისხლიტა და სიცოცხლეს გამოასალმა საწყალი თეთრი მტრედი, რომელიც წყალს სვამდა მსხლის ძირას.

თვე თვეს მიჰყვებოდა და კუს ვერ ვხედავდი. ერთ მშვენიერ დღეს ნახშირის გორაზე ვნახე

მკვდარივით გაშეშებული. ერთხელაც სარდაფში ვნახე... ზოგჯერ კვერცხებისგან გაცლილი ბუდე მიმანიშნებდა, რომ სადღაც აქვე უნდა ყოფილიყო. ჭამს ქათმებთან, მტრედებთან, ბეღურებთან ერთად. პომიდორი ყველაფერს ურჩევნია. გაზაფხულზე მთელი ეზოს ბატონ-პატრონი ხდება და თითქოს თავისი სიმარტოვიდან და გამომშრალ-გამომხმარი და გადამღრძვალი მარადიული სიბერიდან ამოიყრის ახალ ყლორტს, თითქოს თვითონვე უძღვნის თავის თავს სიცოცხლის შუქს ახალი საუკუნისთვის...



## ოქთომარის საღამო

არდადეგები მიიწურა. შეყვითლდა ფოთლები და ბავშვებიც სკოლისაკენ გაეშურნენ. სიმარტოვეა. სახლიც კი მოფენილია ჩამოცვენილი ფოთლებით. ძალაგამოლეული მზე იჭყიტება შიგნით. გეჩვენება, რომ მორს ვიღაც ყვირის, შორს ვიღაც იცინის...

ბუჩქებს, რომელთაც ჯერ კიდევ შერჩენიათ ვარდები, ნელა ეპარება მწუხრი. ჩამავალი მზის ალი მოედო ნაბოლარა ყვავილებს და ბალმა სურნელოვანი ხანდარი შეუწოთ მზის დასავალს. აპრიალებული ვარდების სურნელია ყველგან. სიჩუმეა.

ჩემი არ იყოს, პლატერომაც მოიწყინა და არ იცის, რით შეიქციოს თავი. ნელა ამედევნა, ერთხანს შეყოყმანდა, ბოლოს გაბედულად, მტკიცედ დასცხო ფლოქვები ფილაქანს და შინ შემომყვა.



## ანტონია

ღელე ისე მოდიდებულიყო, ყვითელი ზამბახები, ზაფხულობით რომ ოქროთი ავარაყებდნენ ნაპირებს, დაეტბორა, დაეფანტა და მათი მშვენება ფურცელ-ფურცელ გაეტანებინა წყლის ჩქერისთვის...

ჰოდა, გალმა როგორ გავიდეს ანტონილია, თანაც საგარეო კაბით?! საბიჯარი ქვები ახლა ლიაშია ჩაფლული. გოგო აღმა აჲყვა ღელეს, ალვების ჩამონალენ ჯოყრებთან მოსინჯა, თუ შეძლებდა გადასვლას... ვერ შეძლო... მაშინ პლატერო შევთავაზე.

ჩემს გამოლაპარაკებაზე ანტონილია აილანძა, ცეცხლი მოედო მის ჭროლა თვალებთან სასხვა-თაშორისოდ მოპნეულ ჭორფლს. მერე ხეს მიეყრდნო და გადაიკისკისა... ბოლოს გადაწყვიტა, ბალაზზე დააგდო ვარდისფერი ღაზლის თავშალი, ცოტა გაირ-ბინა და მწევარივით ცქვიტად მოახტა პლატეროს; აქეთ-იქით გადმოკიდა მკვრივი ფეხები, რომლებსაც ჩემდა მოულოდნელად თავისი სისავსით მოერკალათ ხამი შალის წინდების თეთრ-წითელი ზოლები.

პლატერო ოდნავ შეფიქრიანდა, ზუსტად მოზომა, გადაევლო ღელეს და გალმა ნაპირზე დახტა. მერე, როცა უკვე ჩვენ შორის ღელე ჩაედინებოდა, სახეშეფა კლულმა ანტონილიამ მუცელზე ქუსლები მიაჭირა პლატეროს და ისიც მოლზე წაჩინდრიკდა ვერცხლისა და ოქროს წერიალში – შავგვრემანი გოგოს კისკისში.

სურნელი იდგა ზამბახისა, წყლისა, სიყვარულისა. ეკლიანი ვარდის გვირგვინივით შემოეჭდო ჩემს სა-ფიქრალს სიტყვები, შექსპირმა რომ ათქმევინა კლეო-პატრას:

„ბედნიერი ხარ, ბედაურო, სვებედნიერი,  
ანტონიუსის ტარება რომ გარგუნა ბედმა!“

– პლატერო! – ბოლოს შევძახე ბრაზით, ბოლმით, რისხვით...

## მიზანების მთხვეთი

ოქტომბრის გადაუღებელი წვიმების მერე ერთ მოდარებულ დღეს, როცა ზეცა ოქტომბრის ციალებდა, ზვრებისკენ გავეშურეთ. პლატეროს ხურჯინის ცალ თვალში საუზმე და ბავშვების ქუდები ეწყო, მეორეში გასაწონასწორებლად ეჯდა ატმისყვავილისფერი პუტკუნა ბლანკა.

მომნუსხველი იყო გამოცოცხლებული ველ-მინდვრები! ნაკადულები მოდიდებულიყვნენ. წვიმებით გაუივებულიყო მინა. მინდვრის კიდეში ჩარიგებულ ჯერ ისევ ყვითლად შეფოთლილ ალვებს შავი ჩიტები შესეოდნენ.

უეცრად გოგონები ყვირილით გაცვიდნენ ერთმანეთის მიყოლებით:

– მტევანი! მტევანი!

ბეპერი ვაზის დალრეკილ ლერწებსა და სიშავე-დაკრულ შენითლებულ ფოთლებში ბდლვრიალა მზეს აებრიალებინა ჩაქარვებულ-ჩამკრახული მტევანი ასაკსმიტანებული ლამაზი ქალივით თვალში საცემი იყო. ყველანი მისკენ იწვდიდნენ ხელს. ვიქტორიამ მოწყვიტა და ზურგს უკან დამალა. ვთხოვე და მაშინვე გამომიწოდა ნაზად, მორჩილად, დამყოლად, ისე, როგორც იქცევიან ხოლმე მამაკაცებთან გოგოები, რომლებიც ეს-ესაა დაქალებას იწყებენ.

მტევანზე ხუთი დიდი კუმპალი იყო. ბავშვებს მივეცი: ერთი – ვიქტორიას, ერთი – ბლანკას, ერთი – ლოლას, ერთიც – პეპეს. სულ ბოლო კი ერთსულოვანი ტაშის გრიალში გავუწოდე პლატეროს და ისიც მოუხეშავად წაეტანა თავისი უშველებელი კბილებით.

## ადგირალი

არ იცნობდი, შენამდე წაიყვანეს. მისგან შევიტყვე, რა ყოფილა ჯიშის კეთილშობილება. ხომ ხედავ, ფირფიტა ზედ წარწერილი მისი სახელით დღესაც თავ-ლაშია, იქ, სადაც მისი უნაგირი დევს, სადაც მისი ლაგამი და აღვირია.

შემორაგვულში პირველად რომ შემოაბიჯა, ოცნებას ჰგავდა! ლურჯა იყო. მისმა მოსვლამ მოიყოლა ძალა, სიცოცხლის ხალისი, სიხარული. რა ლამაზი იყო! ყოველ დილაუთენია შევაჭენებდი ხოლმე ჭალაში, გავივაკებდით დატბორილ ნაპირზე და გამოკეტილ წისქვილებთან გუნდ-გუნდად დაყუნცულ ჭილყვავებს ვაფრთხობდით. მერე გავაჯირითებდი თემშარაზე და ჩირთით შევუყვებოდით ნუევას ქუჩას.

ზამთრის ერთ სალამოს მათრახით ხელში მეწვია ბატონი დიუპონი, აი ის, სან-ხუანის დუქნების პატრონი. ნინკარში მომცრო მრგვალ მაგიდაზე დატოვა ფული და ლუაროსთან ერთად გაემართა თავლისკენ. მერე ბინდში ფანჯრიდან დავინახე, – თითქოს სიზმრად მენახოს, – ბატონი დიუპონი ადმირალშებმული თავისი ეტლით თავსხმაში როგორ აუყვა ნუევას ქუჩას.

არ ვიცი, რამდენ დღეს მქონდა გული გახეთქაზე.

ექიმის გამოძახებაც დამჭირდა და მასვეს ბრომი, ეთერი და რა ვიცი, კიდევ რა, ვიდრე დრომ, რომელიც ყველაფრის მკურნალია, ისევე არ გამინელა ეს საფიქრალი, როგორც დარდი ლორდისა და პატარა გოგონას გამო.

ეჰ, პლატერო ჩემო, რა ნალდი მეგობრები იქნებოდით შენ და ადმირალი!

### ზანაბაზი

ჩემო პლატერო, ახლახან გადახნული შავი მიწის ნოტიო ხნულებს, რომელთაც ოდნავ გადაჲკრავს დაძრული თესლის ღივის სიმწვანე, უხვად აფრქვევს ოქროს ჩქერს ჩამავალი მზე. მას ხომ სულ ცოტალა დარჩა სავალი. მცივანა ჩიტები დიდ-დიდ გუნდებად მიფრინავენ მოროსაკენ. ქარის ოდნავი შემოქროლებაც კი მთლად აშიშვლებს ყვითელი ფოთლების ამარა დარჩენილ ხეებს.

წელიწადის დრო გვიწვევს ჩვენ-ჩვენს სულებში ჩა-სახედად, პლატერო. ახლა სხვა მეგობარი გვეყოლება. ეს იქნება ახალი წიგნი, გამორჩეული და ღირსეული. წიგნივით გადაიშლება ჩვენ თვალწინ გაძრცვნილი მიდამო, უსასრულობის განცდის მომგვრელი და გან-მარტოებული თვითჩალრმავებისთვის ფიქრთა აღმძვ-რელი.

შეხე, პლატერო, ეს ის ხეა, ამ ერთი თვის წინ გა-დამწვანებული რომ გვეჩურჩულებოდა, შუადღის ალხში რომ შეგვიფარა და მოგვიჩრდილა. ახლა და-ჩიავებულა, ჩამომხმარა და ყვითლად მღვივან ნაადრევ და სევდიან დაისში ჩახატულა თავისი სიმარტოვით, მეჩერ ფოთლებში შეხიზნული თავისი შავი ჩიტით.



## თევზის ქართვი

ნისქვილის ქუჩიდან, ჩემო პლატერო, მოგერი სულ სხვა ქალაქია. აქედან იწყება მეზღვაურთა უბანი. ხალხი აქ პირასხნით ლაპარაკობს, აქაურებს თამამი და ლალი სიტყვა-პასუხი აქვთ, მეზღვაურთა კილოზე უქცევენ. კაცები აქ უკეთ იცვამენ, მსხვილი ჯაჭვები აქვთ საათებზე, საუცხოო სიგარებს და დიდ ჩიბუხებს აბოლებენ. რამხელა განსხვავებაა მეეტლეთაუბნელ სიტყვაძვირ, მოხათრებულ მყუდრო კაცსა, მაგალითად, რაპოსოსა, და მზით გარუკულ, ქერათმიან პიკონს შორის. იცნობ, სანაპირო ქუჩაზე რომ ცხოვრობს, იმაზე გეუბნები!

გრანადილია, წმინდა ფრანჩესკოს ეკლესიის მედავითნის ქალიშვილი, მარჯნისუბნელი გრანადილია, ჩვენსა რომ შემოივლის ხოლმე, მთელ სამზარეულოს აზანზარებს თავისისხატოვანი, ცინცხალიდა ხალისიანი ლაპარაკით. შინამოსამსახურები, რომელთაგან ერთი ფრიზეტიდანაა, მეორე – მონტურიოდან, მესამე კი საკირის უბნიდან, – გასუნთქულები უსმენენ. ენაკვესია გრანადილია ყვება კადისის, ტარიფის, კუნძულის ამბებს; ყბადაუყენებლად ქაქანებს თამბაქოს კონტრაპანდაზე, ინგლისურ ქსოვილებზე, აბრეშუმის წინდებზე, ვერცხლზე, ოქროზე... მერე ქუსლების ბაკუნით დაბზრიალდება, აათრთოლებს კენარ ტანს, რომელზეც ქაფივით ნაზი და ჰაეროვანი შავი თავშალი აქვს შემოტმასნილი.

გოგოები კარგა ხანს უნდებიან მისი ხატოვანი მონათხრობის ახსნა-განმარტებას. შეხე, აგერ მონტე-მაიორს, ცალ თვალზე ხელი მიუფარებია და მზეზე ჩაჰკირკიტებს თევზის ქერეჭს... რას შვრები-მეთქი, – ვკითხე და მიპასუხა, – ქერეჭში, ცისარტყელას თაღქვეშ, ჩანსო მოგვირისტებული ქლამინდით მოსილი კარმელის წმინდა ღვთისმშობელი, მეზღვაურთა მფარველი. და ეს ჭეშმარიტებაა, რადგან ასე უთქვამს გრანადილიას.

## პინიტო

— აი, იის!.. იის!.. პინიტოზე უფრო სულელიი!

აღარც კი მახსოვს, ვინ იყო პინიტო. შემოდგომის მყუდრო მზეს გალავნის ყორესთან ხანძრად აუბრიალებია წითელი ქვიშა. ფერი აქვს ცეცხლის, თორემ მხურვალება — არა. ბიჭუნას ყვირილი ჩამესმის და უეცრად მეჩვენება, რომ ჩვენ, ჩაშავებული წალმით დატვირთულები, ბექობს მივუყვებით, სწორედ საცოდავი პინიტოსკენ მივემართებით.

შემახსენდება ხოლმე და მერე ისევ წაიშლება მისი სახე ჩემს მახსოვრობაში. ძლიერს ვიგონებ. თვალწინ გამიელვებს ხმელ-ხმელი, შავგვრემანი, ლალი... სილამაზის ნაშთი ემჩნევა უშნოსა და ზინზლიანს. რაც უფრო ვცდილობ, აღვიდგინო მისი ხატება, მით უფრო მელევა თვალსა და ხელს შუა, დილის სიზმარივით მიქრება. და აღარც კი ვიცი, ვიზეც ვფიქრობ, ისაა თუ არა... მგონი, ის უნდა იყოს, ერთ დილას თავსხმაში ბიჭები რომ ქვებს უშენდნენ და ნუევას ქუჩაზე რომ გარბოდა ლამის დედიშობილა; ანდა ის, ზამთრის ბინდბუნდში ძველი სასაფლაოს ღობის გაყოლებით თავჩაქინდრული რომ მიბანდალებდა ქარის წისქვილისკენ, თავისი მუქთი სარდაფისკენ, მკვდარი ძალებისა და ნაგვის გროვისკენ, მანანნალა მათხოვრებისკენ.

— პინიტოზე უფრო სულელიი! აი, იის!..

რა იქნებოდა, პლატერო, წეტა ერთხელ მაინც გამოვლაპარაკებოდი პინიტოს! მაკარიამ თქვა, ერთი გზასაცდენილი ქალის, კოლილიას, სახლში გამოთვრა და ციხესიმაგრის თხრილში ჩაკვდაო საწყალი. დიდი ხნის წინათ იყო ეს. ბავშვი ვიყავი, პლატერო, როგორც შენა ხარ ახლა ბავშვი. მართლა ჭუაცეტი, მართლა სულელი იყო? როგორი იყო ნეტა? ნეტა როგორი?..

ჩემო პლატერო, ის მკვდარია და არ ვიცი, როგორი  
იყო. სამაგიეროდ შენ ხომ იცი იმ ბიჭის წყალობით,  
რომლის დედაც, უეჭველია, მას იცნობდა, რომ მე  
პინიტოზე უფრო სულელი ვარ.



## მდინარე

შეხე, პლატერო, რა დღეშია მდინარე მაღაროებისგან, უსულგულობისა და სიხარბისგან. ამ საღამოს მონითალო წყალი აქა-იქ ყვითელ და იისფერ შლამში ძლივს უყრის თავს ჩამავალი მზის ნაფშვენებს. სათამაშო ნავიც კი ვერ გაცურდება მის კალაპოტში. რა საცოდაობაა!

ნინათ მდინარეში შემოდიოდნენ სირაჯთა დიდი გემები, ორჩხომელები, ორანძიანი იალქნიანი ხომალდები – „მგელი“, „ელოიზა“, „სან-კაიეტანო“, – რომელიც მამაჩემისა იყო და საწყალი კინტერო მართავდა; კიდევ – ბიძაჩემის „ვარსკვლავი“, ამას პიკონი მართავდა. მათი ანძები შესეოდნენ სან-ხუანის ცას და ერთმანეთში ხალისით ირეოდნენ. ვეებერთელა ანძები აკვირვებდა ბავშვებს. მიეშურებოდნენ მალაგისკენ, კადისისკენ, გიბრალტარისკენ, მიემართებოდნენ ლვინით დამძიმებულები, წყალში ლრმად ჩამსხდარნი... მათ შორის იყო მეთევზეთა კარჭაპები, რომლებიც წყლის ჭავლს აფორიაქებდნენ კიჩოზე დამაგრებული თავ-თავიანთი წმინდანებით, ნაირ-ნაირი ფერებით: მწვანით, ლურჯით, თეთრით, ყვითლითა და ჭიაფერით... და მეთევზები ქალაქში ეზიდებოდნენ სარდინებს, ხამანნკებს, გველთევზებს, კამბალებს, კიბორჩხალებს... რიოტინტოს სპილენძმა მთლად დანამლა ყველაფერი და, – ზოგი ჭირი მარგებელიაო, – მდიდართა წუნიანობის გამო ლარიბებს რჩებათ მეთევზეთა მწირი ნადავლი... კარჭაპები, ორჩხომელები, იალქნიანი ნავები გაქრა.

რა საცოდაობაა! თვით ქრისტეც კი ვეღარ იხილავს ზღვის მოქცევისას წყალუხვ მდინარეს. მკვდრის სისხლივით, დაწრეტილი ნაკადივით მოედინება მწუხ-

რივით ჟანგისფერი მდინარე, გაძვალტყავებულ და ჩამოკონკილ გლახას რომ დამსგავსებია. აფრებაკე-ცილი „ვარსკვლავი“ ჩამუქებულა, ჩაფშუებულა და მაღლა აუშვერია თევზის ხერხემალივით დაკბილული თავისი უზარმაზარი ანძა, რომლისთვისაც ხანძარი შეუნთია დაისს. მესაზღვრეთა ბავშვები თამაშობენ, ირევიან, დაწრიალებენ. და ეს ყველაფერი ბორგვას ჰგავს ჩემი დარდიანი გულისას.



## ბრონეული

რა სანახავია ეს ბრონეული, პლატერო! აგედილიამ მომიყითხა. თავის ბაღში, მონხას ღელის პირას, ამოურჩევია. არცერთი სხვა ნაყოფი ისე არ ამიშლის ხოლმე ფიქრებს წყლის ცხოველმყოფელ ძალაზე, როგორც ბრონეული. სკდება, ფეთქდება ნაღდი და ღონიერი სიჯანსაღით. არ გავსინჯვოთ?

ჩემო პლატერო, რა სასიამოვნოა სიმწარისა და სიმშრალის გემო, მწკლარტე გემო მაგარი და ხმელი ქერქისა, მინაში გადგმული ფესვივით რომაა. აი, პლატერო, ლალივით გამონათება ალიონისა: პირველი სიტკბო ქერქს მჭიდროდ მიტმასნილი მარცვლებისა. აგერ, პლატერო, ერთმანეთს მიჯრილი, ერთმანეთით შევინროებული საღი და სავსე მარცვლები თავის თხელ აპკიანად – ჯადოსნური საუნჯე საჭმელად ვარგისი ამეთვისტოებისა, რომელიდაც ნორჩი დედოფლის გულივით სისხლსავსე და ძლიერი! როგორაა გადავსებული, პლატერო, ჰა, გამომართვი, ჭამე! რა გემრიელია! რა სიამოვნებაა, როგორ ეფლობა კბილები ამ ხალისიან წითელ სიმწიფეში! მოიცა, ვერ ვლაპარაკობ. თვალი რომ დაინთქმება კალეიდოსკოპის დაუდეგარ ფერთა ლაპირინთში, ისე იძირები გემოში. მორჩა!

პლატერო ჩემო, მე აღარ მიდგას ბრონეულები. შენ არ მოსწრებიხარ ბრონეულებს დუქნის ეზოში, ყვავილების ქუჩაზე. მზე რომ გადაიხრებოდა, გავდიოდით... თიხაბზით შეთითხნილ, დახეთქილ ღობე-ყორეებში ჩანდა მარჯნისქუჩელთა ეზოები. ყოველ მათგანს თავისი ხიბლი ჰქონდა. ეზოებს იქით მინდორი იყო, მინდორს იქით – მდინარე. მესაზღვრეების ნაღარის დგერა აღწევდა. სიერას სამჭედლოდან გრდემლის გრუხუნი ისმოდა. ქალაქის ახალი, შეუჩევეველი უბანი მიმხელდა თავისი ყოველდღიური ყოფის პოეზიას. მზე ჩადიოდა. ბრონეულები ბრიალებდნენ

და სხივს ისროდნენ, როგორც პატიოსანი თვლები, როგორც ჯადოსნური განძი, დახვავებული სადღაც, ზღაპრული ლეღვის ჩეროში, ჭის სიახლოვეს, რომლის შემოშენებული გვიმი ლეღვის ხეს დაებზარა.

ბრონეული მოგერის ნაყოფია, მშვენებაა მისი გერბისა! ჩამავალი წითელი მზისთვის გულგახსნილი ბრონეულები! ბრონეულები მონხას ბალისა, ბრონეულები პერალის ველისა, საბარიეგოს ბრონეულები! ბრონეულები ღელისპირა მყუდრო მინდვრებისა, სადაც ზუსტად ისევე, როგორც ჩემს წარმოსახვაში, ცავარდისფრად ღვივის, ვიდრე მთლად არ დაღამდება.



## პველი სასაფლაო

შენი შემოყვანა მინდოდა, პლატერო. მესაფლავეს რომ არ შეემჩნიე, მიტომ ჩაგაყენე ფილებით დაზურ-გულ ვირებში. რა სიჩუმეა... წამო...

ნახე, ეს სან-ხოსეს სამარეა. გადაბრეცილი ლობით შემოკავებულ ამ დაჩრდილულ და ჩამწვანებულ კუთხეში მღვდლების საფლავებია... თეთრად შემოლობილი ეს ადგილი, ნაშუადღევის მთრთოლარე მზე რომ დასთამაშებს, ბავშვების სამარეა... წამო... ადმირალი... დონა ბენიტა... ლატაკთა საძმო საფლავი, პლატერო...

კვიპაროსებში როგორ ირევიან ბელურები! ნახე, რა ურიამული აქვთ!.. ამ ოფოფს, აგერ ხარისუარდაზე რომ შემომჯდარა, საფლავის ძგიდესთან, ფოსოში გაუმართავს ბუდე... ნახე, მესაფლავის შვილები რა მადიანად შეექცევიან შაქარმოყრილ კარაქიან პურს... პლატერო, ამ ორ თეთრ პეპელასაც ხომ ხედავ...

ახალგაჭრილი სამარე... დაიცა... გესმის? ზან-ზალაკებია... სამი საათის ეტლია, თემშარის გავლით მიემართება სადგურისკენ... ის ფიჭვები, ქარის წისქვილთან რომ ფიჭვებია, ისაა... დონა ლუტგარდა... კაპიტანი... პატარა ალფრედიტო რამოსი, ჩემს ბიჭობაში, გაზაფხულის ერთ საღამოს რომ შევუდექი მის თეთრ კუბოს ჩემს ძმასთან, პეპე საენსთან და ანტონიო რიბეროსთან ერთად... ჩუ!.. რიოტინტოს მატარებელი ხიდზე მირიხინებს... მომყე... საწყალი კარმენი, ჭლექიანი გოგო, რა მშვენიერი იყო, პლატერო... შეხე ამ ვარდს... აგერაა გოგონა, რა ნაზი იყო, თან როგორ აკვესებდა შავ თვალებს... აქ კი, პლატერო, მამაჩემია... პლატერო...

## ლიტერატურა

განზე გადექი, პლატერო, გზა უტიე სკოლის ბავშვებს.

მოგეხსენება, დღეს ხუთშაბათია და ქალაქებარეთ გაიყვანეს ბავშვები. ლიპიანის ხან მამა კასტელანოს-თან მიჰყავს ისინი, ხან ანგუსტიასის ხიდთან, ხან წყალსატევთან. დღეს ლიპიანი გუნებაზეა და, როგორც ხედავ, განდეგილის ქოხამდე მიუძღვა ბავშვებს.

შენ კი იცი, რასაც ნიშნავს ბავშვის გავირება. ჰოდა, ჩვენი ქალაქისთავის ოქმით, ლიპიანი გავირებულ ბავშვებს არჯულებს, ადამიანებად აქცევს. თუ ასეა, ლიპიანი შენ ნამდვილად გაგავირებდა და დაგამშევდა კიდეც. ბავშვებს ჩემეკნ მოუწევდათ გული. ჰოდა, მათი გული რომ მოეგო და ჩემგან ჩამოეშორებინა ისინი, – არადა, ბეჩავ ლიპიანის საამისოდ თავისი მოსაზრება ჰქონდა, – მინდვრად გაჰყავდა ისინი. იმდენი ქნა, რომ ქრისტესმიერი სიყვარულის საბაბით ბავშვები შუაზე უყოფდნენ თავ-თავიანთ საუზმეს და ნაშუადლევს ლიპიანი ცამეტი საუზმის ნახევარ-ნახევარს შეექცეოდა.

შეხე, რა ნასიამოვნები ბრუნდებიან ყველანი! ღარიბულად ჩაცმული, გულაძეგერებული, გაღაუღაუებული და აფართხალებული ბავშვები ატანილნი არიან ოქტომბრის სიგრილედაკრული ხალისიანი მწუხრით. ყავისფერუჯრედებიან ტანსაცმელში გამოწყობილი ლიპიანი მოდის და მოათახთახებს თავის დონდლო სხეულს. ფიჭვის ძირას კარგა ღაზათიანად გამოძომის მოლოდინში ღიმილი დასთამაშებს შეჭაღარავებულ გრძელ წვერზე... მინდორი ირყევა მის ფეხქვეშდა ზანზარებს, როგორც ათასფრად მოელვარე სეფეზარი, ახლახან მწუხრისას რომ რეკავდა და თითქოს ჯერაც რომ არ ჩანყნარებულა, თითქოს ჯერ კიდევ თავზე რომ დაჰგუგუნებს ქალაქს. გეგონება, ვეება მწვანე ხოჭო დაჰბზუოდეს ოქროსფრად აელვარებულ კოშკს, საიდანაც მოჩანს ზღვა.

## ციხასიმაგრე

რა მშვენიერია ცა ამ საღამოს, პლატერო! შე-  
მოდგომის ნათელს მეტალის ბზინვა შეეპარა,  
ბაჯალლო ოქროს პირფართო სატევარი ელვარებდეს  
თითქოს. მიყვარს აქ ამოსვლა, ამ განმარტოებული  
გორაკიდან კარგად მოჩანს მზის ჩასვლა. თანაც ხელს  
არავინ გვიშლის, არავინ გვაწუხებს და ჩვენც არავის  
ვაწუხებთ.

ღვინის სარდაფებთან და ჩამობრანძულ გალა-  
ვანთან, რომელსაც პირშუშხა და ჭინჭარი მოსდებია,  
ერთი მოთეთრო-მოცისფრო სახლი დგას. ამბობენ, შიგ  
არავინ ცხოვრობსო. აქ ყოფილა თურმე სასიყვარულო  
ლამებში თავშესაფარი ერთი კახპასი, კოლილიასი და  
მისი გოგოსი – მუდამ შავით მოსილი ორი პირთეთრი  
ტურფასი, გაჭრილი ვაშლივით რომ ჰეგვანებიან  
ერთმანეთს. აგერ, იმ თხრილში ჩამკვდარა პინიტო  
და ორ დღეს გდებულა უპატრონოდ. აქ კი თურმე  
ქვემეხები მდგარა, როცა ქალაქში არტილერისტები  
გამოჩენილან. დონ იგნასიომაც იცოდა აქ ამოსვლა  
თავისი კონტრაბანდული არყით. გინახავს შენ, ხომ  
გახსოვს? მიმნდობი კაცი იყო. კიდევ? ანგუსტიასიდან  
ხარებს ერეკებიან აქეთ. მეტი არავინ, ბიჭუნებიც კი არ  
ეკარებიან აქაურობას.

ამ მოწითალო არხზე გადებული ხიდის თაღქვეშ,  
ერთი, გახედე ვენახს, აგურის გამოსაწვავს, შორს  
ისფრად გაკლაკნილ მდინარეს; გახედე უკაცრიელ  
დატბორილ ნაპირს; ნახე, ჩამავალი მზე წითლად  
როგორ გამოჩახჩახდა თვალით ხილულ ღვთაებასავით,  
როგორ მონუსხა და მოიცვა ირგვლივ ყველაფერი  
და ახლა უელვის მხარეს ზღვაში როგორ ეშვება. და  
ეს ხდება სრულ სიჩუმეში. და ამ სიჩუმეს გამოსცემს  
სამყარო, ანუ მოგერი, მისი ველ-მინდვრები, შენ და მე,  
პლატერო.

## ტოროს ძველი ასაკები

კიდევ ერთხელ ამიტანა ელვასავით მოუხელთებელმა გამონათებამ, ტოროს ძველი ასპარეზის ხილვამ. ერთ სალამოს დაიწვა... სალამოს... მაგრამ ვერ ვიხსენებ, რომელ სალამოს, როდის...

არც ის ვიცი, შიგნიდან როგორი იყო... მგონი მინახავს... ანდა ეგებ მანოლიტო ფლორესს რომ მოჰქონდა ჩემთვის, იმ შოკოლადებზე დახატული მახსოვს: შავი ხარისგან რეზინის ბურთივით ჰაერში მოსროლილი პატარა ნაცრისფერი ბრტყელდრუნჩა ძალლები... მრგვლად შემოკავებული სრული სიმარტოვე, მაღალი ლურჯი ბალახით დაფარული... ვიცი მხოლოდ, როგორი იყო გარედან, ზევიდან... ასპარეზი არ მაგონდება... ხალხი არ ჩანს... ვტრიალებ, წრეებად ვუვლი ფიჭვით მოფიცრულ რიგებს; მეჩვენება, რომ ტოროს ასპარეზზე ვარ, ნალდ ასპარეზზე, სურათზე რომ ხატია, ისეთზე, და სულ მაღლა-მაღლა ავდივარ. ერთ სალამოს, როცა კოკისპირულად წვიმდა, სამარადუამოდ შემოიჭრა ჩემს სულში შორეული გადამწვანებული ხედი, ჩრდილით ჩამუქებული, – ჩრდილით კი არა – ცივი ლეგა ლრუბლებით; თვალსაწიერთან, იქ, ზღვასთან, მსუბუქ თეთრ ნათელში ლრუბლებშუა, იალკიალში, მოჩანს ფიჭვნარი...

მეტი არაფერი... რამდენ ხანს ვიყავი იქ? ვინ გამომიძლვა იქიდან? როდის იყო ეს? არ ვიცი, ვერც ვერავინ მითხრა, პლატერო... მაგრამ, როცა სიტყვას ჩამოვაგდებ ამაზე, შემეპასუხებიან ხოლმე:

– როგორ არა, ძველი ასპარეზი, ციხესიმაგრესთან... რომ დაიწვა... ეს იყო მაშინ, როცა მოგერსაც აკითხავდნენ ტორეროები...

## მეტ

ტიალი ადგილია. თანაც თითქოს მუდამ ვიღაც არის აქ... მთებიდან ჩამობრუნებული მონადირეები ფეხს აიჩქარებენ ხოლმე, თან ჭიუხებზე ძვრებიან, რომ უფრო შორს მოატარონ თვალი. თურმე ამ მხარეში დათარებობდა და ღამეს აქ ათევდა ყაჩალი პარალესი. წითელ პიტალოზე, რომელიც აღმოსავლეთს გაჰკ-ყურებს, ზოგჯერ გადმოდგება შემოხეტებული თხა და მწუხრის ცაზე, ყვითელი მთვარის ფონზე, იხატება მისი სილუეტი. ქვემოთ, ბარში, აგვისტომდე არ შრება ნაღვარევი და ყვითლად, მწვანედ, ვარდისფრად ირეკლავს წყალი ცის ნაფლეთებს. გუბურა ლამის მთლად ამოვსებულია ქვებით, რომლებსაც მაღლიდან ყრიან ბავშვები. ხან ბაყაყებს ესვრიან, ხან უბრალოდ წყლის ადგაფუნება უნდათ.

პლატერო შევაჩერე გადასახვევთან, ზედ დიდ, რტომრავალ კერატთან, რომელიც ველზე გასასვლელს ფარავდა ხმლებივით წანვეტებული თავისი ჩამუქებული ჭოტებით. ხელები წავაშველე ტუჩებს და დავიძახე: „პლატერო!“

— პლატერო! — შემომეპასუხა კლდე ჩახრინწული, მაგრამ წყლის სიახლოვით ოდნავ განაზებული ხმით.

პლატერომ ცქვიტად მიაბრუნა თავი, შეხტა, აცახცახდა, გაქცევა დააპირა.

— პლატერო! — ისევ შევძახე კლდეს.

კლდემ ძახილი მომიბრუნა:

— პლატერო!

პლატერო ჯერ მე შემომაჩერდა, მერე კლდეს გახედა, დრუნჩი წაიგრძელა და მაღლა ცას გაბმით შეჰყუროყინა.

კლდემ ასევე შემოჰყუროყინა გაბმით და როყიოდ.

პლატერო ყროყინად იქცა.

კლდეც ჩამოიქცა ყროყინად.

მაშინ გაქსუებული და გაოჩნებული პლატერო ავდრიან დღესავით მოიქუთრა. ცმუკავდა, ავშარის გაგლეჯას და ჩემს მიტოვებას ლამობდა. ასე გასტანა, ვიდრე ფერებ-ფერებით არ გამოვუძეხი და ვიდრე კაეტუსებში მისი ყროყინი თანდათან არ იქცა მხოლოდ და მხოლოდ მის ყროყინად.



## მიზი

ბავშვები ვახშმობდნენ. თოვლივით თეთრ სუფრაზე თვლემდა ლამპის თბილი, ვარდისფერი შუქი. სუფრაზე დაქარგული წითელი ნემსიწვერები და ვაშლები ლიტონ და ჯანსაღ სიხარულს მატებდა ამ უმანკო და ალალ სიმყუდროვეს. გოგონებს ისე ეჭირათ თავი, ქალებს რომ შეშვენით. ბიჭები დარბაისელი კაცებივით მასლაათობდნენ. ოთახის სიღრმეში ქერათმიანი ლამაზი ქალი ძუძუს აწოვებდა ჩვილს, თან ღიმილით გამოსცეროდა ბავშვებს. სარკმლის იქით, ბალში, ფუთფუთებდა ვარსკვლავებით გაჩირალდნებული ცივი, სუსხიანი ლამე.

უცებ ბლანკა ელვასავით გაიკლაკნა და მიიჭრა დედასთან. უეცრად სიჩუმე ჩამოვარდა და მერე აყირავებული სკამების ხათქახუთქში დანარჩენებმაც მიაშურეს დედას. შიში ედგათ თვალებში. ფანჯარას მისჩერებოდნენ.

ჩერჩეტი პლატერო! ფანჯრის მინისთვის მიუტყეპებია თავისი დიდი თეთრი თავი, სიბნელისა და შიშისაგან ბევრად უფრო დიდი რომ ჩანდა, გატრუნულა და ნაღვლიანად იყურება მყუდროდ განათებულ ოთახში.



## მელი წყარო

მუდამ თეთრია მარადმნვანე ფიქვნარის ფონზე. ვარდისფერია ან ლურჯი განთიადისას, და მაინც თეთრია; ოქროსფერია ან მონითალო შუადღისას, და მაინც თეთრია. მწვანეა ან ცისფერი შეღამებულზე, და მაინც თეთრია; ასეთია ძველი წყარო, პლატერო. რამდენჯერ გინახივარ ამ წყაროსთან შეჩერებული. იდუმალ საუნჯესავით ან სამარესავით იგი თავის თავში მოიცავს მთელი სამყაროს სევდას, ანუ სიცოცხლის ჭეშმარიტ განცდას.

ამ წყაროში მიხილავს პართენონი, პირამიდები, ათასგვარი სხვა ტაძარი. ყოველთვის, როცა რომელიმე სხვა წყარო, ძველი სამარხი ან სტოა მომაჯადობს თავისი მარადიული და შეუზომელი მშვენებით, ძილი გამიკრთება ხოლმე და ჩემს მომნუსხველ ახალ ხატს ჩაენაცვლება ძველი წყაროს ხატება.

ამ წყაროდან, ამ ვეშა წყაროდან მივიკლევ გზას ყველაფრისკენ და ყველაფრიდან მას ვუბრუნდები. ისე ამოჩქეფს წყაროსთვალიდან, ისეთმა ფაქიზმა უბრალობამ მიანიჭა მას მარადიულობა, უბოძა ფერი, უბოძა ნათელი, ისე ნაღდად მისია ეს ყველაფერი, რომ ლამის პეშვით აღებული მისი წყალივით შეიძლება ხელით შეეხო მთელ სისავსეს სიცოცხლისას. ბიოკლინმა ჩახატა იგი საბერძნეთის გარემოში, ბეთჰოვენმა შეატბორა ომახიანი ოხვრით, მიქელანჯელომ როდენს გადაულოცა.

წყარო კი არა, აკვანია, საქორნინე სარეცელია, სიმღერაა, სონეტია, სინამდვილეა, სიხარულია. ეს სიკვდილიცაა.

— სიკვდილი აქაა, პლატერო, ამ ღამეს, მარმარილოს ტორსივით არის ასვეტილი ნაზად მოშრიალე ჩაბნელებულ სიმწვანეში. სიკვდილი ჩემი სულიდან ამოაჩქეფებს წყაროს ჩემი მარადიულობისას.

## გვაში

პლატერო, ჩემო პლატერო, ერთ ღამეში როგორ შემოიძარცვნენ ხეები! რტოები ფესვებივით გაუბარჯდავთ, მაღლა აუშვერიათ და თითქოს თავდაყირა შეზრდიან ცას, კენწეროებით კი მინას ჩასთესლებიან. ამ ალვას შეხედე, ლუსიას არა ჰგავს, ცირკის მუშაით ლუსიას, მოფარდაგულზე რომ გადმოფინა და აპრიალა ცეცხლისფერი თმები, მაღლა რომ აიშვირა ერთად მიტყუპებული თავისი შხვართი ფეხები, მონაცრისფრო მაქმანებით კიდევ უფრო დამშვენებული?

ახლა, ჩემო პლატერო, შიშველი ტოტებიდან ჩიტები ოქროს სიყვითლეში გვხედავენ ისევე, როგორც ადრე ჩვენ ვხედავდით ჩიტებს სიმწვანეში. ფოთლების საამური შრიალი და მაღალი ვარჯის ხალისიანი ჩურჩული აგერ აქ, ქვემოთ, ჩახრინწულ საცოდავ ამოხვნეშად ქცეულა.

შეხე, პლატერო, ხმელი ფოთლებითაა გადაპენტილი ირგვლივ ყველაფერი. კვირას, დღეის სწორს, უკან რომ მოვბრუნდებით, ერთ ფოთოლსაც ვეღარ ნახავ. არ ვიცი, სად გადაქარდებიან ხოლმე ფოთლები. გაზაფხულზე მოფრენილმა ჩიტუნებმა თუ გაუმხილეს ლამაზი და უცნაური სიკვდილის საიდუმლო. ასეთი სიკვდილი არც შენ გეღირსება, ჩემო პლატერო, და არც მე.



## პეტრის თახლი

აგერ მოდის გოგო, მზით გაბდლვრიალებულ ნუევას ქუჩას მოუყვება და მოაქვს კედრის თესლი. ნედლიც აქვს და მოხალულიც. წავალ, პლატერო, ბლომად ვიყიდი მოხალულ კედრის თესლს შენთვისაც და ჩემთვისაც.

ოქროჩალვრილ ლაჟვარდისფერ დღეებში ნოემბერი ერთმანეთს უზავებს ზამთარსა და ზაფხულს. მზე იკბინება. ადამიანებს ძარღვები სისხლით გატიკნილი წურბელებივით ებერებათ, ებურცებათ, ულურჯდებათ. უკაცრიელ, წყნარ, თეთრ ქუჩებში მხარზე მოგდებული თავისი რუხი ფუთით ჩაივლის ფართლეულით მოვაჭრე ლამანჩელი; ბრჭყვიალა ნივთებით დატვირთული ლუსენელი მეწვრილმანე თითქოს ყვითელ შუქს ეზიდება. დროდადრო ჩამოჰკრავს გონგს, რომელიც ყოველ შეტოკებაზე მზის სხივს ისხლებს. კალათის სიმძიმით წელში გახრილ გოგოს მეორე ხელში ნახშირი ჩაუბდუჯავს. მოდის, კირით შეთეთრებული კედლის გაყოლებაზე წელა ავლებს მსხვილ ზოლს, თან გრძნობამიტანებით განელილად გაყვირის: „მოხალუული კედრის თეესლი!“

შეყვარებულები ზღურბლთან წყვილ-წყვილად აკ-ნატუნებენ კედრის თესლს და ცეცხლოვანი ღიმილით ერთმანეთს უწვდიან მსხვილ-მსხვილ გულებს. ბავშვები სკოლის კართან ქვით ამტვრევენ თესლს... მაგონდება, ჩემს ბიჭობაში ზამთრის საღამოებში წყაროებისკენ, მარიანოს ფორთოხლის ბალისკენ რომ გავწევდით ხოლმე, ცხვირსახოცით წავიძლვანიებდით მოხალულ კედრის თესლს. და ჩემი ერთადერთი ოცნება იყო, მის გასარჩევად ჯაყვა მქონოდა, სადაფისტარიანი, თევზის მოყვანილობის ჯაყვა ბადახშის ორი თვალით, რომლებშიც გახედავდი და ეიფელის კოშკს დაინახავდი.

პლატერო, პირში რა კარგ გემოს ტოვებს მოხალუ-  
ლი კედრის თესლი! ძალას გმატებს, იმედს გაძლევს!  
ცივ ზამთარში მზეს მიეფიცხე თითქოს, ანდა ურყევ  
ძეგლად იქეცი თითქოს. აკნატუნებ კედრის თესლს  
და სულაც აღარ გამძიმებს ზამთრის პალტო. ისე  
ლალად მიაბიჯებ, გეგონება, ლეონისთვის ან მედროგე  
ბიჭისთვის, მანკიტოსთვის, გადაგენიოს ხელი.



## გაჟერული ხარი

პლატერო და მე ფორთოხლის ბაღებს რომ მივადექით, მრუმეში ჩაძირული ხევი გადათეთრებული იყო ლომისკბილას შეთრთვილული ჯაგებით. მზეს ოქ-რო ჯერ არ შეერია ცის მკრთალი და უფერული ციალისთვის. მუხნარით დაფარული გორაკი იკვეთებოდა ცის ფონზე. კურდლიცოცხას ეკალბარდებიც კი ჩანდა... დროდადრო მოისმოდა შრიალი, ტლაშუნი. მაღლა ავიხედე. შოშიები ბრუნდებოდნენ ზეთისხილის ჭალებში, დიდ-დიდ გუნდებად ირაოს სცემდნენ...

ხელი ხელს შემოვკარი... ექო... ეპეი!.. არავინაა... უეცარი ზათქი და დგრიალი... გული ამოვარდნაზე მაქვს რაღაც უსაშეველოს მოლოდინში. ბებერ ლელვს მოვეფარე პლატეროიანად.

აი, აგერაა! მურეშა ხარი, ბატონ-პატრონი გან-თიადისა, გეშს იღებს, ბუბუნებს, გზად რასაც წაანყდება, ანგრევს, აქცევს, ამხობს. წამით შეჩერდა გორაკზე და მთელი ველი ცის კიდემდე შეძრა შემზარავმა ბლავილმა. შოშიები არ დამფრთხალან, უივილ-ხივილით დაფრენენ ახლა უკვე შევარდისფრებულ ცაში და მათი ურიამული ახშობს ჩემი გულის ბაგაბუგს.

მტვრის ბუქი სპილენძისფრად შეფერა ოდნავ ამონ-ვერილმა მზემ. ხარმა კურდლიცოცხას ჯაგებში გზა გაიკვლია მორევისკენ. წყალს დაეწაფა. გავეშებული, შმაგი, თვით ამ დიდ ველზე უდიადესი, აიჭრა ფერდობზე. რქებზე შერჩენოდა ვაზის ჩამოყეფილი ლერწები. მაღლარი ტყისკენ გაუტია. თვალი მივატანე, მაგრამ დამეკარგა ალიონის თვალისმომჭრელ ნათებაში, ახლა უკვე ბაჯაღლო ოქროსავით გაჩაღებულში.

## ნოემბრის იდილია

შეღამებისას, შინ რომ ვბრუნდებით, ბინდბუნდში  
პლატერო ლამის აღარც კი ჩანს ზურგზე ჩამოტოტვილ  
სიმწვანეში. ეს მსუბუქი ტვირთია, ფიჭვის ჩამონალენი  
ჯოყრებია ბუხრისთვის. დადის გახშირებული მოკლე-  
მოკლე ნაბიჯებით, მავთულზე გასული ცირკის მუ-  
შაითივით, თანაც ისე ცქვიტად და შნოიანად, გეგონე-  
ბა თამაშობდეს, თავს იქცევდეს და წინ არც კი  
მიიწევდეს. ლოკოკინა რომ ორ საცეცს გამოაშვერს  
ზურგზე წამოკიდებული თავისი სახლაკიდან, ასე  
მოუჩანს დაცქვეტილი ყურები.

მწვანე რტოები, სწორედ ის ლორთქო რტოები, იქ,  
მაღლა ყველაფერი რომ ჰქონდათ – მზეც, ტოროლე-  
ბიც, ქარიც, მთვარეცა და ყორნებიც (ჰო, პლატერო,  
რას იზამ, – ყორნებიც!), – ახლა ეს რტოები საღამოს  
ბინდში საცოდავად ეთრევა მტვრიან ბილიკებზე.

სიცივეშეპარული მოწითალო სინაზე ნიმბივით  
თავს ევლება ზამთრისპირზე მინდორ-ველებს. და,  
შარშანდელის არ იყოს, პლატეროც თავისი თვინიე-  
რებითა და თავისი ტვირთით ღვთაებრივია თითქოს...



## თემრი ჟავაში

დარდი შემომაწვა, პლატერო, დარდი... ყვავილების ქუჩაზე, ზედ თაღთან, სწორედ იმ ადგილას, სადაც მეხი დაეცა ტყუპ ძმებს, მკვდარი ეგდო ყრუანჩალა სორდოს თეთრი ფაშატი. ტიტლიკანა პატარა გოგოები ჩუმად უვლიდნენ გარს.

პურიტამ, თერძმა, ჩაიარა და მითხვა, ამ დილას ყრუანჩალამ ფაშატი სასაკლაოზე მიიყვანა, ვეღარ აუთავდა, მობეზრდა მისი შენახვაო. ეჱ, შენ კი იცი, ეგ საცოდავი ცხენი ბეხრევი იყო, ჯაგლაგი და გამოუსადეგარი. მოკლედ, დონ ხულიანივით იყო. ვეღარც ხედავდა, აღარც ეყურებოდა, ძლივს დაჯაგჯაგებდა... შუადლისას ცხენი ისევ კარზე მისდგომია პატრონს. გალიზიანებული სორდო ჭი-გოს დასჯავებურებია და უსვრია. არც განძრეულა თურმე. მაშინ ნამგალი მოუქნევია. ხალხი შეყრილა. უყვიროდნენ, დასცინოდნენ თურმე. და ამ ღრიანცელ-ში ცხენი აღმა აპყოლია ქუჩას. ირყეოდა და ბორძიკობდა თურმე. ბავშვები უივილ-ხივილით და ქვების სროლით ასდევნებიან... როგორც იქნა, წაქცეულა და ბოლო მოუღიათ მისთვის. ვიღაცას შესცოდებია კიდეც, – „აცალეთ მშვიდად სიკვდილიო“, – გაისმა თურმე. გეგონება, შენ და მე ვყოფილიყავით იქ, პლატერო. გრიგალში ნაზი პეპლის ფარფატს ემგვანებოდა ეს სიბრალული.

მე რომ მივედი, ქვები ეყარა მის გვერდით და ცხენი უკვე იმ ქვებივით ცივი იყო. ცალი თვალი ფართოდ გახელილი დარჩენოდა და ახლა მკვდარი თითქოს ხედავდა დავსებული თვალით. მწუხრის ცივი და მონმენდილი ცა ვარდისფერი ღრუბლის ფთილებით იფარებოდა. ქუჩის სიბნელეში ფაშატის სითეთრეს შერჩენოდა ნათლის სხივი...

## მჩხავანა პატები

პლატერო, მართლაც რა კარგად აეწყო ყველაფერი! მოთეთრო-მოვარდისფრო კაბაში გამოწყობილ დონა კა-მილას უჭირავს გრძელი ჯოხი და გამრავლების ცხრილს აზუთხვინებს გოჭს. ეშმაკს ცალ ხელში დაჩუტული ტიკი ჩაუბლუჯავს, მეორე – გულის ჯიბეში ჩაუცურებია პატარძლისთვის და საფულეს აცლის. დარწმუნებული ვარ, ეს თოჯინები მამლაყინნა პეპეს და მოახლე გოგოს, კონჩას, ნახელავია. ჩემგანაც წაიღეს რაღაც წვრილმანები. წინ მოუძღვით მღვდლად გადაცმული პეპიტო; შავ ჩოჩორზეა შემოსკუპული, ხელში ბაირალი უჭირავს. უკან მოჰყვებიან გოგო-ბიჭები ენმედიოს ქუჩიდან, წყაროსქუჩელები, მეეტლეთუბნელები, ბავშვები ნოტარიუსის მოედნიდან, პედრო ტელიოს შუკიდან. მოდიან სავსე მთვარით განათებულ ქუჩებში და შენწყობილად მოარაჩუნებენ თუნუქის ქილებს, ეჯვნებს, ტაფებს, ქვასანაყებს, კარდლებს.

მოგეხსენება, პლატერო, დონა კამილა სამჯერაა დაქვრივებული და თანაც სამოცსაა გადაცილებული. კარგადიცი, „ეშმაკიც“ ქვრივია. მართალია, დაქვრივება მხოლოდ ერთხელ მოასწრო, მაგრამ სამაგიეროდ სამოცდაათ რთველს მოესწრო. ამაღამ თავის სახლში შეკეტილი ამას ყველაფერს ფანჯრებიდან თავისი თვალით დაინახავს და თავისი ყურით გაიგონებს; იკლიკანტურად, სცენებითა და სიმღერებით შეიტყობს თავის ამბავსაც და თავისი საპატარძლოს ამბავსაც.

პლატერო, სამ დღეს გასტანს „მჩხავანა კატების“ ზარ-ზეიმი. მერე კი პატარა მოედანზე გამართულ საკურთხეველთან, სადაც განათებული თოჯინების ირგვლივ მთვრალები იცუნდრუკებენ, მივლენ მეზობლის ქალები, თავ-თავიანთ ძველმანებსა და ჭურჭელს დაავლებენ ხელს და სათითაოდ გაიკრიფებიან. მერე რამდენიმე ლამე კიდევ შემოათენდებათ ბავშვებს ურიამულში. ბოლოს მარტოდმარტო დარჩება სავსე მთვარე და სიმღერა...

## ბომბი

შეხედე, პლატერო, ამ ქალს შეხედე, აგერ, ქვევით სპილენძისფრად მბზინავ მზეში რომ მოაბიჯებს წელში გამართული, თავაწეული, შილიფად ჩაცმული, ზედაც რომ არ უყურებს არავის... მიმქრალ სილამაზეს რა კარგად იფერებს... ბედაური ქალია, ისევ კოხტაა, ისევ მუხასავით ტანადია; ამ შუა ზამთარში ყვითელი თავ-შალი რა შნოიანად გაუკრავს წელზე, რა მოხდენილად მოარხევს თეთრით მონინნ კლულ ფურჩლებიან ცის-ფერ ქვედაკაბას. მერიისკენ მიიჩქარის, ნებართვა უნდა გამოითხოვოს, რომ ადრინდულად სასაფლაოს გადალმა დაბანაკვდნენ. შენ კი გემახსოვრება ბოშათა ჩალეხებული კარვები, კოცონები, თვალისმომჭრელი ქალები, ილაჯგანყვეტილი ვირები, გადამხმარ ბალახს რომ წინენიან ხოლმე.

აქაური ვირები, ფრიზეტას დიდყურა ჩვენებურები, უკვე დაფრთხენენ და აცახცახდნენ, ქვევით, შემორაგვულში, იგრძნეს ბოშების გამოჩენა. გული საგულეს მაქვს, მშვიდად ვარ. პლატეროს გომურამდე სანამ მოაღწევენ, ნახევარი ქალაქი უნდა გადაიჩაქჩაონ. მერე კიდევ, რენხელს, დარაჯს, მეც ვუყვარვარ და პლატერო ხომ უყვარს და უყვარს. მაგრამ პლატეროს ყასიდად მაინც ვუთხარი შეფიქრიანებული და დარდიანი იერით:

— შემოდი, პლატერო, შემოდი! უნდა ჩაგამწყვდიო, ჭიშკარი უნდა ჩავრაზო, თორემ წაგიყვანენ!

პლატერო, გულმოცემული და დაიმედებული, რომ ბოშები ვერ მოიტაცებენ, შემოქანდა ეზოში. რკინის ალაყაფირაჩეულით ჩაიხურა მის უკან. პლატერო შეხტა, შეიკუნტრუშა, მარმარილოთი მოფილული ეზოდან გაექანა ყვავილნარისკენ, იქიდან კი ისარივით გაიჭრა გომურისკენ და, — მაგ მოუხეშავმა, მაგ ტლანქმა, მაგან! — გადაჯეგა ხვართქლას ლურჯი ყვავილები.

## ცეცხლი

ახლოს მოდი, პლატერო, მოდი, მოჩოჩდი... რა დროს ზრდილობა და მორიდებაა. მასპინძლისთვის ბედნიერებაა შენს სიახლოვეს ყოფნა... იმიტომ, რომ შენიანია, შენი შენთაგანია. ალის, მის ძაღლსაც, მშვენივრად იცი, უყვარხარ, მეტი რაღა გითხრა, პლატერო... როგორ ეციება ფორთოხლის ბალში! რაპოსომ რომ ჩაილაპარაკა, ხომ გაიგონე, – „დმერთმა ნუ ქნას, რომ ამაღამ ყინვამ ბევრი ძირი ფორთოხალი მოთუთქოს“.

– ხომ მოგწონს ცეცხლი, პლატერო? არა მგონია, რომელიმე შიშველი ქალის სხეული იყოს მოგიზგიზე ალივით მწველი. რომელი ჩამოშლილი თმა, რომელი მკლავები, რომელი შხვართი ფეხები შეედრება ამ ცეცხლოვან სიშიშვლეს?! მადლიან ბუნებას ალბათ ცეცხლზე უკეთესი არაფერი შეუქმნია ამ სამზეოზე. სახლის კარი მიკეტილია და გარეთ მარტოა დარჩენილი ღამე. და მაინც რამდენად ახლოს, თვით იმ მინდორზე უფრო ახლოსაც კი ვართ ბუნებასთან, როცა ამ ფანჯრიდან, პლუტონის საბრძანებელში შეღებული ამ სარკმლიდან, თვალს მოვატარებთ მინდორს. ცეცხლი მთელი სამყაროა, სახლში მომწყვდეული; ჭრილობიდან გადმომსკდარი სისხლის ნაკადივით წითელია და შეუჩერებელი; გვათბობს, ფოლადის სიმტკიცეს გვმატებს, ჩვენში ჩაბუდებულ უხსოვარ ყივილს სისხლისას გვიახლებს.

პლატერო, რა მშვენიერია ცეცხლი! როგორ ღადლადებს! შეხე, დარაჯის ძაღლი ლამის შეიტრუსოს, ისეა მონუსხული, ისე მისჩერებია ცეცხლს თავისი ფართოდ გახელილი ცოცხალი თვალებით. რა სისარულია! ფერხულში ვართ ჩაბმული, ოქროსა და ჩრდილების ფერხულში. მთელი სახლი აცეკვებულია, ხან პატარავდება, ხან დიდდება, თავაწყვეტილი თა-

მაშითაა ატანილი, მობუქნავე რუსებივითაა სახლი. ათასგვარი ფორმები იბადება ცეცხლის მშვენიერ უსასრულობაში: რტოები თუ ჩიტუნები, ლომი თუ წყალი, მთა თუ ვარდი. შეხე, უნებურად ჩვენც ვცეკვავთ, ვცეკვავთ კედელზე, იატაკზე, ჭერზე.

რა სიშმაგეა, რა გახელება, რა ნეტარება! თვით სიყვარულიც კი სიკვდილივითაა ცეცხლთან შედარებით, ჩემო პლატერო.



## გამოჯანსაღება

საავადმყოფოში, ნოხებით მოგებულ ჩემს ოთახში, ყვითელი სინათლე ბუტავს. ჩაბნელებული ქუჩიდან მომესმის გოგო-ბიჭების წიოკი. მინდვრებიდან დაბრუნებულ უსაპალნო ვირებს ერეკებიან და ასე მგონია, რომ ეს ხდება ვარსკვლავებიან ნოტიო ღამეში, ხდება სიზმრად.

ბავშვების პანია კოხტა თავებს შორის კარგად ვარჩევ ვირუკების ჩამუქებულ დიდ თავებს. ისმის ყროყინი, სიმღერა, ხმაში ბროლ-ვერცხლის ნკრიალი, საშობაო სიმღერები. პაერში დატრიალდა კერიასთან მყუდროდ შემოჯარული ჯალაბის სუნთქვა, მოხალული წაბლის და თავლის სუნი.

და ჩემი სული თითქოს შეგუბდა, გადმოიღვარა, დაწდა, დაიწმინდა. თითქოს კლდიდან გადმომსკდარი ღვთაებრივი წყარო ჩაიღვარა გულის ბნელ სიღრმეში. გამომჯობინების ღამეა! ჟამია მარტოობისა. სიგრილთბილეა ერთსა და იმავ დროს. მარადიული ნათლით გასხივოსნების ჟამია!

ზარები სულ ზევით, მაღლა, ვარსკვლავებს შორის რეკავენ. ეს ყველაფერი პლატერომ იგრძნო და ყროყინებს თავის გომურში. ცა თითქოს უფრო ახლოსაა, ვიდრე გომური... და მე ვტირი – გაფაქიზებული, გრძნობამორეული, ფაუსტივით მარტოსული...



## ბმსრეპი ვირი

„და ეგ ნათრევი ჯაგლაგი  
ფეხზედგომელა კვდებოდა...“  
(ქალაქისთავის შავრა ცხენი -  
ესპანური ხალხური სიმღერა).

არ ვიცი, პლატერო, აქედან როგორ მოვიცვალო  
ფეხი. ვინ დააგდო ეგ საცოდავი ასე უპატრონოდ?

სანაგვიდან თუ გამოაღწია. მგონი, ვერც გვხედავს  
და არც ხმა ეყურება ჩვენი. ამ დილითაც ვნახე,  
სწორედ ამ ბორცვზე იდგა თეთრი ქულა ღრუბლების  
ქვეშ. გაძვალტყავებულსა და გაქუცულს ალაგ-ალაგ  
მოფუთფუთე ცოცხალი კუნძულებივით შესეოდნენ  
ბუზები. მზემ გამოანათა და ეს შემზარავი სანახაობა  
ვერ ეთავსებოდა ზამთრის შუქიანი დღის მშვენებას.  
ძლივს შებრუნდა. ოთხივე ტოტით კოჭლობდა. გეზი  
ჰქონდა დაკარგული და ისევ შემობრუნდა იმავე  
ადგილას. სხვა ვერაფერი შეიძლო, მხარი იცვალა  
მხოლოდ. დილას დასავლეთისკენ იყო მიბრუნებული,  
ახლა აღმოსავლეთისკენ აქვს პირი მიქცეული.

ეჰ, ჩემო პლატერო, ნამდვილი ბორკილია სიბერე!  
აგერ შენი საწყალი მოძმე, თავისუფალი და თან  
დაბორკილი. რომც გამოზაფხულებულიყო, მაგას მა-  
ინც ვერაფერში წაადგებოდა. ეგებ უკვე მკვდარია  
და მაინც ფეხზე დგას? მისი ლანდი ისე იკვეთება  
შეღამების ცაზე, რომ პატარა ბალღმა ეგებ დაიჟინოს  
კიდეც, – შემომახაზინეთო.

ხომ ხედავ... მინდოდა წამებიძგებინა, წავშვე-  
ლებოდი. არც შენძრეულა... ვერც შესაგულიანებელი  
შეძახილები გავაგონე... თითქოს მიწას ჩასთესლებია  
და ჩაზრდია სულთმობრძავი.

პლატერო, ამაღამ ვერ გაატანს... ზენა ქარი იცის...  
სიცივით მოკვდება ამ გორაკზე... არ ვიცი, როგორ  
მივატოვო. არ ვიცი, რა ვქნა, პლატერო...

## ალიონი

ზამთრის ნაგვიანევი ალიონია. ძნელად თენდება. ფხიზელი მამლები შევარდისფრებულ რიურაჟს ბრეკით და რიხით ესალმებიან. ძილით გამობრუჟული პლატერო მთელი ძალით ყროყინებს. შორიდან რა საამური მოსასმენია მისი გაღვიძება, თანაც როცა ზეციური ნათელი ატანს საწოლი ოთახის ჭუჭრუტანებში. მასარებს დღე და ჩემს თბილ ლოგინში ვფიქრობ მზეზე.

და ვფიქრობ, ნეტა რა ეშველებოდა საწყალ პლატეროს, ჩემთან, პოეტთან, რომ არ მოხვედრილიყო და ხელში ჩავარდნოდა ერთ-ერთ მენახშირეთაგანს, რომლებიც ლამლამობით უკაცრიელ მოლიპულ გზებს ადგანან, რათა მთებიდან ჩამოზიდონ ნაპარავი ფიჭვები; ანდა, რა ეშველებოდა, ხელში რომ ჩავარდნოდა რომელიმე ბოშას, ჩამოკონკილსა და გაზიზნილს. ისინი ჭრელაჭრულად დებავენ ვირებს, თაგვის ნამალს ურევენ საჭმელში და ქინძისთავს უყრიან ყურში, რომ არ გაოჩნდეს.

პლატერომ ისევ დაიყროყინა. ნეტა თუ იცის, რომ მასზე ვფიქრობ? რა მენაღვლება? განთიადის ამ მოალერსე სინაზეში პლატეროზე ფიქრი ისევე მახარებს, როგორც თვით გათენება. ღვთის მადლით, პლატეროს აქვს გომური – აკვანივით თბილი და ჩემი ფიქრივით მყუდრო.



## ყვავილები

დედაჩემს

დედაჩემა მითხრა, მომაკვდავ დედა ტერეზას ყვავილები ელანდებოდა თურმე. ჩემი ბავშვობის ოცნებებიდან გამოყოლილი ფერად-ფერადი ვარსკვ-ლავების გამო თუა, პლატერო, რომ, ასე მგონია, მას ვარდისფერი, ცისფერი და იისფერი ზიზილები ეჩვენებოდა.

დედა ტერეზას ვხედავ ხოლმე შიდაეზოს ტიხრებიანი კარის ნაირფერი შუშების მიღმა. კარს იქით მზე და მთვარე ლურჯია ან წითელი. მზე ყოველთვის საგულდაგულოდაა გადმოხრილი ქოთნებში გახარებულ ცისფერ ყვავილებზე ან თეთრ ყვავილთა კვლებზე. დედა ტერეზას ზმანება უცვლელად მეცხადება აგვისტოს ხვატსა თუ სექტემბრის თავსხმაში. თავს განზე აბრუნებს, სახეს არასდროს მიჩვენებს. ეს იმიტომ, რომ არ მახსოვს მისი სახე.

დედამ მითხრა, მომაკვდავი თურმე უხმობდა ვი-ლაც უჩინარ მებალეს, მას, ვინც ზიზილებით მოფენილ ბილიკზე ალერსით წაუძღვებოდა. ამ ბილიკითვე ბრუნდება იგი ჩემთან, ცოცხლდება ჩემს მოგონებებში. დედა ტერეზას სიყვარული ისე სათუთად შემოვინახე გულში, როგორც მისი საყვარელი წვრილი ყვავილებით მოჩითულ სიფრიფანა აბრეშუმში. ეს ყვავილები თავჩაკიდებული გვირილებისა და ჩემი ბავშვობის ციცინათელების დები არიან.



## შობა

მინდორში სანთელივით ანთია ცეცხლი!.. შობის კვირაძალია. მიმქრალი მზე ძლივსლა ბუტავს უღრუბლო ცრიატ ცაში, რომელიც ლურჯი კი არა, – ნაცრისფერია და დასავლეთისკენ შემღვრეული სიყვითლე დაჰკრავს... უცებ გაისმა ალმოდებული ნედლი ტოტების ტკაცუნი. მერე ავარდა სქელი კვამლი, ყარყუმივით თეთრი; ბოლოს ალმა გამოანათა, გამოაღწია, გაფანტა ბოლი და სივრცეს შეუკიდა ცეცხლის ელვარედა მოუხელობელი ენები, რომლებიც თითქოს ლოკავდნენ ჰაერს.

საოცრებაა ცეცხლი ქარში! ვარდისფერი, ყვითელი, იისფერი, ლურჯი აჩრდილები რიალებენ, თითქოს ბურლავენ დაბლა ჩამოხურულ იდუმალ ცას, სადლაც ინთქმებიან და ამ სიცივეში ალმურის სუნს ტოვებენ! დეკემბრის სუსხში შეთბა ველ-მინდორი! ზამთარმა მოგვიალერსა, მოგვესიყვარულა თითქოს. ბედნიერებო, შობის კვირაძალია!

საკმელის ჩირგვები თითქოს გალლვა. გავარვარებული ჰაერის ჭავლს იქით თრთის ხასხასა და კრიალა მიდამო, თითქოს ბროლი ლივლივებდეს ჰაერში. მოიჯარე გლეხის ბეჩავი და გაუხარელი ბავშვები, რომელთაც არა აქვთ შობის ზეიმი, გარს უვლიან კოცონს, ეფიცხებიან, გათოშილ ხელებს ითბობენ, თან ღადარში ყრიან რკოსა და წაბლს, რომლებიც იპრაწებიან და ხმაურით სკდებიან.

ბავშვები თანდათან ეშხში შედიან, ხალისობენ, ახტებიან ცეცხლს, რომელსაც დაღამებასთან ერთად სიწითლე ემატება, და მღერიან:

„გ ზას გავუდგეთ, მარიამ,  
გ ზას გავუდგეთ, იოსებ...“

ბლატერო ახლოს მიმყავს და ერთხანს ვტოვებ, რომ ბავშვებს ეთამაშოს.

## სანაპირო ქუჩა

აქ დავიბადე, პლატერო, ახლა რომ სამოქალაქო გვარდიაა დაბანაკებული, სწორედ ამ დიდ სახლში. როგორ მიყვარდა ბავშვობაში და რა დიდებული მეგონა ოსტატ გარფიას მოხარატებული მავრული ყაიდის ეგ საცოდავი აივანი თავისი ფერადი შუშის ვარსკვლავებიანად! ალაყაფის ცხაურიდან გახედე, პლატერო, ისევ ხარობს თეთრი და მოიისფრო იასამნები; ცისფერი კენკეშა შემოჰკვევია შიდაეზოს სილრმეში უამთა სვლისაგან ჩაშავებულ მესერს. ამ მესერზე ძრომიალი ხომ ნეტარება იყო ჩემს ბიჭობაში.

პლატერო, ყვავილების ქუჩის მოსახვევში საღა-მოობით თავს იყრიდნენ ლურჯი მაუდის ტანსაცმელში გამოწყობილი მეზღვაურები. იდგნენ ჯგუფ-ჯგუფად, როგორც სათიბში თივის ბულულები ოქტომბერში. რომ ვიხსენებ, გოლიათები მეგონენ. მეზღვაურთა ჩვეულებისამებრ, გაბოტილები იდგნენ. განზე გაბი-ჯებულ მათ ფეხებშუა ვხედავდი დაბლა, მდინარის მოლაპლაპე ნაკადის გაყოლებით, დაწრეტილი თავ-თხელის მოყვითალო ზოლს; ვხედავდი გვიანობამდე შემორჩენილ ნავს მდინარის გვერდითა ტოტში, ნით-ლად აჭიატებულ ღრუბლის ფთილებს დასავლეთის ცაზე... მერე მამაჩემმა ნუევას ქუჩაზე გადასვლა არჩია, რადგან მეზღვაურები სულ დანებს ატრიალებდნენ, რადგან ბიჭები ყოველდამ ამტვრევდნენ წინკარის ფარანს და აფუჭებდნენ ზარს, და... რადგან მოსახვევში ქარი იცოდა.

აივანი ზღვას გაჰყურებდა. რა დამავიწყებს იმ ღამეს, ცნობისწადილით ატანილი და აფორიაქებული ბავშვები ზევით რომ აგვიყვანეს და დაგვანახეს, თავთხელზე როგორ იწვოდა და იფერფლებოდა ინგ-ლისური ხომალდი.

## გამთარი

როგორც იციან ხოლმე თქმა, ბროლის პალატებში განისვენებს დღეს ღმერთი. მოკლედ: კოკისპირულად წვიმს. შემოდგომიდან შემორჩენილი ნაბოლარა ყვავილები ალმასის წვეთებით ჩამომძიმებულან და თავს ძლივს იმაგრებენ შემღრალ ღეროებზე. ყოველ მათგანში ცაა, ბროლის პალატებია, ღმერთია. აბა ერთი, დააკვირდი, ამ ვარდშიწვიმის წვეთი ციმციმებს და, თუ შეარხევ, შეხე, ძირს ეცემა გამჭვირვალე ყვავილი. ეს ვარდის სულია, ჩუმი და ჩემსავით სევდიანი.

წყალიც ხომ მზესავით სახალისოა! აბა, ტყუილად კი არ ტყაპუნობენ შიგ ფეხშიშველა გოგო-ბიჭები. შეხე, როგორ დასწითლებიათ ლოყები, რა ბედნიერები არიან. დარბონის, შენი მკურნალის თქმისა არ იყოს, სუროს რომ უივილ-ხივილით შეესვიან ბეღურები, ასე იციან ბალლებმაც.

თავსხმაა. დღეს შინ დავრჩეთ, ვიყოთ და ვათვალიეროთ არემარე. შეხე, როგორ თუხთუხებს და ბობოქრობს საწვიმარი ღარი, როგორ ჩამოირეცხნენ აკაციები; მთლად ჩაშავებულები ახლა გამოიქროსფერდნენ. ხედავ, გუბეში ღუზა აუშვია ქალალდის გემს. გახსოვს, გუშინ ბალახის წბილამ რომ შეაფერხა. გახედე, მზის გამონათებაზე, რა ლამაზი ცისარტყელა შემოირკალა ეკლესიის იქით და აგერ აქ, ჩვენ გვერდით, მქრქალდება მისი შვიდფეროვნება.



## ვირის ოძე

დეკემბრის სუსხიანი დილის სიჩუმეში ისმის ფეხაჩქარებული მგზავრების ხველება და ქსუტუნი. ქალაქის მეორე კიდიდან ქარმა მოიყოლა წირვის ზარების რეკვა. შვიდი საათის რეისმა ცარიელმა ჩაიარა... ისევ მაღვიძებს გისოსების შეჯანჯლარება... ბრუტიანმა, ეტყობა, ახლაც ისევ ჩემი ფანჯრის გისოსზე დააპა თავისი ჭაკი ვირი.

მუცელზე მიხუტებული ტოლჩებით არბიან და ჩარბიან მერძევე დედაკაცები, ამ ქარსა და სიცივეში გაყვირიან, აქებენ თავ-თავიანთ თეთრ განძს. ეს რძე კი, ბრმა რომ ჩამოწველის ხოლმე თავის ვირს, მისწრებაა გაციებულზე.

ცხადია, ბრმა იმის ბრმაა, რომ ვერ ამჩნევს თავისი ვირის დაჩაჩანაკებას. ეგ კი არა, იმასაც ვერ ხედავს, დღითი დღე, ყოველ წუთს, ყოველ წამს, ვირს როგორ ეღება ბოლო. ეგ საცოდავი თავისი პატრონის დავსებულ თვალსა ჰგავს.. ერთ საღამოს პლატეროს-თან ერთად ვტრუნდებოდი და, ის იყო, მოჩვენებათა ხევი გადმოვიარეთ რომ, ბრმა შემოგვეყარა. ხან ერთი, ხან მეორე მხრიდან გამეტებით ურტყამდა სახრეს საცოდავ ვირს. ის კი ძლივს მოჩაქჩაქებდა, ლამის ჩამჯდარიყო ნოტიონ ბალახში. მოქნეული სახრე ხან ფორთოხლის ძირებს ხვდებოდა, ხან წყლის საქაჩავ ბორბალს, ხან ჰაერში წუოდა. მაგრამ დარტყმაზე უარესი იყო მისი წყველა, რომელსაც სიმკვრივე რომ ჰქონდა, ციხესიმაგრის ბურჯსაც კი ჩამოაქცევდა. საწყალ ბეხრევ ვირს მობეზრებოდა ამდენი დამაკება, ბედს გასძალიანებოდა და სხვა ვირის ნაბოძები კეთილმოსურნეობის ნიშანი, მიწაზე დასაღვრელად გაემეტებინა ონანასავით... ბრმას თავისი მზებნელი და ულხინებელი ცხოვრება იმით გაჰქონდა, რომ მოხუცებს

გროშებად, ლამის მუქთად, ან სულაც ნისიად აძლევდა  
პატარა ჩოჩრების სანუკვარი ნექტრის რამდენიმე  
ყლუპს. პატრონს უნდოდა, ვირს გაეძლო, ნაყოფიერი  
ყოფილიყო, უებარი წამალი დიდხანს შერჩენოდა.

აი, ახლა აგერაა ეგ ვირი და თავისი გაქუცული  
კანით ჩემი ფანჯრის გისოსებს ექექება ეგ საწყალი  
აფთიაქარი, რომელმაც როგორმე ზამთარი უნდა  
გაატანინოს წეკოს მწეველ ბერიკაცებს, ჭლექიანებს,  
ლოთებს...



## საგანსეილი ღამე

დაკბილული თეთრი სახურავები იკვეთება  
ვარსკვლავებით გაჩირალდნებულ ცივ და ხალისიან  
ცაზე. ზენა ქარია, ჩუმი, მოალერსე, თანაც მძაფრი და  
ძლიერი.

— ადამიანებს ჰგონიათ, რომ ცივა და სახლებში  
შეყუულან. ჩვენ, პლატერო, ვიყიალებთ დაცა-  
რიელებულ ქუჩებში: შენ — შენი ბეწვისა და ჩემი  
მოსასხამის ამარა, მე კი — ჩემი სულის ანაბარა.

შიგნიდან რაღაც ძალა შემომენთება, წამომმარ-  
თავს, თითქოს გოხებით ნაგები კოშკი ვიყო, ვერცხ-  
ლით შემოსალტული. ახედე, რამდენი ვარსკვლავია!  
იმდენია, რომ რეტი დაგესხმება! ამბობენ, ცა ბავშ-  
ვების საუფლოაო და ღვთაებრივი სიყვარულით  
გულანთებული პატარები იქ, ზეცაში, მხურვალედ  
ლოცულობენო მიწისთვის.

პლატერო, ჩემო პლატერო! სიცოცხლეს დავთმობ-  
დი და შენც ხომ დათმობდი სიცოცხლეს იანვრის ამ  
ნათელი და სუსხიანი ღამის სიწმინდისთვის!



## ოხრახუმის გვირგვინი

— აბა, ვინ მიასწრებს!

გამარჯვებული დაჯილდოვდება სურათებიანი წიგნით, ამას წინათ ვენიდან რომ გამომიგზავნეს, იმ წიგნით.

— ვნახოთ, პირველი ვინ მიირბენს იებთან!.. ერთი... ორი... სამი!..

ყვითლად ბდდლვრიალა მზეში ურიამულით მოცუნცულებენ ფერვანი გოგოები. უეცრად სიჩუმეში, რომელიც ამ დილით უკვე შეძრა მათი გულების ბაგაბუგმა, გაისმა კოშკის საათის დინჯი რეკვა. ლურჯი ზამბახებით გადაბიბინებული მაღლარი ფიჭვნარიდან ჩამოალწია კოლოს ძლივსგასაგონმა წუილმა. წყალი შემოჩერიალდა არხში... გოგოებმა პირველივე ფორთოხლის ძირას მოიყარეს თავი. უქნარა პლატეროსაც აეშალა საღერლელი და კუნტრუშით გაერია ბავშვებში. გოგონებს წაგების შეეშინდათ და ვერც უარი მოახერხეს, ვერც — გაღიმება.

გოგოებს გავძახე: „პლატერო მოიგებს, პლატერო მოიგებს!“

ჰო, პლატერომ ყველას მიასწრო იებთან და მოჰყვა კუნტრუშს.

აქოშინებული გოგონები ბუზღლუნით ბრუნდებიან, ჩაჩაჩულ წინდებს ინევენ და განენილ თმებს ისწორებენ: „არაფერიც, არაფერიც, ეს არ ითვლება, არ ითვლება!“

გოგონებს ვუთხარი, რომ შეჯიბრში ნამდვილად გაიმარჯვა პლატერომ და, საცა სამართალია, რამენაირად უნდა დავაჯილდოვოთ. რაკი პლატერომ არ იცის კითხვა, წიგნი გოგოებს დარჩებათ სხვა შეჯიბრისთვის. ეს ძალიან კარგი, მაგრამ პლატეროს უთუოდ უნდა მივცეთ პრემია.

სახეალენილი გოგონები, უკვე დაიმედებულები, რომ სურათებიან წიგნს მათ ვერავინ შეეცილება, იცინიან, ხტუნავენ და გაიძახიან: „აბა, რა! აბა, რა!“

თავის შესაგულიანებლად ვფიქრობ: მე თუ მაძლევენ პრემიას ლექსებში, პლატეროც ხომ გაისარჯა და ნაღდად დაიმსახურა ჯილდო. და იქვე, მოიჯარე გლეხის ჭიშკართან, მოვგლიჯე რამდენიმე ძირი ოხრახუში, დავწანი გვირგვინი და გამარჯვებული ლაკედემონიელის მსგავსად თავზე ჩამოვაცვი პლატეროს ნიშნად სწრაფნარმავალი დიდებისა.



## მოგვი მაჟენი

საოცრებაა, პლატერო, ეს ღამე ბავშვებისთვის! შეუძლებელია ლოგინში მათი ჩაწვენა. ბოლოს პატარებს ძილმა მაინც წაართვა თავი... ერთს სავარდელში ჩაეძინა, მეორეს – იატაკზე, ბუხრის პირას; ბლანკას ჯორუოზე ჩასთვლიმა; პეპემ, მოგვების მობრძანება რომ არ გამოჰპარვოდა, კარის წირთხლს მიადო თავი და იქვე სკამზე მიიძინა. და ახლა აქ, როცა სიცოცხლის ჩქეფა ჩაწყნარდა, ბავშვების ძილში ერთი დიდი, მძლავრი და სიჯანსაღით გადავსებული გული ჯადოსნურად ფეთქავდა თითქოს.

ვახშმობამდე ყველანი ავედით მაღლა. სხვა დროს რომ შიშით ვერ ეკარებოდნენ ბნელ კიბეებს, ახლა გული მოიცეს და იყო ერთი ჩოჩქოლი. „პეპე, მე სულაც არ მეშინია სხვენზე ასვლა! შენ?“ – თქვა ბლანკამ და მაგრად ჩამჭიდა ხელი. ყველამ თავ-თავისი მაშია დატოვა აივანზე, ფორთოხლებთან. პლატერო, ახლა ჩვენ ყველანი – დეიდა, მარია-ტერეზა, ლოლილია, პერიკო, შენ და მე – გამოვეწყობით, გავეხვევით ზენრებში, საბნებში, ჩამოვიფხატავთ ძველებურ ქუდებს და ნაშუალამევს ამალასავით ჩავივლით ბავშვების ფანჯრებთან; ჩავივლით ნიღბებით, მაშალებით, ქვასანაყების ბრაგუნით, ბუკისა და ნაღარის დგერით. აი, განაპირა ოთახში რომ ლოკოკინას ნიუარა დევს, იმაზე გეუბნები, იმ ნაღარაზე. ჩვენ წინ ნავუძღვებით სხვებს. მე ვიქნები გასპარი\* და თეთრი ძენძი მექნება წვერად. შენ კი წინსაფარივით აგაფარებ კოლუმბიის დროშას, კონსულის, ჩემი ბიძის, სახლში რომ მივაკვლიეთ, იმას... უეცარი ხმაურით გაღვიძებული ბავშვები გამოფხიზლებასაც ვერ მოასწრებენ; რულმორეულები, ათრთოლებულები და გაოცებულები ღამის პერანგის ამარა მიაწყდებიან

\* მოგვ მეფეთაგან ერთ-ერთის სახელია.

სარკმლის მინებს. მერე ჩვენი ხატება გაჰყვება მათ  
გამთენისას სიზმრებში, გაჰყვებათ უფრო გვიანაც,  
როცა იტიალებს, როცა ცისფრად ინათებს სარკმლებში,  
როცა მოშილიფებულები გატანტალდებიან აივანზე და  
დაეპატრონებიან თავ-თავიანთ საუნჯეს.

შარშან ხომ ბევრი ვიცინეთ და ვიმხიარულეთ. აი,  
ნახავ, როგორ გავიხარებთ ამაღამაც, ჩემო პლატერო,  
ჩემო ჩოკინა, ჩემო კარგო.



## MONS-URIUM\*

ახლა მონტურიო ჰქვია. მოწითალო გორაკები, რომლებსაც შიგნიდან გამუდმებით თხრიან ქვიშით მოვაჭრენი, ზღვიდან რომ გამოხედავ, ოქროსი გეგონება. ამიტომაც შეარქვეს რომაელებმა ასეთი დიადი და საპატიო სახელი. ქარის წისქვილი აქედან უფრო ახლოა, ვიდრე სასაფლაოს შემოვლით. ყოველ ნაბიჯზე ნანგრევებია და გლეხები ვენახს რომ ბარავენ, მინაში პოულობენ ძვლებს, მონეტებს, თიხის ჯამ-ჭურჭელს.

მართალი გითხრა, პლატერო, კოლუმბი გულზე სულაც არ მეხატება. ეგებ მართლა გაჩერდა ჩვენს სახლში, ეგებ სანტა-კლარას ეკლესიაშიც ეზიარა, ეგებ მართლა მისი მომსწრეა ეს პალმა, ანდა ეს ფუნდუკი. ეგ ყველაფერი სასხვათაშორისო ამბებია. შენ კი იცი, როგორი ორი საჩუქარი მოგვართვა კოლუმბმა ამერიკიდან: თამბაქო და ათაშანგი. ვინ მიმაჩნია ჩემს საღ, ღონიერ ფესვად და... რომაელები, ისინი, ვინც შეადუღაბა ეს ციხესიმაგრე, რომლის დამანგრეველი წალკატი ან ურო ქვეყნად არ არსებობს. ეგ კი არა და, ციხის კედელში წეროს მოყვანილობის ფლუგერის ჩამაგრება სცადეს და ვერ შეძლეს, პლატერო...

რა დამავიწყებს იმ დღეს, ბავშვობაში პირველად რომ გავიგონე ეგ სიტყვა *Mons-Urium*. ამან იმ წამსვე ერთხელ და სამუდამოდ გააკეთილშობილა მონტურიო. ჩემი წყურვილი ამაღლებულისა, ასე ჩაკლული ჩემს საცოდავ ხალხში, ამ სასიამოვნო სიცრუეს ჩაეჭიდა. ვიღასი უნდა შემშურდეს? რომელ სიძველეს, ტაძრის ან ციხის რომელ ნანგრევს შეუძლია ასე დამიცვას ოცნებათა გაცრუებისგან? უეცრად აღმოვჩნდი შეუწონელი საუნჯის პირისპირ. მოგერი, ოქროს მთა! ერთ მშვენიერ დღეს მართლა ოქროსი იქნება, პლატერო! სიცოცხლეც ღირს და სიკვდილიც, ჩემო პლატერო!

\* Mons-Urium (ლათ. mons aureus) – ოქროს მთა.

## ღՅՈԵՐ

Ալագերո ჩյեմո, կո ցոտხարո, პյուրո մոցերոս և սյուլօնա-  
մետյո, մացրամ արա! մոցերո ծրողուս ցամքչուրվալլե  
գուգո սասմուսուզուտա դա մալլուգան նամոցրացնուլո  
լուրջո ցոս կը զի մուշո նլուս ցանմացլոնքանո ցլուս  
ոյշրոսուրո լցունուտ ավսեծաս. դագցեքա սյէլքիմծերո  
դա, շմբայմա տո ար ჩացամնարա ზեօմո, ցև սասմուսո ուս  
ցավսեծա լցունուտ, րոշորու ց լուլո - սոյցարուլուտ. դա  
ծարայիօնագ ցաժմուցունքա կուգուց.

Մուշո կալայիմո գուցեպյուլո լցունուս և սյունո ցցաս  
եռլմե դա մուշո կալայիս նյուրուալո ցայուգուս ծրողուզուտ.  
միջ տեցագ միջենուրեքագ ցարձայիմնեքա տոտյոս,  
միջ սուսելոս ոիշրուլցես դա լամոս մոյքտագ ցունա-  
նուլցես, րագցան տյուրո կալայիս ցամքչուրվալլե սուր-  
ցեշո տացոս ցամոմնպացլուց սումունցես. ჩամացալո  
միոս սենցո րոմ ցայցարեքա, ჩունո կալայիս պոցցելո  
յիշիս պոցցելո սաելոս, ցացոնքա, լցունոս ծուռու ոյոս  
- ենանուրո մոցելոս ան մոնարյուսուտոս ծարոս գութիյ  
շեմոցցմուլո.

Ծերներոս մուժունտացո նյարո ցամաեսենդա. ամ  
գուլոնիյ լումոնուսուրո պատուցու տոտյոս մայրուտա  
ցանացեպյուլո. ասեցեա մոցերո, նյարու ամուշետյուլո  
լցունո, րոմելու սուսելուզուտ պմալ ჩնդեքա պոցցել  
յիրուլոնքաստան դա մոցունքա պսասրուլուց. մոցերո  
նայացյուլոս սյէցանարյոցո սուսերուլուսա, րոմելու պ  
աշրունոս միոսա ար ոյոս, նյուլոնագմի յրութեցլ ամո-  
հաեհաեցեքա եռլմե ցանացեպյուլիյ, ჩասպուտ կո հաճոս  
պոցցել սալամոս.



## 0გავ-არაპი

ბავშვობიდანვე ისე მაშინებდა იგავ-არაკები, როგორც ეკლესია, უანდარმერია, ტორერო და აკორდეონი. საწყალი ცხოველები, უამრავ სისულელეს რომ ალაპარაკებენ მეიგავენი, ისევე მზარავდნენ, როგორც სკოლაში, ბუნებისმეტყველების კაბინეტში, საზარელ შუშის კარადებში გამოკეტილი აყროლებული ფიტულები. ცხოველების ნათქვამი ყოველი სიტყვა – ცხოველების კი არა, ვიღაც მოსაწყენი, ბუზღუნა, უამი კაცის ნათქვამი ყოველი სიტყვა – მაგონებდა ფიტულის შუშის თვალს, ფრთაში დატანებულ მავთულს ან ხელოვნური ტოტის საყრდენს. მოგვიანებით, როცა უელვასა და სევილიაში ცირკში ვნახე განვრთნილი ცხოველები, ბავშვობაში ნანახი საზარელი სიზმარივით შემახსენა თავი სკოლასთან, სიგელებთან და საკლასო დავალებებთან ერთად მივიწყებულმა იგავმა.

უკვე მოწიფულობაში, პლატერო, ერთმა მეიგავემ, უან დე ლაფონტენმა, – გემახსოვრება, მითქვამს, წამიკითხავს კიდეც შენთვის, – შემაჩვია მოლაპარაკე ცხოველებს. მისი ლექსი ზოგჯერ მართლა ჭილყვავის, მტრედისა თუ თხის ნათქვამი მეგონა. მაგრამ ჩემს დღეში არ წამიკითხავს შეგონება, გაპუტულ-გატრუსული გაფშეკილი კუდივით რომ ერთვის იგავს.

ცხადია, პლატერო, შენ არა ხარ ვირი ამ სიტყვის ჩვეულებრივი მნიშვნელობით და ესპანური ენის აკადემიური ლექსიკონის არცერთი განმარტება შენ არ შეგვერება. ვირი კი ხარ, მაგრამ ხარ – ჩემებური გაგებით: შენ შენი ენა გაქვს და არა – ჩემი, ისევე როგორც მე არა მაქვს, ვთქვათ, ვარდის ან ბულბულის ენა. ნუ გაშინებს ჩემი წიგნები, ნუ იფიქრებ, რომ იგავის ენაჭარტალა გმირად გაქცევ, რომ შენს ომახიან ხმას შევუზავებ მელის წრიპის ან ჩიტბატონას ულურტულს, რათა ბოლოს მსხვილი ასოებით მივაყოლო ყოვლად უაზრო და უმაქნისი შეგონება. არა, პლატერო, არა, გენაცვალე.

## ჰარნავალი

რა ლამაზია დღეს პლატერო! ორშაბათია, საკარ-ნავალო კვირა იწყება და ტორეროებად, ჯამბაზებად გადაცმულმა ბავშვებმა მორთეს, მავრულ ყაიდაზე აკაზმესდა ახლა პლატერო წითლად, მწვანედ, თეთრად, ყვითლად შემოქარგულ-შემოგვირისტებულ რახტშია ჩამჯდარი.

წვიმდა. მზემ გამოაჭყიტა. აცივდა. საღამო ჟამს ნამქერივით ახვეტა მძაფრმა ქარმა ფერად-ფერადი ქაღალდის ფანტელები. გათოშილი ნიღბები გალურ-ჯებულ ხელებს ჯიბეში იყოფდნენ გასათბობად.

მოედანზე გავედით თუ არა, კუდიანებად გადაც-მულმა ქალებმა, — რომელთაც ჩაფართხუნებული თეთრი ღამის პერანგები ეცვათ და გაშლილი შავი თმა მწვანე ფოთლებითა და ყვავილწულებით დაემშ-ვენებინათ, — თავბრუდამხვევი ფერხულით წრეში მოიმწყვდიეს პლატერო და ხელიხელჩაკიდებულებმა მხიარულად დაუარეს.

პლატერო დაფრთხა, ყურები დაცქვიტა, თავი უკან გადააგდო, ცეცხლის რკალში მომწყვდეული მორიელივით აწრიალდა და გაშმაგებით შეეცადა გამოღწევას. მაგრამ პლატერო ხომ პატარაა და კუდიანებს სულაც არ ეშინიათ მისი, სიმღერითა და ხორხოცით ბზრიალებენ მის ირგვლივ. ბავშვები შესცეკრიან ტყვეს და მის ყროყინს ბაძავენ, რომ ეგებ პლატეროსაც ამოაღებინონ ხმა. მთელი მოედანი შეუწყობელმა კონცერტმა ააზრიალა. გაისმოდა თითბრის საყვირების გუგუნი, ყროყინი, სიცილ-სარხარი, მღერა, დაირების უღარუნი და ქვასანაყის ბრაგაბრუგი...

ბოლოს და ბოლოს, პლატერო კაცური კაცივით იქცე-ვა, წრესარღვევს და ჩემკენ მოიწევს. საზეიმოა კაზმულო-ბით დაბორკილს თვალში ცრემლი აქვს ჩამდგარი. ჩემი არ იყოს, რა ესაქმება პლატეროს კარნავალზე... საამისოდ არცერთი არ ვუქნივართ ღმერთს...

## ლეონი

ნელა მივეხეტებოდით მონხას მოედანზე სახლების ზღურბლთან ჩარიგებული ძელსკამების ერთ მხარეს პლატერო, მეორე მხარეს – მე. მარტო ვართ. თებერვლის თბილი საღამოა, მყუდრო და საამური. მზე შუბისტარზე იდგა. ლაზარეთის მხარეს იისფერ ღრუბლებს ოქრო შეერია. უცებ ვიგრძენი, რომ ვიღაც კიდევ არის აქ. თავი მივაბრუნე. ჩამესმა: „დონ ხუან“... და ხელი წამითათუნა ლეონმა....

ჰო, ლეონია, გამოწევებილა თავის უჯრედებიან სერთუქში, სუნამოც სცხია, საკონცერტოდაა გამოპრანჭული. შავი ლაქის ფეხსაცმელები თეთრი ლეკვერთხებით შეუკრავს. მწვანე აბრეშუმის შარფს მოაფრიალებს. იღლიაში თითბრის მბზინავი თეფშები ამოუჩრია. ხელი ისევ წამითათუნა და მითხრა, რომ უფალი ყველას თავ-თავის შესაფერ ნიჭს უბოძებს. მე გაზეთებში ვწერ, მას კი თავისი სმენის წყალობით შეუძლია....

– როგორც მოგეხსენებათ, დონ ხუან, თეფშები... ყველაზე რთული ინსტრუმენტია... ორკესტრში მხოლოდ მე შემიძლია უნოტებოდ დაკვრა... მოდესტოს მტრობა რომ მედოს გულში, ჩემი სმენის პატრონი ახალ ნაწარმოებს დავუსტვენდი, სანამ მისი ორკესტრი ნოტებს გაარჩევდა... ხომ მოგეხსენებათ... ყველას თავისი ნიჭი აქვს ღვთით ნაბოძები... თქვენ გაზეთებში წერთ... მე კი პლატეროზე მეტის ზიდვა შემიძლია... აბა, ხელი შემავლეთ....

და მიჩვენებს აპრიალებულ მელოტ თავზე, ზედ კინკრიხოზე, კასტილიის მთაგრეხილივით, ბებერი, გამომშრალი ნესვის ქერქივით მსხვილ კოურებს – უტყუარ დასტურს მისი ნამდვილად მძიმე ჯაფისა. თეფშები – ეს წმინდა ხელოვნება – მისი გატაცებაა.

მხარზე დამკრა ხელი, თვალები მოჭუტა, ნაყვავილარით დაფორეჯებული სახე მოინაოჭა, ერთი შეიკუნტრუშა და რომელიღაც ესპანური საცეკვაოს,— ალბათ დღევანდელი საღამოს ახალი ნომრის, — სტვენა-სტვენით გაუყვა გზას. უცებ შემობრუნდა და გამომიწოდა სავიზიტო ბარათი:

### ლეონი მოგერის მთავარი მებარგული

ლეონი, პლატერო, ეგ საწყალი ლეონი, დღისით თავზე შემოიდებს ტვირთს და ეზიდება, ღამე კი თევშებს აბრახუნებს.



## ქარის წილები

რამოდენა მეჩვენებოდა წინათ, პლატერო, ეს ტბორი და რამსიმაღლე მეგონა წითელი ქვიშის ეს შემორკალული მოედანი! ეს წყალი არ იყო, რომ ირეკლავდა ჩამოქუფრულ ფიჭვებს, მათი სილამაზე ძილშიაც რომ არ მაძლევდა საშველს და სიზმრად რომ მქონდა ქცეული?! გაზაფხულის მზის ჰანგთა ხმიანობაში ერთხელ სწორედ აქედან, ამ გადასახედიდან არ ვიხილე ჩემს ცხოვრებაში ყველაზე ნათელი და მშვენიერი სანახაობა?!

კი, ბოშები ისევ არიან, ტოროც ისევ მაშინებს. ისევ არის ვიღაც კაცი. იგივე კაცია, ნეტა, თუ სხვაა? შეზარხოშებული კაენია. რაღაცას აზრმიუტანებლად ქაქანებს. ჩავუარეთ და ვერც კი შეგვამჩნია. არადა, თავისი ერთადერთი თვალით გზას მისჩერებია, ვინმე თუ ჩამოივლისო... უეცარი განაპირება ყველაფრისგან... მიუსაფრობაც იგრძნობა აქ და სევდაც. მაგრამ თან რა ახლებურია ყველაფერი, როგორი დაუდგრომელი და წარმავალია ყველაფერი!

ვიდრე აქ მოვპრუნდებოდი, პლატერო, მეგონა, ის ხილვა, ბავშვობიდანვე თან რომ მდევდა და მონუსხული რომ ვყავდი, კურბეს და ბიოკლინის ნახატებიდან მქონდა მეხსიერებაში ჩარჩენილი. სულ მინდოდა დამეხატა ის უცნაური ნათება შემოდგომის მენამული დაისის ფონზე, წყალში არეკლილ ფიჭვებიანად დამეხატა ტბორი, რომელიც ძირს ურეცხავს ქვიშას... მაგრამ ახლა შემრჩა შავბალახათი გადაფარული მოგონება, რომელიც ისევე იფერფლება ჩემი ბავშვობის ჯადოსნური მზის ბრწყინვალებაში, როგორც ფარატინა ქაღალდი მოგიზგიზე ალში.

### პოვა

ვერა, კოშკზე ვერ ახვალ. ძალიან დიდი ხარ. ეს რომ ხირალდა იყოს, სევილიის ტაძრის კოშკი, მაშინ სხვაა!

იცი, როგორგავიხარებდი, რომ შეგძლებოდა ასვლა! კოშკის საათის ბაქნიდან ჩანს ბანიანი თეთრი სახლები, ფერადი შუშებით მოლამაზებული სახურავები, ლურჯად მოჭიქულ ქოთნებში ყვავილები. სეფეზარი რომ აჰეთნდათ, კოშკი სამხრეთის მხარეს დააზიანეს და იმ ჩამონაშლიდან მოჩანს ძველი ციხე-დარბაზის შიდაეზო, მოჩანს დიესმო... და... მოქცევის დროს ზღვაც მოჩანს. უფრო მაღლა, ზარებამდე რომ ასულიყავი, დაინახავდი ოთხ სოფელს, სევილიისკენ მიმავალ და რიოტინგოდან მომავალ მატარებლებს და კიდევ – ქარაფზე წამომართულ ღვთისმშობლის ტაძარს. რკინის მოაჯირს თუ გადაალაჯებდი, მიადგებოდი სანტახუანას ფეხებს, მეხისგან ერთმანეთთან შედუღებულს, და ბოლოს, თავს ამოყოფდი პატარა ეკვდერის ბჭეში, რომელიც ლურჯ-თეთრი სოფიის კენჭით არის მოთვალული და მზეზე იქროსფრად ელვარებს. შენი გამოჩენა გადაარევდა ეკლესიის წინ მოედანზე ტოროს თამაშით გართულ ბავშვებს. ცხადად და გარკვევით მოალწევდა შენამდე იმათი შეძახილები, უივილ-ხივილი, მხიარული ყიუინა.

რამდენ სიხარულს და ალიარებას ხარ მოკლებული, ჩემო ბეჩავო პლატერო! შენი ცხოვრება ისე სადა და უბრალოა, როგორც მოკლე გზა ძველ სასაფლაომდე.

### ქვიშრობის პარივრის ვირები

პლატერო ჩემო, აგერ ისინიც, კემადოს კარიერის  
გაძვალტყავებული, ცოცხალმკვდარი ვირები, ნოტიო  
ქვიშით დაზურგულები. ეს – გულში გატარებული  
ისრები კი არა, – მოწითალო ქვიშის საპალნეებში  
ჩასობილი ზეთისხილის მწვანე სახრეებია, რომელთაც  
მაგ საცოდავებს გადაუჭერენ ხოლმე.



## მაღრიგალი

შეხე, პლატერო, შეხე! ცირკის ცხენი რომ არენას  
შემოურბენს, სამჯერ ასე შემოუქროლა მთელ ბალს.  
თეთრია, ქათქათა. სინათლის წყნარი ზღვიდან აგო-  
რებულ ერთადერთ ტალღას ჰგავს. შემოლობილს  
რომ გაუსწორდა, შეფანცქალდა და გადაფრინდა.  
წარმომიდგენია, როგორ დაპფარფატებს ასკილის  
ბუჩქს, თითქოს ვხედავ კიდეც ქვიტკირის ღობის გა-  
დაღმა. შეხე, ახლა ისევ აქეთაა. სინამდვილეში ორია,  
ორი პეპელაა: ერთი – თეთრი, თვითონ და მეორე –  
შავი, მისი ჩრდილი.

ეს, პლატერო, მშვენიერებაა. მისი ვერ დანახვა  
შეუძლებელია. იცი, როგორც შენს დრუნჩხე – თვალები,  
როგორც ღამეში – ვარსკვლავი, ასევე დილის ბალის  
მშვენებაა ვარდი და პეპელა.

პლატერო, უყურე, რა ლამაზად დაფარფატებს!  
ალბათ მისთვის წეტარებაა ასე ფარფატი! რა ნე-  
ტარებაც არის ჩემთვის, ნალდი პოეტისთვის, ლექსი, –  
მისთვის ალბათ ესაა ფრენა. სულიან-ხორციანად  
მთლად ატანილია ფრენით, თითქოს სხვა არაფერი  
ესაქმება ამქვეყნად, უფრო ზუსტად, ამ ბალში.

ჩუმად, პლატერო, გაიტრუნე... რა სიამოვნებაა ასე  
ფრენა, ასე უმანკოდ, ასე უბინოდ!



## სიკვდილი

თვალებმილულული და ნაღვლიანი პლატერო თივაზე გაშოტილი დამხვდა გომურში. მივედი, მივესიყ-ვარულე, გამოველაპარაკე, წამოყენება დავუპირე...

საწყალი შეტოკდა და უცებ მოწყდა, მოკეცილი ცალი ტოტი ქვეშ მოიყოლა... ვერ შეიძლო წამოდგომა... ფეხი გავუმართე, ისევ დავუყვავე ნაზად და ექიმი ვიხმე.

ბებერმა დარბონმა როგორც კი დახედა, დააბჩინა უშველებელი უკბილო პირი, ყბა ჩამოუვარდა, წამოჭარხლდა და ქანქარასავით იწყო თავის ქნევა...

— სასიკეთო პირი არ უჩანს? ჰა?

არც კი ვიცი, რა მიპასუხა... მგონი ჩაიბურტყუნა, საწყალი გვტოვებსო... აღარაფერი ეშველება... საშინელებაა... რაღაც მაწყინარი ფესვი... რაღაც შეჰყვა მიწიდან ბალახთან ერთად...

შუადღეზე პლატერო მკვდარი იყო. ბამბის ქულა-სავით ფაფუკი მუცელი სფეროსავით გაპპერვოდა. გაქუცული და გაფშეკილი ფეხები ზევით ჰქონდა აშვერილი. მისი ხუჭუჭა ბეწვი დაემსგავსა ძველი ფიტულის დაჩრჩილულ ბუნუნებს, ხელს რომ გადაუს-ვამ და... ცვივა.

გომურის სიჩუმეში პატარა სარკმლიდან შემოჭრილ მზის ათინათში რამდენჯერაც შემოფარფატდებოდა, იმდენჯერ აბრიალდებოდა სამფეროვანი უმშვენიერესი პეპელა.



### მონატრება

პლატერო, შენ ხომ გვხედავ ჩვენ, ხომ მართლა გვხედავ?

ხომ ნამდვილად ხედავ, მშვიდი სიცილ-ხითხითით როგორ მირაკრაკებს ანკარა გრილი წყალი წყალ-საქაჩიდან ხეხილის ბალში? ხომ ხედავ, ჩამავალი მზე ცეცხლად როგორ შენთებია გორაკს, მზის ნაბოლარა სხივები მწვანედ, ისაფრად, ვარდისაფრად, ოქროსფრად როგორ აელვარებენ იელის ბუჩქებს, რომლებზეც ფუტკრები ფუსფუსებენ.

პლატერო, ხომ გვხედავ, ხომ ნამდვილად გვხედავ?

ხომ ნამდვილად ხედავ, წითელ ფერდობზე ძველი წყაროსკენ როგორ მიჩაქჩაქებენ მრეცხავი დედაკაცების ქანცგანწყვეტილი და დაფეხვილი ვირები?! როგორი ნაღვლიანები არიან ეს ვირები ამ უკიდეგანო ნათელსა და სანმინდეში, როცა მიწა და ცა თითქოს ერთ თვალისმომჭრელ კრისტალად შენივთდა?!

პლატერო, ხომ გვხედავ, ხომ ნამდვილად გვხედავ?

ხომ ნამდვილად ხედავ, ბავშვები როგორ დახტიან საკმელის ბუჩქებთან, რომელთა რტოებს უჩვეულო ყვავილები ამკობს: ჰაეროვანი მთრთოლარე გუნდი წითლად მონინწკლული თეთრი პეპლებისა?

პლატერო, ხომ გვხედავ, ხომ ნამდვილად გვხედავ?

პლატერო, ხომ ნამდვილად გვხედავ? ჰო, შენ მხედავ მე. ჰო, ჰო, ამ უღრუბლო დაისის ნათელში მე მესმის, ზვრებს და ველ-მინდვრებს როგორ სათუთად უალერსებს შენი განაზებული და სევდანარევი ყრო-ყინი...



## პოზო

კოფოზე ჩამოვკიდე საწყალი პლატეროს უნაგირი, ავშარა, სადავე და ეს ყველაფერი მივიტანე ბეღელთან, კუთხეში მიყრილ ძველ აკვნებთან. ბეღელი დიდია, მზიანია... სიჩუმეა აქ. აქედან მოჩანს მოგერის მთელი შემოგარენი. მარცხნივ ქარის წითელი წისქვილია, პირდაპირ, მონტემაიორის მთაზე შეფენილ ფიჭვნარში, თეთრი სავანეა; ეკლესიის იქით ანანასის ბალია. და-სავლეთით ზღვაა. ზაფხულობით, მოქცევის დროს, განსაკუთრებით შფოთავს და ლაპლაპებს.

არდადეგებზე ბავშვები აქ იყრიან თავს სათამაშოდ. აყირავებული სკამების ხატქაზუთქია. აწყობენ ეტ-ლებს, წითლად აფერადებენ გაზეთებს და მართავენ თეატრებს, ეკლესიებს, სკოლებს...

დროდადრო შემოსკუპდებიან კოფოზე, ხელ-ფეხს გამალებით იქნევენ და შეძახილებით მიჯირითობენ თავიანთ ოცნებათა ველზე:

– აჩუ, პლატერო! აჩუ, აჩუ, პლატერო!



## სევდა

საღამოს ბავშვებთან ერთად მივაკითხე ბალში პლატეროს საფლავს. ანანასის ბაღთან, მშობლიურად მოალერსე მრგვალვარჯიანი ფიჭვის გარშემო, წოტიო მიწა აპრილს ყვითელი ზამბახებით მოელამაზებინა.

ჭივჭავები უივუივებენ. მაღლა, მწვერვალთან, ცის ლაუვარდი გამოკრთოდა და ვარჯის ლურჯად მოჩითული სიმწვანიდან ჩიტების გალობა, რაკრაკი და ხალისიანი ჭიკჭიკი პირველი სიყვარულის ნათელ ოცნებასავით ეზავებოდა თბილი და მყუდრო საღამოს ოქროჩაღვრილ ჰაერს.

როგორც კი მივედით, ბავშვები დაწყნარდნენ, დადინჯდნენ და შავნაღვლიანი კითხვებით აფორია-ქებული თვალები შემომაგებეს.

— პლატერო, ჩემი მეგობარო! — მივმართე მიწას, — შენ თუ ახლა ნამდვილად ზეციურ ველებში ხარ, — მე კი მგონია, რომ ხარ, — და შენი გაბურძგნილი ზურგით დაატარებ ყრმა ანგელოზებს, მე ალბათ კიდეც და-მივიწყე. მითხარი, პლატერო, ისევ გახსოვარ?

და ჩემი კითხვის პასუხად უმსუბუქესმა თეთრმა პეპელამ... პეპელამ, რომელიც აქამდე არ მენახა, ზამბახიდან ზამბახზე იწყო სულივით ფართატი...



## მოგვრის ცაში, კლატეროს

ჩემო საყვარელო, ჩემო ჩინდრიკა პლატერო, ჩემო ჩოკინა, ჩემო პატარა ჩოჩორო! რამდენჯერ აგი-მაღლებია ჩემი სული და გაგიყვანია ეკალბარდით, ბალბით, ჯიქათი დაფარულ ამ ოლროჩოლრო გზებზე. შენ გეძლვნება ეს წიგნი. მასში შენზეა საუბარი. შენ ახლა უკვე შეგიძლია მისი გაგება.

ეს წიგნი მისწვდება სამოთხეში შენს სულს, რო-მელმაც ზეცაში თან გაიყოლა მოგერის ველ-მინდვ-რების სული. ამ წიგნის კაბადონებით ჩემი სული აყვავებული მაყვლოვანიდან გაუდგება ზეციურ გზებს, დღითი დღე ამაღლდება და გახდება უფრო კეთილი, უფრო მშვიდი, უფრო წმინდა.

ჰო, როცა დღე დაღამდება, ფიქრიანი ნელა ჩა-ვუვლი მოლალურებით გადავსებულ, უკაცრიელ, აყ-ვავებულ ფორთოხლის ბალს და გავწევ ფიჭვისკენ, რომელიც შენს სიკვდილს ურნევს და უნანავებს. და შენ, პლატერო, ბედნიერი, მაგ შენი უჭკნობი ვარდების მარადიული ველიდან დამინახავ, რომ შევჩერდი ყვი-თელ ზამბახებთან, რომლებიც ამოყვავილდნენ და ამოღაღანდნენ მიწად ქცეული შენი გულიდან.



## მუყაოს პლატერო

პლატერო, ახლა, როცა აგერ უკვე ერთი წელია  
გამოქვეყნდა და ადამიანთა სამყაროსთვის ცნობილი  
გახდა ნაწყვეტი ამ წიგნისა, რომელიც შენს სახსოვრად  
დავწერე, ერთმა შენმა და ჩემმა მეგობარმა მაჩუქა  
ეს მუყაოს პლატერო. ხომ ხედავ მანდედან? შეხე,  
მოთეთრო-მონაცრისფროა, დრუნჩ-პირი შავ-წითელი  
აქვს, თვალები – მეტისმეტად დიდი და მეტისმეტად  
შავი. ხურჯინივით გადაკიდებულ კალათაში ვარდის-  
ფერი, თეთრი და ყვითელი აბრეშუმის ყვავილების  
თაიგულები უწყვია. თავს აქნევს, ლურჯად შეღებილ  
ფიცარზეა დამაგრებული და უშნოდ გამოჩორენილი  
ოთხი ბორბლით დაგორავს.

შენი ხათრით შევიყვარე, პლატერო, ეგ სათამაშო  
ვირუკა. ყველა, ვინც შემოდის ჩემს სამუშაო ოთახში,  
ღიმილით ამბობს: „პლატერო!“ ვინმე ისეთი თუ გა-  
მოერია, შენ რომ არ გიცნობს, და იკითხა, – ვამბობ: „ეს  
არის პლატერო!“ და ამგვარად, შენი სახელის ხშირმა  
ხსენებამ შემაჩვია, რომ შენ აგერ ხარ. როცა მარტო  
ვარ, მაშინაც ვფიქრობ, რომ აქა ხარ, და თვალებით  
გესიყვარულები.

შენ? რა უბადრუკი და უსუსურია მახსოვრობა ადა-  
მიანის გულისა! ეს მუყაოს პლატერო მე ახლა შენზე  
უფრო პლატეროდ მეჩვენება, ჩემო პლატერო...

მადრიდი. 1915.



## სამარხში, კლატეროს

ერთი წამით, პლატერო, მინდა წარმოვიდგინო, რომ სიკვდილში თან გამოგყევი, რომ სულაც არ მიცხოვრია, არც არაფერი მომხდარა. შენც ცოცხალი ხარ და მეც – შენთან ერთად... ვბრუნდები მარტო. ბიჭები და გოგოები დაკაცებულან და დაქალებულან. წუთისოფლის ამაოებამ, ნგრევამ თავისი შედეგი მოგვიტანა ჩვენც და ამათაც, შენ ეს მშვენივრად იცი. და მის დანატოვარ სიცარიელესა და განადგურებას თვალს ვუსწორებთ, ვდგავართ გამართულად, რადგან შეგვრჩა საუნჯეთაგან უმშვენიერესი – გული.

გულო ჩემო! ღმერთმა ქნას, რომ ამათაც ისევე არ უმტყუნოს გულმა და იმდენზე გასწვდეთ, რამდენიც ჩემმა გულმა შეიძლო. ღმერთმა ქნას, რომ იფიქრონ ისევე, როგორც მევფიქრობდი. მაგრამ არა, უმჯობესია არ იფიქრონ... მაშინ არ ექნებათ ჩემსავით სინდისის ქენჯნა ჩადენილი უკეთურების, უხეშობისა და აბუჩად აგდების გამო.

რა სიამოვნებით გესაუბრები ისეთ რამეებზე, რაც შენზე უკეთ არავის ესმის!.. ამიერიდან ისე მოვიქცევი, რომ აწმყოდ იქცეს მთელი ცხოვრება და მომავალიც მოიცვას, რათა გაცხადებულმა მომავალმა წარსული დაამსგავსოს ჩრდილში წყნარად გაფურჩქინილ სურნელოვან იას.

პლატერო, მარტო ხარ წარსულმი. თუმცა რაში გენალვლება წარსული, როცა მარადიულობაში ცოცხლობ. შენ – მანდ და მე – აქ ყოველ განთიადზე ხელით ვეხებით მზეს, უკვდავი ღმერთის გულივით წითელ მზეს.

მოგერი, 1916

## სარჩევი

მანანა გიგინეიშვილი – ხუან რამონ ხიმენესის პლატერო.....	3
წინასიტყვაობასავით .....	27
1 პლატერო .....	28
2 თეთრი პეპლები .....	29
3 მწუხრის თამაშობანი .....	30
4 მზის დაბნელება.....	31
5 კანკალი.....	32
6 სკოლა.....	33
7 გიუი.....	34
8 იუდები.....	35
9 ლელვები.....	36
10 მწუხრის ზარები .....	38
11 სევდა .....	39
12 ხიჭვი.....	40
13 მერცხლები .....	41
14 გომური .....	42
15 დაკოდილი ულაყი.....	43
16 მოპირდაპირე სახლი .....	45
17 აბდალი .....	46
18 მოჩვენება .....	47
19 მენამული ხედი.....	49
20 თუთიყუში.....	50
21 სხვენზე .....	51
22 დაპრუნება.....	52
23 დაკეტილი ჭიშკარი.....	53
24 დონ ხოსე, მღვდელი .....	54
25 გაზაფხული .....	55
26 წყალსატევი .....	56
27 ქეციანი ძალლი .....	57
28 ტბორი .....	58
29 აპრილის იდილია .....	60
30 იადონი დაფრინავს.....	61

31	დემონი	62
32	თავისუფლება	64
33	მოხეტიალეთა მოდგმა	65
34	გულის სწორი	66
35	ნურბელა	68
36	სამი ბერიქალი	69
37	ურიკა	70
38	პური	71
39	აგლაე	72
40	მთის მწვერვალზე გახარებული ფიჭვი	73
41	დარბონი	74
42	ბავშვი და წყალი	75
43	მეგობრობა	76
44	ნანინა	77
45	ჩემი ეზოს ხე	78
46	ჭლექიანი	79
47	თქორი	80
48	რონსარი	82
49	სურათების კაცი	83
50	ყვავილი გზის პირას	84
51	ლორდი	85
52	ჭა	87
53	გარგარი	88
54	ტლინკები	90
55	ვიროგრაფია	91
56	საუფლო დღესასწაული	92
57	გასეირნება	94
58	მამლები	95
59	ღამდება	97
60	ბეჭედი	98
61	ლეკვებიანი ძალლი	100
62	ის და ჩვენ	101
63	ბეღურები	102
64	ფრასკო ველეს	104
65	ზაფხული	105
66	ხანდარი მთებში	106

67	ნაკადული .....	107
68	კვირადღე.....	108
69	ჭრიჭინობელას ჰანგი .....	109
70	კორიდა.....	111
71	ჭექა-ქუხილი .....	112
72	რთველი.....	113
73	ღამე .....	115
74	სარიტო.....	116
75	უკანასკნელი ხვატი .....	117
76	ფეიერვერკი.....	118
77	ყვავილნარი .....	119
78	მთვარე .....	121
79	მხიარულება .....	122
80	მიფრინავენ იხვები .....	123
81	პატარა გოგო.....	124
82	მენახირე .....	125
83	იადონის სიკვდილი .....	126
84	გორაკი .....	127
85	შემოდგომა .....	128
86	დაბმული ქოფაკი .....	129
87	ბერძნული კუ.....	130
88	ოქტომბრის საღამო .....	132
89	ანტონილია .....	133
90	მივიწყებული მტევანი .....	134
91	ადმირალი .....	135
92	ჩანახატი.....	136
93	თევზის ქერეჭი .....	137
94	პინიტო .....	138
95	მდინარე.....	140
96	ბრონეული .....	142
97	ძველი სასაფლაო .....	144
98	ლიანი.....	145
99	ციხესიმაგრე.....	146
100	ტოროს ძველი ასპარეზი .....	147
101	ექო .....	148
102	შიში.....	150

103	ძველი წყარო .....	151
104	გზაში .....	152
105	კედრის თესლი .....	153
106	გაქცეული ხარი .....	155
107	ნოემბრის იდილია .....	156
108	თეთრი ფაშატი .....	157
109	მჩხვანა კატები .....	158
110	ბოშები .....	159
111	ცეცხლი .....	160
112	გამოჯანსაღება .....	162
113	ბეხრევი ვირი .....	163
114	ალიონი .....	164
115	ყვავილები .....	165
116	შობა .....	166
117	სანაპირო ქუჩა .....	167
118	ზამთარი .....	168
119	ვირის რძე .....	169
120	ცაგახსნილი ლამე .....	171
121	ოხრახუშის გვირგვინი .....	172
122	მოგვი მეფენი .....	174
123	MONS-URIUM .....	176
124	ღვინო .....	177
125	იგავ-არაკი .....	178
126	კარნავალი .....	179
127	ლეონი .....	180
128	ქარის წისქვილი .....	182
129	კოშკი .....	183
130	ქვიშრობის კარიერის ვირები .....	184
131	მადრიგალი .....	185
132	სიკვდილი .....	186
133	მონატრება .....	187
134	კოფო .....	188
135	სევდა .....	189
136	მოგერის ცაში, პლატეროს .....	190
137	მუყაოს პლატერო .....	191
138	სამარეში, პლატეროს .....	192